# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 241 (5842)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

⊙ თქვენ მოგმართავთ!

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებო!

უძველესი ქართული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 5 იანვრის არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და რეკლამისთვის გთავაზობთ ნებისმიერი მოცულობის საგაზეთო ფართობს ყველაზე იაფად ქართულ მასმედიაში (1 კვ.სმ – 60 თეთრი).

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკას“ ჩვენთან და საზღვარგარეთ 22 ქვეყანაში ინტერნეტით ეცნობა მინიმუმ 200 000 ადამიანი.

ამას ემატება ხელმომწერთა და საცალო ქსელში გაზეთის მკითხველთა სოლიდური რაოდენობა.

ჩვენთან რეკლამა უდიდესი წარმატების მომტანია!

მოგვმართეთ მისამართზე: კოსტავას ქ.№12. ტელ:98-65-87;

ელექტრონული ფოსტა: Sakresp@ayety.ge, ვებგვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika




10

## დიტერ ბოდენი:



### არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად ეუთოს მისია როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციასთან აქტიურად ითანამშრომლებს

3

## თემურ შაშიაშვილი:



4

### სამწუხაროდ, საქართველომ კუზის გზა აირჩია!



6

### არა შეჯდა მწყერი ხესა

იქნებ აგვერჩია 22 პრეზიდენტი?!



### – 13:0 მოვიგეთ, ფეოლა! – გაგიჭირდებოდათ!

2

## ავთანდილ მარგიანი:

5



### თუ გავიმარჯვებ, ედუარდ შევარდნაძეს მრჩეველთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ მოვიწვევ



## ჰოლივუდის რეჟისორის აღსარება

14



# ადუღებული დრო

**● საააკაშვილს გუნდი არ ჰყავს!**
**ყოველ შემთხვევაში ის გუნდი, რომელიც შეძლებს ლიდერის გარეშე გავიდეს ხალხთან და დაარწმუნოს, რომ მათი ლიდერი სხვა კანდიდატებს სჯობია**




## ◎ არჩევნები, არჩევნები

**ყველას გვახსოვს ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ფეოლა“, რომელშიც იპოლიტე ხვიჩიას გმირს, სახლმმართველ დოლაბერიძეს ავალებენ ჩამოაყალიბოს ფეხბურთის გუნდი. ავად, თუ კარგად ბატონი დოლაბერიძე მოძებნის თორმეტ ბიჭუნას, ჩამოაყალიბებს გუნდს და ეს გუნდი მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ჩემპიონი ხდება. ეს ფილმი ნათელი დადასტურებაა იმ ელემენტარული ჭეშმარიტებისა, რომ თუ გინდა ჩემპიონი გახდე, კარგი გუნდი უნდა გყავდეს.**

არ დავიწყებ ფეხბურთის გუნდების, მათი წარმატებებისა თუ წარუმატებლობების მიზეზების მიმოხილვას, პირდაპირ პოლიტიკაზე გადავალ და ვიტყვი, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის უდიდესი როლი ეკისრება იმ გუნდს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს კანდიდატი.

კანდიდატის მხარდამჭერი გუნდის ჩამოყალიბების დროს მიმდინარეობს გამალებული მუშაობა საზოგადოებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანების გადაბირებაზე, თუნდაც იმ მიზნით, რომ კანდიდატთა ე. წ. „ნააზრევი“ ხალხამდე ავტორიტეტულმა ადამიანებმა მიიტანონ. გვახსოვს პერიოდი, როდესაც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს მხარში არა მარტო მსახიობები ან მეცნიერები, არამედ კანონიერი ქურდებიც ედგნენ (ცხადია ისინი კანდიდატის მხარდამჭერ შეხვედრებზე არ გამოდიოდნენ, მაგრამ ასარჩევის წარმატებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ).

გუნდის ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესია. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, თუ საზოგადოების რომელი ფენის მხარდაჭერის მიღება სურს კანდიდატს და ამის მიხედვით შეარჩიოს საკუთარი გუნდი. მოდით ვნახოთ, თუ როგორი გუნდები ჰყავთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს და ვცადოთ მათი მხარდამჭერი ფენის განსაზღვრა.

დავიწყოთ იმ კანდიდატიდან, რომელმაც ყველაზე მეტი ხელმოწერა მიიტანა საარჩევნო კომისიაში, ანუ მიხეილ სააკაშვილისგან.

როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ კანდიდატს კენჭისყრის უფლება მიეცეს, საკმარისია 50000 ხელმოწერა. 6 დეკემბერს ამ ხელმოწერების ჩაბარების ბოლო დღე იყო. იმ ხალხის ხელმოწერები, ვინც არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, წარმოადგინეს გუნდის წევრებმა და მათი რიცხვი დაახლოებით 150 000 იყო. სადღაც დღის ოთხი საათისთვის ბადრი პატარკაციშვილის გუნდის წევრებმა 200 000 ხელმოწერა მიიტანეს. ეს რომ სააკაშვილის გუნდის წევრებმა გაიგეს, დაახლოებით ერთ საათში კიდევ 52 000 ხელმოწერა მიიტანეს და საარჩევნო კომისიაში ყველაზე მეტი 202 000 ხელმოწერა დააფიქსირეს.

ერთი შეხედვით რა მნიშვნელობა აქვს 202 000 ხელმოწერას მიიტან, თუ 50 001-ს. მთავარია ხელმოწერებისთვის არსებული ყველა პროცედურა დაცული იყოს, მაგრამ სააკაშვილის გუნდმა სცადა ამ ჟესტით „გადაეჯოკრა“ სხვებისთვის. არადა, ასეთ დროს გამოცდილი „ჯოკერისტები“ იტყვიან, სულ ტყუილად გააფუჭა საჭირო კარტიო. გააფუჭა და ახლავე მოგახსენებთ რატომაც: ჯერ ერთი დაგვანახა, რომ გაღიზიანებულია, თანაც იმდენად გაღიზიანებული, რომ ამ ყოვლად არაფრისმომტან პროცედურაშიც კი სცადა თავისი უპირატესობის დაფიქსირება (ეს უბრალოდ სასაცილოაძ და მეორე: ხალხში მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილმა ეს ხელმოწერები მიიღო ვაუჩერების დარიგების და ე. წ. დასაქმების პროგრამის დროს აღრიცხვის პროცესში. ეს კი ნამდვილად არ იმუშავებს მის სასარგებლოდ. რაც შეეხებათ დამატებითი 52 000 ხელმოწერის მომტანებს, ისინი ძალიან ჰგვანან იმ დოქსოპულოს, რომელმაც ერთი მანქანა დაპატიმრებული დარბაისელი მიუყვანა ვარლამ არავიძეს (მხატვრული ფილმი „მონანიება“ძ.

ეს პატარა მაგალითი ნათლად გვაჩვენებს ორ რამეს. პირველი ისაა, რომ სააკაშვილს სურს ყველა რგოლში აჯობოს მოწინააღმდეგეებს (ეს ბუნებრივიცააძ, მაგრამ შესრულების ფორმები ძალიან მდარეა. დასახული მიზნის შესრულების ამ დაბალი დონიდან გამომდინარეობს მეორე პრობლემაც, რომელიც სააკაშვილს აქვს: — მას გუნდი არ ჰყავს.

ვიღაც იკითხავს — როგორ არ ჰყავს, მაშ მთელი ნაცმოძრაობა, მინისტრები, გუბერნატორები, გამგებლები და ა. შ. ვინღა არიანო? პასუხი მარტივია: — ისინი არაფრის გამკეთებლები არ არიან, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ვერაფერს ვერ აკეთებენ (ამაში საქართველოს მოსახლეობა არაერთხელ დარწმუნდაძ და სწორედ ამიტომაც სააკაშვილი არასდროს არ ჩნდება ისეთ „ცნობილ სახეებთან“ ერთად, რომლებიც არამც თუ ნერვებს უშლიდნენ საქართველოს მოსახლეობას, არამედ აღიზიანებდნენ მათ (აღარსად ჩანან ბოკერია, ნადირაძე, სამყურაშვილი და ა. შ.ძ, ხოლო ადგილობრივი ხელმძღვანელები მოსახლეობასთან შეხვედრების დროს „ჩრდილში“ არიან. გაკვრით თუ გამოჩნდებიან კადრის მეორე თუ მესამე პლანზე.

სააკაშვილი გადაიქცა ე. წ. „ერთკაციანი პარტიის“ ლიდერად. მან მთლიანად თავის თავზე აიღო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება.

ის მარტო დარჩა!

მარტო დარჩა იმის გამო, რომ მის ე. წ. გუნდს, რომელსაც 2004 წელს საქართველოს მომავალი ჩააბარა, ხალხმა ზურგი აქცია.

სააკაშვილი რომ ძლიერი „პიარშჩიკია“, ამას მტკიცება არ სჭირდება. მან ძალიან კარგად იცის ადამიანებთან ურთიერთობის ყველა ნიუანსი. მან კარგად იცის, რომ ხალხთან გასვლის დროს არაფრის დიდებით არ შეიძლება გვერდით გედგეს ბენდუქიძე, გვერდით გედგეს ნადირაძე, გვერდით გედგეს ბოკერია. ასევე იცის, რომ მის გვერდით არ დადგებიან ქართული კულტურისა თუ მეცნიერების ღირსეული წარმომადგენლები. არ დადგებიან თუნდაც დანაპირები 1600-ლარიანი ხელფასების გამოც კი. ამიტომ მან ზუსტად განსაზღვრა ის ფენა, რომელზეც შეიძლება „იმუშაოს“. ერთის მხრივ ამ ფენაში ის ადამიანები შედიან, რომლებმაც, ასე თუ ისე, იშოვეს რაღაც სამუშაო და ერთიორი კაპიკი შეაქვთ სახლში. ასეთ დროს მათთან შეხვედრა ძალიან მომგებიანია და თან თუ იმასაც დაჰპირდები, რომ 1500 მანდილოსანიც დასაქმდება, ხმების გარკვეული რაოდენობა გარანტირებულია (ტყიბულის ვარიანტიძ. მეორე ფენა კი, რომლის იმედიც სააკაშვილს აქვს, ე. წ. „ჯეობარ-ჯეოსტარული“ აზროვნების ახალგაზრდობაა.

მე არ ვიცი, რამდენად დაიჯერა სააკაშვილმა ჯეოსტარზე მისული 2000 მაყურებლის და ამ ღონისძიების მხარდასაჭერად მიღებული 15 000 სმს-ის „უპირატესობა“ რუსთაველზე მისულ 150 000 ადამიანთან შედარებით (ეს ფარდობითობა, რომელიც „რუსთავი 2-“ის ეთერით „გვამცნო“ ქალბატონმა მარინე ბერიძემ, თვით აინშტაინსაც შეშურდებოდაძ, მაგრამ ასე ვთქვათ ქართული შოუ-ბიზნესის „ვარსკვლავები“ მაინც დაიყენა გვერდით.

არადა, სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ თუ ვინმე დაიძახებს „საქართველო შოუ-ბიზნესის გარეშეო“, ეს ფრაზა ლოზუნგი არ იქნება. ეს უბრალოდ ფაქტია და, როგორც ყველა ფაქტი, ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ყველას უჭირს დღევანდელ საქართველოში. უჭირს გლეხს, უჭირს ექიმს, უჭირს პედაგოგს და უჭირს ესტრადის მუშაკსაც. ჰოდა, როდესაც გიჭირს, გამოსავალიც უნდა მოძებნო. გლეხი რაღაცას მოახერხებს, ყოველ შემთხვევაში თავის გამოსაკვებ მოსავალს მაინც მოიყვანს. ამ ჩვენი ხელისუფლების ხელში ექიმებსაც არ აკლიათ პაციენტები (მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ანაზღაურება ბევრად ნაკლებია პაციენტთა რაოდენობაზე, თავის გატანა მაინც შეიძლებაძ. როგორც წინასაარჩევნოდ გვითხრეს, თურმე პედაგოგებიც საჭირონი ყოფილან, მაგრამ რა ქნას ამ ესტრადის ხალხმა, რუსლანასა და ტოტო კუტუნიოს გადამკიდე, საერთოდ დაკარგეს მსმენელი. ძალიან გაუჭირდა ქართულ ესტრადას, ძალიან. ტოტო კუტუნიოზე გადახდილი ჰონორარის ფასად კი „ფოთის პოლიცმეისტერიც გაიხდის“ (ნინაზე რომ არაფერი ვთქვა. ნინა გაცილებით ნაკლებ ფასად იხდისძ.

აშრიალდა ფული და გაისმა სიმღერები „ჩემი გმირი გიწოდე, ხელიც გამოგიწოდე“ (არ მესმის, რატომ უნდა იმღეროს ეს სიმღერა მამაკაცმაძ, გადაიღეს კლიპი, სადაც ნამდვილად ნიჭიერი მომღერალი, რატომღაც მარლენ დიტრიხის სტილში და ხევისბერი გოჩას ენით გვიმღერის აფხაზეთზე (მე არ მინდა ყურადღება გავამახვილო მარლენ დიტრიხის მორალურ მხარეზე, მაგრამ რადგანაც ამ სიმღერას პატრიოტული დატვირთვა აქვს, უბრალოდ ვიტყვი, რომ მარლენ დიტრიხი სამშობლოს მოღალატე იყო. სამშობლოს მოღალატე ამ სიტყვის ყველაზე მარტივი გაგებითაც კიძ.

**საააკაშვილს გუნდი არ ჰყავს!**
**ყოველ შემთხვევაში ის გუნდი, რომელიც შეძლებს ლიდერის გარეშე გავიდეს ხალხთან და დაარწმუნოს, რომ მათი ლიდერი სხვა კანდიდატებს სჯობია.**

ამ მხრივ ყველაზე მომგებიან პოზიციაზე ლევან გაჩეჩილაძე იმყოფება. მის გუნდში არის ხალხი, ვისი განვლილი პოლიტიკური ცხოვრება სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლა იყო (ჯონდი ბაღათურია, კოკა დავითაშვილი), არის ხალხი, ვისაც შეუძლია თავისი იურიდიული ცოდნით თავისუფლად, ნებისმიერი დებატების დროს გააცამტვეროს ნაცმოძრაობის ყველა ის წარმომადგენელი, რომლებსაც პრეტენზია აქვთ საერთაშორისო ნორმების ცოდნაზე (თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, კახა კუკავაძ, ასევე არის ხალხი, ვისაც შეუძლია თავისუფლად ესაუბროს ნებისმიერი რანგის დიპლომატს (სალომე ზურაბიშვილი. აქ მინდა დავამატო, რომ ქალბატონ სალომეს მოსახლეობასთან საუბარიც ძალიან კარგად გამოსდისძ და არის ხალხი, ვისი სახელებიც ქართულ ეროვნულ ცნობიერებასთან იგივდება (კონსტანტინე გამსახურდია, კახა შარტავაძ.

გაჩეჩილაძის გუნდის სხვა წევრებსაც ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილება და, რაც მთავარია, პატიოსანი ხალხის რეპუტაცია აქვთ (კოკა გუნცაძე, გია ცაგარეიშვილი, გია თორთლაძეძ.

ლევან გაჩეჩილაძეს გუნდი ჰყავს!

კარგი გუნდი!

რაც შეეხებათ დავით გამყრელიძის და შალვა ნათელაშვილის გუნდებს, ისინი ძირითადად პარტიული სახეებით არიან წარმოდგენილნი და მათი „ავან-ჩავანი“ ყველამ იცის.

ნათელაშვილის გუნდს სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. მათთან ამ მხრივ გამყრელიძის გუნდი ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ამ უკანასკნელს ბალზაკის ასაკის თბილისელი მანდილოსნები უჭერენ მხარს (ესეც გუნდის ლიდერის წყალობითძ.

გამყრელიძის გუნდს გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე, რომლებიც ძალიან ფრთხილი პოლიტიკოსების იმიჯით სარგებლობენ, ერთის მხრივ გაწონასწორებული პოლიტიკური ძალის იმიჯს უნარჩუნებენ, მაგრამ, მეორეს მხრივ ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს საქართველოა, ყოველგვარ კომპრომისებს გამორიცხავს.

სწორედ ამ მიზეზების გამო, არც ნათელაშვილს და არც გამყრელიძეს არ ჰყავთ ის გუნდები, ვინც შეძლებენ ძალაუფლების ხელში აღებას.

ბადრი პატარკაციშვილის გუნდიც ვერ გამოირჩევა დიდი ძალით. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ვალერი გელბახიანი ძალიან გამოცდილი იურისტია და გიორგი ჟვანიაც საკმაო პატივისცემით სარგებლობს მოსახლეობაში, მათ არ ჰყავთ ის ხალხი, ვინც თუნდაც საარჩევნო ყუთებთან დადგება და ეცდება საკუთარი ხმების დაცვას.

დანარჩენ კანდიდატებს კი საერთოდ არ ჰყავთ გუნდები. ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომლებსაც იცნობს საქართველოს მოსახლეობა და მათი რაღაც იმედი ექნათ.

**დაბოლოს: მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფრაგმენტი წერილის დასაწყისში ნახსენები ფილმიდან „ფეოლა“: სიცხისგან გათანგულ იპოლიტეს მოტოციკლით ჩაუვლის საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელი და ირონიით დაუძახებს „შევერკინოთ, ფეოლა!“ იმ გუნდს ფორმებიც კარგი აქვს, ბუცებიც და ნავარჯიშევებიც არიან, ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, საკმაო სახელისუფლებო რესურსი აქვს. მაგრამ მიუხედავად ამ უპირატესობისა, მაინც „ფეოლას“ გუნდი მოიგებს. მოიგებს დიდი ანგარიშით. მოიგებს იმიტომ, რომ „ფეოლას“ გუნდი სხვაზე ძლიერია.**

**გია გაბრიჭიძე**

## — 13:0 მოვიგეთ, ფეოლა!
## — გაგიჭირდებოდათ!

**მხატვრული ფილმიდან „ფეოლა“**

# ადუღებული დრო

**საპრეზიდენტო მმართველობის ფორმამ ზოგადად არ გაამართლა საქართველოში, რადგან ყველა აქამომდელ პრეზიდენტს თავი, ნებით თუ უნებლიეთ, მეფე ეგონა. ხოლო მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში უწმინდესის ეპისტოლეს ეს ნაწილი, მაპატიოს მისმა უწმინდესობამ ასეთი ინტერპრეტაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, ნიშნავდა, რომ მეფე შიშველია**



განსჯა

# საით მიდის საქართველო?

## ეს ექვს იანვარს გაირკვევა

*2 ნოემბრის შემდეგ, ვიდრე დღემდე, არაფერი დამიწერია. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ის, რაც დროის ამ მცირე მონაკვეთში მოხდა, იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ყველაფრის მყისიერად აღქმა კი შევძელი, მაგრამ ასევე მყისიერად და ოპერატიულად შეფასება, ანალიზი შეუძლებლად მივიჩნიე. დღესაც ასე მგონია, მომხდარის გააზრებას დრო სჭირდება.*

*და თუ დღეს მაინც გავბედე, უნდა გამოტყდე, ასე არასდროს გამჭირვებია ხელში კალმის აღება. ოღონდ ის კია, რომ წინამდებარე წერილს ვერაფრით ექნება საფუძვლიანი ანალიზის პრეტენზია. უფრო მეტად ემოცია იმძლავრებს.*

### 2 ნოემბერი – საქართველოს რუბიკონი

**ასე დავწერე სადღაც ოქტომბრის ბოლოს, ოღონდ „რუბიკონის" შემდეგ კითხვის ნიშანი დავსვი. ახლა იგივეს ვიმეორებ, ოღონდ უკითხვისნიშნოდ, რადგან მიმაჩნია, რომ 2 ნოემბერს ქართველმა ხალხმა გადალახა რუბიკონი, რასაც შიშის სინდრომის დაძლევა ჰქვია, მანამდე, ანუ 2 ნოემბრამდე ვწერდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ, ქვეყანაში აშკარა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის დროს, „მოულოდნელად" გაჟღერებული კონსტიტუციური მონარქიის იდეის შესახებ.**

სიტყვა მოულოდნელი წინწკლებში რად ჩავსვი? იმად, რომ მისი „მოულოდნელი" განაცხადი მოცემულ ვითარებაში ნიშნავდა – საპრეზიდენტო მმართველობის ფორმამ ზოგადად არ გაამართლა საქართველოში, რადგან ყველა აქამომდელ პრეზიდენტს თავი, ნებით თუ უნებლიეთ, მეფე ეგონა. ხოლო მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში უწმინდესის ეპისტოლეს ეს ნაწილი, მაპატიოს მისმა უწმინდესობამ ასეთი ინტერპრეტაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, ნიშნავდა, რომ მეფე შიშველია.

### ვინ იყო „გუშინ" და ვინ არის „დღეს" ირაკლი ოქრუაშვილი?

**ანუ კაცი, რომელიც ერთგვარად აღმოჩნდა ყველაფერი იმის კატალიზატორი, რაც შემოდგომაზე საქართველოში მოხდა. რა წონა ჰქონდა მას „მეფის კარზე", ყველამ კარგად ვიცით, ისევე, როგორც მისი საკარიერო საფეხურებიც. ამიტომ ამაზე საუბარს არ განვაგრძობ, იმასღა ვიტყვი, რომ მან ეკონომიკის მინისტრობიდან გადადგომა-დემარშით სილა გააწნა პრეზიდენტ სააკაშვილს, რამაც კიდევ მეტი პოპულარობა შემატა ოქრუაშვილს, როგორც კაცს, პიროვნებას.**

აი, ვინ იყო „ გუშინ" ირაკლი ოქრუაშვილი. ვინ არის დღეს? ზოგიერთები იმასაც ამბობენ, ბადრი პატარკაციშვილმა „ააგდო" გორელი გოიმი, პრეზიდენტად გაგხდიო, და ოპოზიციაში გადასულმა ექსმინისტრმა ტელე „იმედში" თქვა ის, რაც თქვა. თუმცა ისეთი არაფერი – რაც არ ვიცოდით. ოქრუაშვილის პირველმა ტელეაღსარებამ უბრალოდ ყოველივე ამას ბეჭედი დაასვა, გინდა ნოტარიულად დაამოწმა. ეს არის და ეს, რადგან სახელმწიფოში გავლენით მეორე პირის ნათქვამს სულ სხვა ძალა და დამაჯერებლობა ჰქონდა. ამიტომ დააპატიმრეს ოქრუაშვილი. ამიტომ გამოსძალეს შემდეგ მეორე ტელეაღიარება. თუმცა ამაოდ – საზოგადოებას იმ პირველისა სჯერა, რომელიც მოგვიანებით, ამჯერად გერმანიიდან, დაგვიდასტურა ირაკლიმ.

ეს თქმა და გადათქმები ნამდვილად არ არის მოსაწონი საქმე, მაგრამ ვერც დაძრახავ, რადგანაც ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ. თანაც ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი მისია შეასრულა – ქართველი ხალხი გამოაფხიზლა, რაც ძვირად დაუჯდა.

მით უმეტეს დასაფასებელია მისი საქციელი, რადგან მას ჰქონდა არჩევანი კარგსა და ცუდს შორის. შეეძლო არხეინად ეცხოვრა. ის პატარკაციშვილის გარეშეც არ იყო ღარიბი და უპოველი. ოღონდ ხმა არ გაეღო და...

მაგრამ მან მაინც ღირსეული ნაბიჯი გადადგა. იგი, რა თქმა უნდა, არ არის უცოდველი. მასთან აქვს კითხვები საზოგადოებას, მაგრამ ამ კითხვების დასმის დრომ მომავლისთვის გადაიწია, იმ მომავლისთვის, რომელიც, იმედია, 5 იანვრის შემდეგ დადგება საქართველოში. როგორც იტყვიან, მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს. ჰოდა ისიც წავიდა. უფრო სწორად, ამ ხელისუფლებამ გაუშვა ძალით გერმანიაში და ახლა მის ექსტრადიციას ითხოვს ბერლინისგან, არა მგონია, ბერლინის დემოკრატიულმა სასამართლომ ეს გააკეთოს.

აი, ვინ არის დღეს ირაკლი ოქრუაშვილი. არ მაინტერესებს, ვინმემ „ააგდო" იგი თუ თვითონ „ავარდა". ის კი მჯერა, ირაკლი ოქრუაშვილი რომ არა, არ იქნებოდა 2 ნოემბერი, რომელმაც მთელს მსოფლიოს დაანახა, რომ ქართველი ერის მიმართ არ შეიძლება ითქვას – „ყველა ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს". 7 ნოემბრის ჩამდენ ხელისუფლებას რომ არ ვიმსახურებთ, ეს ქართველმა ხალხმა 25 ნოემბერსაც დაამტკიცა.

### ვინ არის ბადრი პატარკაციშვილი?

**იგივე არკადი, რაც ახლა ამოქექეს და რასაც ხშირად დაცინვით, აშკარად ანტისემიტიზმის ელემენტების შემცველობით იმეორებს გივი თარგამაძე.**

ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა ამ ორი თუ სამი წლის წინათ თქვა – მე ფულის ტომარა კი არა, პირველ რიგში პიროვნება ვარო. იმ დღიდან დაიწყო, ჩემი აზრით, მაშინ ბადრის და ახლა არკადის დისტანცირების პროცესი სააკაშვილის ხელისუფლებისგან. დღეს ოლიგარქი არკადი, მაშინ ბიზნესმენთა ფედერაციის, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად რომ აირჩიეს, ბატონი ბადრი იყო. დღეს გაახსენდა ამ ხელისუფლებას პატარკაციშვილის ოლიგარქობა, ისიც, რომ მის ნაშოვნ ქონებას ელცინის რუსეთში ჩაეყარა საფუძველი და, როდესაც ამ ფულით იგი „ვარდების რევოლუციას" აფინანსებდა, კარგი იყო, არავის აწუხებდა ამ ფულის ბინძური სუნი, რამაც, როგორც დღეს ამბობენ, თურმე ძალიან შეაწუხა ხელისუფლება. იმდენად ძალიან, რომ 7 ნოემბერს ნილბებთან ერთად აირწინაღები ჩამოიცვეს ცხვირებზე და ისე დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

იხ. 4 გვ.

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

დამკვირვებლები



# დიტერ ბოდენი: არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად ეუთოს მისია როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციასთან აქტიურად ითანამშრომლებს

*საქართველოში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთოს დამკვირვებელთა მისიას დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის წარმომადგენელი, გერმანელი დიპლომატი დიტერ ბოდენი უხელმძღვანელებს.*

*დიტერ ბოდენი ქართული საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკოსია. იგი საქართველოში, 1993-1997 წლებში ჯერ ეუთოს მისიას, ხოლო შემდეგ, 1998-2002 წლებში აფხაზეთში მოქმედ გაეროს დამკვირვებელთა მისიას ხელმძღვანელობდა.*

*ჩვენი მცდელობის მიუხედავად, გერმანელმა დიპლომატმა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე საუბარი ამჯერად არ ისურვა, მაგრამ შეგვპირდა, რომ ამ თემებზე საუბრისთვის თბილისში ყოფნისას დროს აუცილებლად გამოძებნის.*

*ამჯერად „ინტერპრესნიუსი" დიტერ ბოდენს მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთოს სადამკვირვებლო მისიაზე ესაუბრა.*

**– წინა წლების მსგავსად, თქვენ საქართველოში ამჯერადაც საკმაოდ რთული მისიის შესრულება გიწევთ. როგორც გამოცდილ დიპლომატს, როგორი წინათგრძნობა გაქვთ, არჩევნები საქართველოში დემოკრატიულად ჩატარდება?**

– საქართველოსადმი ჩემი სიმპათიები არასოდეს დამიმალავს. სწორედ ამის გამო, სიამოვნებით მივიღე დავალება, მეხელმძღვანელა ეუთოს დამკვირვებელთა მისიისთვის, რომელიც ყოველთვის სიმკაცრითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა.

თბილისში 5 დეკემბერს ჩამოვედი და არჩევნების მზადების მიმდინარეობაზე ჯერ სრულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარდება.

დარწმუნებული ვარ, ეს არჩევნები საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, გაძლიერებას და ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს. მინდა, ამ არჩევნების შედეგად საქართველომ გაძლიერებული დემოკრატიული სტრუქტურები მიიღოს.

**– თქვენ შეხვედრები გქონდათ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. როგორია შთაბეჭდილება ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაზე. ოპოზიცია ხელისუფლებას კანდიდატთა არათანაბარ პირობებში ჩაყენებას საყვედურობს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

– ეს საკითხები უფრო დეტალურ და სკრუპულოზურ შესწავლას მოითხოვს. აქ ჯერ მხოლოდ ერთი დღეა ვიმყოფები და შეფასებებისგან თავს შევიკავებ. უკვე მქონდა შეხვედრები როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ჩვენი მისია, რომელიც სიმკაცრით გამოირჩევა, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად მოიწვია. არ ვიცი ასეთი მრავალრიცხოვან დამკვირვებელთა მისია კიდევ რომელ ქვეყანაში იყო არჩევნებზე მივლენილი, მაგრამ იმას, რომ თქვენთან ეუთო საკმაოდ მნიშვნელოვნად, 300 დამკვირვებლით იქნება წარმოდგენილი, მხოლოდ მივესალმებით.

არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებისთვის ეუთოს დამკვირვებელთა მისია როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციასთან აქტიურად ითანამშრომლებს. მე ვიცი თავისი ქვეყნისადმი ქართველების განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ. მიმაჩნია, რომ 5 იანვრის არჩევნები თქვენთვის დემოკრატიულობაზე ტესტის ჩაბარების გამოწვევაა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ არჩევნების მშვიდ ატმოსფეროში ჩატარება თქვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის დემოკრატიულობაზე გამოცდას წარმატებით ჩააბარებს და 6 იანვარს გვექნება საშუალება, მთელ საქართველოს, არა რომელიმე კანდიდატის, არამედ დემოკრატიის გამარჯვება მივულოცოთ.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

# საზოგადოება

● საქართველოს გადარჩენას ინტელექტსა და ბიზნესში ვხედავ. არც ერთს აქვს საზღვრები და არც მეორეს, მაგრამ ორივე ქართული ფესვიდან უნდა მოდიოდეს!



◉ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი

## თემურ შაშიაშვილი: სამწუხაროდ, საქართველომ კუზის გზა აირჩია!

### საააკაშვილი იგივეა ამერიკისთვის, რაც ჩავესი - რუსეთისთვის“

*პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, პოლიტიკური მოძრაობა „წინ საქართველოს“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა კანდიდატურა უკვე მოხსნა. გთავაზობთ მასთან რამდენიმე დღის წინათ (როცა ჯერ კიდევ კანდიდატი იყოძ ჩაწერილ ინტერვიუს.*

*ბატონ თემურ შაშიაშვილის განცხადებით, „საქართველოს ღირსების შემლახველია საპრეზიდენტო მმართველობა. არჩევნებში ჩემი მონაწილეობის მიზანია მხარში ამოვუდგე ყველას, ვისაც ქვეყნის უბედურების სათავედ სწორედ ამგვარი მმართველობა მიაჩნია“.*

**— მაინც რატომაა მიუღებელი პრეზიდენტის ინსტიტუტი ზოგიერთი ოპოზიციური ძალისთვის?**

— მიზეზი მარტივია: გარედან უფრო ადვილად იმართება ის ქვეყანა, რომლის სათავეშიც ერთი კაცია. ევროპაში ყველა სახელმწიფო გაექცა საპრეზიდენტო მმართველობას. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რატომ ერთიანდებიან ეს ქვეყნები ევროკავშირში, რატომ უარყვეს პრეზიდენტის პოსტი საერთოდ? — იმიტომ, რომ ცოტა ფულიც, რომ დახარჯოს დაინტერესებულმა დიდმა სახელმწიფომ, თავის კაცს დასვამს ამ პოსტზე. საქართველოშიც ასე ხდება. ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც გარედან არ იმართებოდა, ზვიად გამსახურდია იყო და ისიც მწარედ დამარცხდა. საპრეზიდენტო მმართველობა მისაღებია დიდი სახელმწიფოებისთვის, პატარა ქვეყნებში ის არ ამართლებს.

**— ბატონო თემურ, ოპოზიცია მუდმივად აკრიტიკებს ხელისუფლებას . ამ ოთხ წელიწადში ნუთუ არაფერი გაკეთებულა?**

— დღევანდელი ხელისუფლების მთავარი ნაკლი ისაა, რომ გარედან იმართება, რაც მიუღებელი და ამაზრზენია ჩვენთვის. საქართველო კუზის გზით მიდის, რაც დაუშვებელი შეცდომაა. ჩვენი სამშობლო გახდა ორი დიდი ქვეყნის დაპირისპირების ობიექტი. სააკაშვილი ჰუგო ჩავესისგან არაფრით განსხვავდება: რუსეთმა შექმნა ჰუგო ჩავესი ამერიკის სალანძღავად, ამერიკამ კი სააკაშვილი „გამოძერწა“ რუსეთის საკრიტიკოდ. ხელისუფლების ნაღვაწი უნდა შეფასდეს იმით, თუ რის გაკეთება შეეძლო მას. გარწმუნებთ — ათჯერ, ასჯერ მეტის გაკეთება შეიძლებოდა და არ გაკეთდა. ის რითაც ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს, გაცილებით უკეთ არის მოგვარებული სხვა ქვეყნებში: ჩადით, ნახეთ ბაქოში რა გზებია, რა სახლები შენდება. სხვათა შორის, არც შადრევნები აქვთ ჩვენზე ნაკლები — ბაქოს ცენტრში არის შადრევანი, რომელიც თურმე საუკეთესო ყოფილა ევროპაში — იქ წყლის ჭავლის ზემოთ ფილმებიც კი გადის. ახლახან პეტერბურგში ვიყავი, მარტო ნევის პროსპექტზე ერთ წელიწადში იმდენი ინვესტიცია შემოსულა, რამდენიც ჩვენში — სულ 1990 წლიდან (!ძ ამ ფონზე ცოტა სასაცილო ხომ არ არის ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ წინსვლაზე გამუდმებით ლაპარაკი?

**— გამარჯვების შემთხვევაში თქვენი გუნდი რას სთავაზობს მოსახლეობას?**

— ჩვენ სრულიად განსხვავებული, უნიკალურ პროგრამებს წარვუდგენთ საზოგადოებას. ამ დღეებში საქართველოში დაიწყო ე. წ. „დასაქმების პროგრამის“ განხორციელება. იმ მილიონებით, რაც ამ პროგრამაში ჩაიდო, რამდენიმე საწარმო რომ აემუშავებინათ, უბრალოდ ასანთი, ან ხელსახოცი რომ გამოეშვათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ხალხისთვის. შეიქმნებოდა რეალური სამუშაო ადგილები და მოსახლეობა ერთჯერადი ფულადი დახმარების იმედად აღარ იქნებოდა, თანამედროვე ქართველების პენსია ნიგერიელების პენსიაზე დაბალია — ეს მართლაც, სამარცხვინოა!

ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ოჯახს, სადაც 6 წლამდე ასაკის ბავშვი იქნება, სწორედ ეს ბავშვი უნდა ინახავდეს. ამგვარი ღონისძიებების გარეშე დემოგრაფიული პრობლემა ქვეყანაში ვერ გადაწყდება. თუ ოჯახში 70 წელს გადაცილებული ადამიანია, ის მარჩენალის ფუნქციას უნდა ასრულებდეს ისეთი პენსია უნდა ჰქონდეს, როცა თანამდებობის პირი 10 ათას ლარს ინიშნავს? — პენსიონერს 500 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს ინტელიგენციას და საზღვარგარეთ მცხოვრებ საქრთველობას. ეს არის უდიდესი ძალა, რომელსაც დღესდღეობით არ იყენებენ. 15-20 ქართველის სახელი და გვარი შემიძლია დაგისახელოთ, რომლებსაც არნახული გავლენა აქვთ მსოფლიოშიც და იმ ქვეყნებშიც, სადაც ცხოვრობენ. ამ ძალას დაფასება სჭირდება! სამწუხაროდ, ქართული სოფელი საკონცენტრაციო ბანაკად იქცა. თუ სხვა ქვეყნები ათასნაირად ცდილობენ სოფლის მეურნეობის აყვავებას, ჩვენთან პირიქით ხდება: გლეხს გადასახადებს უზრდიან და ყველანაირად ავიწროებენ.

საქართველოს გადარჩენას ინტელექტსა და ბიზნესში ვხედავ. არცერთს აქვს საზღვრები და არც მეორეს, მაგრამ ორივე ქართული ფესვიდან უნდა მოდიოდეს!

**— „ვარდების რევოლუციამდე“ სერიოზული თანამდებობა გქონდათ, მაშინ როგორი იყო თქვენი ურთიერთობა დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან?**

— უპირველეს ყოვლისა, არავითარი რევოლუცია არ მომხდარა. ეს იყო კარგად დაგეგმილი სპექტაკლი, რომელზეც დიდი ფული დაიხარჯა. შევარდნაძემ გააკეთა ის, რაც გარე ძალებმა დაავალეს. წაიკითხეთ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მისი ინტერვიუები: „არ მინდა ჩემი შვილები დამარცხდნენ“, „მიშა და ბურჯანაძე ჩემი შვილები არიან“... სხვათა შორის, შევარდნაძემ 1999 წელს შემომთავაზ,: თუ გინდა პოლიტიკაში დარჩე, კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეს ჟვანიასთან და სააკაშვილთანო. ჩემი პასუხი ასეთი იყო: ხიდის თავში დავჯდები, ვიმათხოვრებ და ამ პირობას ვერ დავთანხმდები-მეთქი. ამის შემდეგ ოთხსაათიანი საუბარი მქონდა ზურაბ ჟვანიასთან, საოცარი პირობები შემომთავაზა, მაგრამ ისევ უარი ვთქვი. არც ვნანობ, მგონია, რომ სწორად მოვიქეცი, სამაგიეროდ — პოლიტიკური თავისუფლება შევინარჩუნე.

**— დაბოლოს, ბატონო თემურ, ვისი იმედი გაქვთ ამ არჩევნებში, ვინ გაფინანსებთ?**

— პირველ რიგში ჩემი გუნდის იმედი მაქვს, არავინ არ გვაფინანსებს. 20-30 ათას დოლარს ალბათ კაპიკ-კაპიკ შევაგროვებთ. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ჩვენს ბილბორდებს, ვერც სარეკლამო კლიპებსა და პლაკატებს. ძალზე მოკრძალებული წინასაარჩევნო კამპანია გვექნება. მთავარი სულ სხვა რამ არის — ეს ავადმყოფი სისტემა უნდა შეიცვალოს საპარლამენტო რესპუბლიკით. ოპოზიციამ უნდა შეძლოს ამ იდეის ირგვლივ გაერთიანება. უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, გავმართოთ პოლიტიკური დისკუსია და თვითონ ხალხმა განსაჯოს — ვის დაუჭერს მხარს. მინდა ყველას ვურჩიო თქვენი გაზეთის მეშვეობით: თუ ვინმეს რაიმე ვაწყენინე, ბოდიშს ვუხდი, თუ მე მატკინეს გული — არავისგან ანალოგიურს არ ვითხოვ. ოპოზიციურ ძალებს ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვაქვს, რადგან ერთი მიზანი გვაერთიანებს...

**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

◉ განსჯა

## საით მიდის საქართველო?

(მესამე გვერდიდან)

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ამ ხელისუფლების „სასარგებლოდ“ და არკადის „საზიანოდ“, მაგრამ რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. მით უმეტეს, რომ პატარკაციშვილს ჩემი დაცვა არ სჭირდება. თუმცა ერთი რამ უნდა დავამატო: „მე იმ კაცზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვისაც ორი სამშობლო აქვსო“, — განაცხადა ნოდარ გრიგალაშვილმა. ანუ, პატარკაციშვილის ებრაელობას გაუსვა ხაზი. თავის დროზე ცხონებულმა გურამ ფანჯიკიძემ ბატონი ნოდარი, გულით ქართველი კაციაო, ასე გამაცნო. და ეს ხდება იმ საქართველოში, რომელიც ებრაელ ხალხთან 26-საუკუნოვანი ძმობით ამაყობს. საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე ათასი ჯურის ხალხი შეუფარებია, დაუსახლებია, ლუკმა გაუყვია და ამ სიკეთეზე სიკეთით თუ ვინმეს უპასუხნია, პირველ რიგში ებრაელ ხალხს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ე. წ. „ქართველი ებრაელი“ განსაკუთრებული ცნებაა, რითიც ამაყობენ ისრაელში წასული აქაურები, რომელთა ღირსეული შვილია ბადრი პატარკაციშვილი, სოლოლაკში გაზრდილი თბილისელი კაცი.

### რა იქნება 2008 წლის 6 იანვარს?

**დიახ, 6 და არა 5 იანვარს, რადგან არჩევნების მეორე დღეს გაირკვევა — გადაურჩება თუ ვერა ჩვენი სამშობლო ნაციონალურ ჭირს. და აქ მხოლოდ სააკაშვილის პრობლემა არ არის. რაღაც მანქანებით სააკაშვილის კვლავ გაპრეზიდენტება მისი ამაზრზენი გარემოცვის პარპაშის გაგრძელებას ნიშნავს, რომელიც ცხვირში ძმრად გვადენს დღეს გაცემულ ავანსებს ვაუჩერებისა თუ ფულადი საჩუქრების სახით, მარჯვნივ და მარცხნივ უპრაგონოდ რომ არიგებს პრეზიდენტობის კანდიდატი სააკაშვილი. ამას სხვანაირად ხალხის მოღორება ჰქვია. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას, რომელსაც ხალხის დასაქმების 3-თვიანი პროგრამა ჰქვია, ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. იმ ჭყლეტა-ჯგლეთაში გულის შეტევით გარდაიცვალა 57 წლის ქალბატონი.**

აქამდე სააკაშვილის საშინაო დაბალი რეიტინგი საგარეო მაღალი რეიტინგით ბალანსირდებოდა. ანუ დასავლეთი ქვეყნის შიგნით არსებულ უსამართლობაზე თვალს ხუჭავდა. 7 ნოემბრის შემდეგ ასე აღარ არის. ინტერნეტსაიტები გადაჭედილია ამ ხელისუფლების, პირადად სააკაშვილის მიმართ ნეგატიური მასალით, ანუ დიდი შანსია იმისა, რომ თუ ესენი მასობრივი გაყალბების გზით დარჩებიან ხელისუფლებაში, სხვა გზა კი ნამდვილად არ ჩანს, დასავლეთის დემოკრატიულმა სამყარომ შეიძლება არ სცნოს არჩევნების შედეგები. „ვაშინგტონ პოსტმა“ სარედაქციო წერილში პირდაპირ დაწერა — „ათი მუშარაფი ვერ ავნებდა აშშ-ს იმიჯს ისე, როგორც ერთმა სააკაშვილმა ავნოო“. ეს გაზეთი, როგორც ჩვენში იტყვიან, პრაქტიკულად აშშ-ს სამთავრობო გამოცემაა და, აქედან გამომდინარე, იქ დაწერილი ყველა სიტყვა თეთრი სახლის პოზიციაა.

ასე რომ, გიგა ბოკერიას ამასწინანდელი განცხადება — „ჩვენ შეიძლება მარტო დავრჩეთ, მაგრამ მაინც არ გვეშინიაო“, მრავლისმეტყველი და მიმანიშნებელია. ანუ 6-ში არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციით აღშფოთებული ხალხი თუ ქუჩაში გამოვა, დასავლეთის იმედი არ უნდა გვქონდეს. აშშ აქ ისე ვერ მოიქცევა, როგორც გრენადაში მოიქცა, აქ ვერ და არ ჩაატარებს ლოკალურ სამხედრო ოპერაციას. ერთადერთი, რითიც დასავლეთი „დაგვეხმარება“, მკაცრი განცხადებები იქნება, რასაც „ესენი“ ფეხებზე დაიკიდებენ და ისევ დაგვარბევენ. თანაც არა მარტო რეზინის ხელკეტ-ტყვიებით. ამათ მიერ ნაგინები რუსეთის „კალაშნიკოვის“ ავტომატებიც შეიძლება აკაკანდნენ.

ერთი სიტყვით, მაღლა ღმერთის და მიწაზე ჩვენი უწმინდესის იმედიღა მაქვს. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ანუ სააკაშვილის დარჩენა — „არჩევნის“ შემთხვევაში ახლავე ვაცხადებ — რომელიმე ქვეყანას პოლიტიკურ თავშესაფარს ვთხოვ. თუ რომელს, კონკრეტულად ამას იმის მიხედვით გადავწყვეტ, თუ რომელი სცენარითაც დარჩებიან ესენი — ხელისუფლება-იზოლაციაში. ასეთი სცენარი, ჩემი აზრით ორია, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამაზე მომდევნო წერილში! თუ, რა თქმა უნდა, მანამდე მაცალეს და რამე არ გამიჩალიჩეს.

**დავით მხეიძე**

**ჩვენ**

● ისე არ მინდა გამომივიდეს – თუ სახედარი გამოდგა შავი, მას ბედაური ჰგონია თავიო. ბედაური ნამდვილად არ მგონია თავი, თუმცა ერთს გეტყვით: თუ დღევანდელი თაობა, ერი და ბერი ბოლოს და ბოლოს არ მიხვდება, რომ ქვეყნის ბედი ჩვენს თაობას ჩააბაროს, არაფერი გვეშველება“



◎ მარათონისკენ ლოზუნგებითა და პოეზიით

# ავთანდილ მარგიანი: თუ გავიმარჯვებ, ედუარდ შევარდნაძეს მრჩეველთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ მოვიწვევ

## ვინ არის შავი სახედარი და ვინ ბედაური?

**პრეზიდენტობის კანდიდატების სიაში პოლიტიკური კავშირი „ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ავთანდილ მარგიანიცაა.**

„საქართველოს ერეკლეს ხედვა, ილიას სიბრძნე და აღმაშენებლის საქმიანობა სჭირდება“, „რუსეთი ჩვენი კეთილი მეზობელი, ერთგული მეგობარი და სულიერი ძმა“, „წინ დასავლეთისკენ, რუსეთთან ერთად“ – აი ეს არის დევიზები და მიზნები „ერთიანი საქართველოსი“, რომელშიც 12 პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანებული.

ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის დროს, როცა ბატონი ავთანდილი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ იყო დანიშნული, იმდროინდელი პრეზიდენტისგან ამგვარი ქებაც კი დაუმსახურებია: „აღმაშენებლის შემდეგ, შენნაირი, ჯერ არ დაბადებულაო“. თუმცა მარგიანის განმარტებით, ეს შეეხება არცთუ უსაფუძვლოდ დაიმსახურა, რადგან კოდორის ხეობის შენარჩუნება, სამოქალაქო ომის უსისხლოდ დამთავრება და ბევრი სხვა სასიკეთო საქმე სწორედ მისი დამსახურებაა.

დღეს მას საქართველოს პრეზიდენტობის ამბიცია აქვს. საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისთანავე, ავთანდილ მარგიანის პოლიტიკურ კავშირში გაერთიანებულმა თორმეტმა ორგანიზაციამ მისი კანდიდატურა ერთხმად დაასახელა და პრეზიდენტობისთვის მზადებაც დაიწყო.

მას სურს გახდეს ქვეყნის მეთაური და ფიქრობს, რომ მისი გუნდი, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იმათთაგანი ნამდვილადაა, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან ყველაზე მალე გამოიყვანს.

„ჩვენი ყურადღება, განსაკუთრებით, აფხაზ და ოს ძმებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების, ასევე რუსეთთან კეთილმეზობლური და ძმური ურთიერთობის აღდგენას და სახელმწიფო წესრიგის დამყარებას დაეთმობა. ხელფასი და პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალი იქნება. აღდგება სოციალური სამართლიანობა და ხალხის მითვისებული ქონების უკან დაბრუნება დაიწყება. ეს ჩვენთვის რთული არ იქნება და არც ბევრი დრო დაგვჭირდება. 3 წლის შემდეგ კრიზისი მთლიანად დაიძლევა.“

ავთანდილ მარგიანი არ მალავს, რომ ხელმოწერების შეგროვება ცოტა რთული პროცესი იყო და ბევრი სირბილიც დასჭირდა, თუმცა ხელმოწერების სრულად შეგროვების იმედი ნამდვილად ჰქონდა. იგი ფიქრობს, რომ თუ ხალხში აზროვნება დეგრადირებული არ არის, მას დიდი მხარდაჭერა ექნება:

„25 წლის ასაკიდან, თითქმის ყველა გვიცნობს და იციან, რომ ჩვენი გუნდი საუკეთესოა. ხმას ბევრად მეტი ადამიანი მოგვცემს, რათა გავაკეთოთ ის, რასაც ვლაპარაკობთ. ჩვენი სიტყვის და საქმის ერთიანობა კი ყველასათვის ცნობილია. მართალია, ყველა კანდიდატს პატივს ვცემ, თუმცა ჯერჯერობით, მათ დიდი დრო სჭირდებათ ისეთი გუნდის შექმნამდე, როგორიც ჩვენია. ზოგს გამარჯვების დიდი იმედი აქვს და ძალიან ცდება. ოპოზიციურ პარტიებს შორის თუ უფრო მეტი შეთანხმება და კავშირი არ იქნება, იმის დიდი შანსიცაა, რომ არჩევნები ჩაიშალოს. მინდა, რომ კომპეტენცია, ცოდნა, გამოცდილება და ერთგულება დაფასდეს, მაგრამ ბოლო 5 წელია, საქართველოში ტალანტები იდევნებიან.

თქვენი გაზეთის მეშვეობით, ყველა ოპოზიციის წარმომადგენელს მინდა მოვუწოდო, რომ შევიკრიბოთ და აზრები და ხედვა ერთმანეთს გავუზიაროთ. იქნებ ვინმე ჩვენზე უკეთესიც აღმოჩნდეს? ახლა, ისე არ მინდა გამომივიდეს – თუ სახედარი გამოდგა შავი, მას ბედაური ჰგონია თავიო. ბედაური ნამდვილად არ მგონია თავი, თუმცა ერთს გეტყვით: თუ დღევანდელი თაობა, ერი და ბერი ბოლოს და ბოლოს არ მიხვდება, რომ ქვეყნის ბედი ჩვენს თაობას ჩააბაროს, არაფერი გვეშველება“.

ავთანდილ მარგიანმა იმ პიროვნებებზეც ილაპარაკა, რომლებსაც, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მთავრობაში დაასაქმებს. მან სმკ-ს რამდენიმე ცნობილი წევრიც დაასახელა, რომლის ერთგულებაში და პატიოსნებაში ეჭვი დღემდე არ ეპარება.

„ზოგიერთმა პარტიამ ისეთი კადრები წარმოადგინა, რომ... რისი იმედი აქვთ, ვერ ხვდები. ყველა სფეროში შესანიშნავი კადრები შევარჩიე. მარტო აგროკომპლექსს ისეთ ადამიანებს ჩავუყენებ, რომ ძალიან მალე აღორძინდება. საინტერესო კადრები მეყოლება ჯანდაცვაში: ირაკლი მენაღარიშვილი, ამირან გამყრელიძე...

ედუარდ შევარდნაძეს პოლიტიკა, თავისი ცოდნით და პატიოსნებით, სწორად შეეძლო წარემართა, თუმცა ის დასავლეთელმა მეკობრეებმა (და არა მეგობრებმაძ მოატყუეს. მას ძალიან დიდი მაფია შეესია, თორემ ის, ასეთ ვითარებაში, თავის ქვეყანას არ მიატოვებდა... თუ მე გავიმარჯვებ, ბატონ ედუარდს მრჩეველთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ სიამოვნებით მოვიწვევ“.

წესისამებრ წინასაარჩევნოდ, საკუთარი გუნდის რეკლამას დიდ ყურადღებას უთმობენ, თუმცა ავთანდილ მარგიანი ფიქრობს, რომ მისი გუნდი და კანდიდატურა რეკლამირებას არ საჭიროებს, რადგან მისი სიტყვაც და საქმეც ისედაც ყველამ იცის. მათი პროგრამა რეალობაზეა აგებული და არა ზღაპრებზე, ილუზიებზე და ფუტურიზმზე.

მან ასევე აღნიშნა, რომ სხვებთან შედარებით, საეთერო დროში შეზღუდვას გრძნობს, თუმცა აქვე ივარაუდა, რომ ეს შესაძლოა მხოლოდ შემთხვევითობა იყოს, რაც უახლეს დღეებში დადგინდება.

მართალია ავთანდილ მარგიანი დღეს პრეზიდენტობის კანდიდატია, მაგრამ მაინც აღნიშნავს, რომ საქართველოში პრეზიდენტობის ინსტიტუტმა არ გაამართლა.

– „აქამდე სამი პრეზიდენტი გვყავდა. მათ ჰქონდათ რაღაც დადებითი, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ვერც ერთი ვერ მოერგო იმ ქვეყანას, რასაც საქართველო ჰქვია. ისინი მაღალფარდოვან სახელებს – ნაციონალურს, ეროვნულს, დემოკრატიულს ირქმევენ, მაგრამ მაინც დამონებულ ქვეყანას ტოვებენ და ისე მიდიან. ან რატომ „შემოაგდეს“ ასე მოულოდნელად საპრეზიდენტო არჩევნები? საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო კონსტიტუციურ ვადაში და სწორედ პარლამენტი გადაწყვეტდა ყველაფერს.

„ერმა თუ ვერ ცნო თავის პატრონი, ეშმაკი ხდება მისი ბატონი“ – ამ წინასაარჩევნო ლოზუნგით დაასრულა მან საუბარი და ქართველ ხალხს მოუწოდა – ასაკოვანი, მაგრამ პროდუქციული ფუტკარი გერჩიოთ, ახალგაზრდა, ენერგიულ ბუზებსო.

**სოფიო გოგლიძე**

***P. S. ავთანდილ მარგიანი კანდიდატთაგან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც პოეზიის ნიჭი აღმოაჩნდა. მან დიდი პატივისცემა გამოხატა ჩვენი გაზეთის მიმართ და ექსპრომტად ლექსიც მიუძღვნა...***

*არა გჩვევიათ, ძმობილნო,*
*სიტყვა ხან ისე, ხან ასე,*
*დაგყვებათ კავკასიონის*
*სიდინჯე, სიდარბაისლე.*

*ზოგიერთივით თქვენ რწმენა*
*ასჯერ არ გამოგიცვლიათ,*
*საქართველო და ილია*
*გულის ნათელად გიცვნიათ.*

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

◎ ჰაერყლაპიას მონოლოგი

# გინესის რეკორდების წიგნში ცარიელი ბიუჯეტით შევალთ?

***„მილიონი, მილიონი ალისფერი ვარდი“... არა, ვარდი არა, დღეს წინასაარჩევნოდ მილიონი დაპირება ცვივა ციდან, განსაკუთრებით მეორე ვადას შეჭიდებული კანდიდატი აქტიურობს. აქამდე სულ ცაში რომ დაფრინავდა და ამქვეყნიური არ გვეგონა, თურმე შევმცდარვართ, გლდანი რომ გლდანია, ყველა მისი კუთხე-კუნჭული ზეპირად სცოდნია, ეტყობა კოსმოსიდან აკვირდებოდა და სურათებს უღებდა თვითეულ ორმოს, საკანალიზაციო ჭას, სათითაოდ კრებდა „ბირჟაზე“ მდგარ დაუსაქმებელ ადამიანებს, არც გაურემონტებელი სკოლა თუ ბაგა-ბაღი გამორჩენია... არც ნახევრად მშიერი პენსიონერები, ჩვენ რომ გვეგონა, თავისი ხალხის გულისთქმა არ ესმოდა, სიცრუე ყოფილა და წინასაარჩევნოდ ყველა პრობლემა არ გადმოგვილაგა? ახლაც იტყვით, პრეზიდენტს ხალის გაჭირვებისა არაფერი გაეგებოდაო?***

ვილაცამ იხუმრა, ჯადოსნური მთა ჰქონია, სეზამ, გაიღეო – და გადაიხსნება მთა, და ცვივა იქიდან ფული, ფქვილი, შეშა, სტიპენდიები, მარილი, პამპერსები... ნაირფერი საჩუქრები ბავშვებისა თუ მოხუცებისთვის... მე თქვენი ვარ, ხალხო, ამირჩიეთ მეორე ვადითაც და ყველა პრობლემას მოგიგვარებთო, უბან-უბან, სოფელ-სოფელ, კონცერტ-კონცერტ თავის ამომრჩეველს ეაჯება. რა სჯობს ასეთ კანდიდატს, თან დაპირებებით გვაიმედებს, თან უფასო სიმღერაც ჩვენია! უბრალო სიმღერა არ გეგონოთ, გმირზეა, რომელსაც ხელი უნდა გავუწოდოთ და გავამარჯვებინოთ...

მერე რა, თუ სახელმწიფო ხაზინა ცარიელია და ფულის უმაგალითო ხარჯვის ეპოქაში ვცხოვრობთ, და ბიუჯეტიდან ერთი მილიარდი ლარი გატანილია (ლეიბორისტთა თქმითძ, თუ ამის გამო არჩევნების შემდეგ ოპოზიცია გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას გვიწინასწარმეტყველებს. დიდებულია! თუნდაც ამით საქართველო იამაყებს, ეს იქნება ამ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე დიდი მიღწევა – ცარიელი ხაზინით და ბიუჯეტით პირდაპირ გინესის წიგნში! ასე უფრო უკეთ გაგვიცნობს მსოფლიო, საერთაშორისო ორგანიზაციები, ჩვენთან კი მოისპობა უმუშევრობა და აღარ იქნებიან დამშეულები. აბა, რისთვის ამოქმედდა ნანინანატრი დასაქმების პროგრამა 100 ათასი სამუშაო ადგილით.

მართალია ამ ყინვა-ყიამეთში დასაქმების პუნქტებთან ხალხმა რიგში ღამე გაათენა (ერთი ქალბატონი ამ კოშმარულმა რიგმა იმსხვერპლა კიდეცძ, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია? სხვანაირად აფთიაქებში ვინ დაასაქმებდა ახალი დროის მარკშეიდერებს, ან დამლაგებლის სარფიან 600-ლარიან სამსახურს ვინ იშოვიდა?

ბევრი, გულწრფელად ვიტყვი, ამაოდ მიაწყდა გულისშემაწუხებელ რიგს, რასაც ეძებდნენ, ის ვაკანსიები უკვე შევსებული დახვდათ. ხმა გავრცელდა, ამ ადგილებზე ურიგოდ ნაცმოძრაობის წევრები აღმოჩნდნენ. მათ ხმები მხოლოდ „ხუთოსანი“ კანდიდატისთვის ჩაცვივა საარჩევნო ყუთებში. მაშ, როგორ, თუ სამსახური გინდათ, წითელი „ხუთიანიც“ და მისი კანდიდატიც უნდა გინდოდეთ. მხოლოდ ის გადაარჩენს ქართველ ხალხს, არ გეყოთ, მთელი ცხოვრება მხოლოდ ჰაერის ყლაპვით რომ იყავით დასაქმებული?

გულში შემომეყარა – ჩვენმა დიდმა ტრადიციონალისტმა აკაკი ასათიანმა სულ გააფარჩაკა ეს დასაქმება, ხალხის შეურაცხყოფად და აბუჩად აგდებად მიიჩნია. პიარი კი არა, რაც ხდება, ხელისუფლების ფართხალიაო, როგორ შეიძლება იმ ქვეყანაში იცხოვრო, სადაც 60-პროცენტიანი უმუშევრობააო. ისეთი ტონით ლაპარაკობდა ტელევიზორში, ამ ქვეყნიდან გადახვეწას ხომ არ აპირებს-მეთქი, გავიფიქრე.

ანდა, რა გასაკვირი იქნება, ასეც რომ მოიქცეს, თუ არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს? ისეთი პირი უჩანს ამ კამპანიას, ვგონებ, ნახევარი საქართველო თავქუდმოგლეჯილი თურქეთსა და რუსეთში გარბოდეს. ეს ხელისუფლება თვითიზოლაციის გზას ადგას, არც რუსეთი უნდა და არც ამერიკაო, – არგუმენტად ეს მოაქვთ საემიგრაციოდ ჩემოდნებჩალაგებულებს. თვითიზოლირებულ, დახურულ ქვეყანაში სადაც გამუდმებული თვალთვალი და სატელეფონო მოსმენებია, ვილას მოუნდება ცხოვრება? აი, მაშინ კი მართლა გადაიქცევა საქართველო უქართველებო ქვეყნად, გაყიდული მიწა-წყლითა და ტყე-ველით. „მილიონი ალისფერი ვარდი“... უკაცრავად, მილიონი დაპირება კი ჩაილურის წყალს დალევს. რა, აქამდე ასე არ იყო, თუ ახლა, ერთ თვეში შეიცვლება ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ? ნუთუ მართლა ცხვრებად მიაჩნიათ ამდენი ხალხი?

მეტი რა გითხრათ, ამას წინათ ქუჩაში ნაცნობი შემხვდა, მოვიკითხეთ ერთმანეთი და ბოლოს ასე დამემშვიდობა, მიშას მეორედ მოსვლამდე არაფერი გეტკინოსო. ეგ როგორ-მეთქი? როგორ და ასი წელი კარგად იქნებიო... ისე დამაჯერებლად მითხრა, არ შემეძლო თქვენთვისაც არ გამეხილა.

7 ნოემბრის შემდეგ თავზარდაცემული და მაინც ოპტიმისტი მკითხველისაგან ჩაიწერა

**თამარ შაიშმელაშვილმა**

# დღევანდელობა

უმუშევართაგან ზოგმა, რახან პრეზიდენტის ვაკანტური ადგილი გაჩნდა, ბედს ვცდი, იქნება სამსახური ვიშოვოო და დაწერა განცხადებები. თავდაპირველად 22 პრეტენდენტი იყო...

ხალხო, მოდით, ავირჩიოთ ოცდაორივე. ამ უმუშევართა ასი ათასებს ცოტა მაინც ხომ მოაკლდება?!



## ◉ ინფორმაცია

### იწყება ბიჭვინთის რეკონსტრუქცია

**აფხაზი სპეციალისტები ბიჭვინთის რეკონსტრუქციის პროექტს ამუშავებენ, რომლის განხორციელებაც 2 მილიარდი დოლარი დაჯდება.**

**ამის შესახებ რუსეთის ტურინდუსტრიის კავშირის პრეზიდენტ სერგეი შპილკოს ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება.**

**შპილკოს თქმით, პროექტი თანამედროვე მრავალპროფილური ცენტრის მშენებლობას ითვალისწინებს. საუბარია 20 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორიის განვითარებაზე, არსებული პანსიონების და გამაჯანსაღებელი კომპლექსების რეკონსტრუქციაზე, 4-5-ვარსკვლავიანი ახალი სასტუმროების მშენებლობაზე.**

**„მოეწყობა გოლფის მოედანი, იახტ-კლუბი, სპაცენტრი, ელიტ-კლასის კოტეჯების დასახლებები, გასართობი კომპლექსი, მაღაზიები, რესტორნები, გაქირავების პუნქტები, ჩოგბურთის კორტები, ფიტნესი, სპორტული მოედნები და იპოდრომი“, – აღნიშნა შპილკომ.**

**მისივე განცხადებით, რუსი ტუროპერატორები ამ პროექტზე დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან აფხაზეთზე მოთხოვნილება შეთავაზებას ბევრად აღემატება.**

### პარლამენტარებს პლენარულ სხდომაზე მისვლა ეზარებათ

**გუშინდელი პარლამენტის პლენარული სხდომა, კვორუმის არარსებობის გამო, ნახევარი საათით გადაიდო.**

**სხდომა 11.00 საათზე უნდა დაწყებულიყო და მხოლოდ ერთი საათი უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა დარბაზში მხოლოდ 40-მდე დეპუტატი შეიკრიბა.**

**პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მაჭავარიანმა რეგისტრაციის ჩატარებაც გადაიფიქრა და დეპუტატებს ნახევარ საათში შეკრება მოსთხოვა.**

**ამის შემდეგ მაჭავარიანი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის კაბინეტში შევიდა, სადაც პრეზიდენტის რწმუნებულების შეკრება მიმდინარეობდა.**

**გუბერნატორებს შეხვედრამდე რაიმე კონკრეტული განცხადებები არ გაუკეთებიათ და მხოლოდ აღნიშნეს, რომ საუბარი მიმდინარე საკითხებს შეეხება.**

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ გულის ბუხარი

# არა შეჯდა მწყერი ხესა



## იქნებ აგვერჩია 22 პრეზიდენტი?!

**იმ დღეს საათნახევარი დაძაბული და მიყურადებული ვუსმენდი პრეზიდენტის სატელევიზიო ინტერვიუს. ბეღურასავით მობუზული, „იმედიდან“ გადმოტაცებული ინგას ცქერით გული მეწურებოდა.**

**გალიაში გამომწყვდეული არწივიც კი, ლომის კლანჭების შემყურე, განა საბრალო არაა.**

ამ დროს, მართლაც უცნაური მოსასმენი იყო, ჟურნალისტი ერთს ეკითხებოდა, ის კი თავისას გაიძახოდა. ეეე, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ამისთანებმა აუხდინეს საქართველოს „ზოგი ასე უბერავს, ზოგი ისე უბერავს...“ და მაინც, რაღაც იმედი მიჭიატებდა 7 ნოემბრის შემდეგ, მეგონა, თავად მივლენ ლოგიკურ დასკვნამდე, თავად მიხვდებიან (ყველაფერს ვერა, მაგრამ ბევრს და საჭიროს-მეთქიძ. ამ შეძრულ ქვეყანაში ძირისძირობამდე სასოწარკვეთილ ხალხს ცოტა ხნით მაინც დაუმალავენ თავიანთ შინაგან სახესა და მისწრაფებებს-მეთქი, მაგრამ...

ეს ჩვენი „პატრონი“ რაღაც ადამიანურს, საკუთარი ერის მალამოდ დასადებ ერთ ფთილა ღრუბლისმაგვარს გაიმეტებდა, მეგონა. სამწუხაროდ, ისევ ის „მრავალჯერ ნამღერი“, ათასჯერ ყურების დამღლელი არაფრის მომტანი სიტყვები, დაპირებები, პიარი, პიარი და სხვა არაფერი. ერთი კი გავივლე გულში, რა იმემკვიდრეს სხვა მოქკავშირიდან (ესენი ხომ ერთ დროს მოქკავშირის აქტივისტებიც იყვნენ, თითქმის ყველა, უკლებლივძ, სხვა მეტი რა აკეთეს ან იქ, რით გამოიჩინეს და დაიმკვიდრეს თავი?! ჰოდა, რაღა მიკვირს, ივანემ ჩოხა გამოიცვალა, კიდევ გამოიცვლის, შედეგი?!

კი, ბატონო, გზები რომ საჭიროა და ქვეყნის იმიჯისთვის აუცილებელი, ეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე სპარსთა მძლეთამძლე მეფემ კიროსმაც უწყოდა. რომაელებმაც იცოდნენ, რომ ქვეყანაში პირველად შესული უცხოელისთვის სწორედ კარგად დაგებული გზები იყო მათი იმპერიის პირველი სახე და რეპუტაცია და სწორედ ამიტომ ისეთი გზები დააგეს, იმპერიის დანგრევის შემდეგაც, ასეულობით წლის განმავლობაში იწვევდა გაკვირვებას.

ჩვენი დღევანდელი საქართველოსთვის კი გზა მაშინაა კარგი, როცა თავისი ქვეყნის ძირძველი პატრონი ქართველი კაცი (არა დამშეულ-დაჩიავებულ-„დაბრედილი“ძ მასზე ამაყად, თავაწეული გაივლის. ეს შადრევნებიც, კი, სილამაზეა, უდაოდ დაამშვენებდა აღმშენებლობის მოტრფიალე ქვეყანას, მაგრამ მათ თუ გასაწყლებულ პენსიონერთა უფასო სასადილოში მოხარშული წყალწყალა სუფის სუნი ასდის, რის მაქნისია, ვინ რა თავში იხლის?!

საკვირველია, მიშა-ბატონს ის ყბადაღებული კალაშოვი არ ავიწყდება. აი, სამშობლოდან ევროპასა თუ ამერიკაში გადახვეწილი იძულებითი ლტოლვილების, ლამის მთელი დედამიწისთვის მონებად მირთმეული ქართველობის ბედი, რომელთა რაოდენობა დღევანდელი მონაცემებითაც რეკორდულად იზრდება, არამც და არამც, სად სახსენებელია, სად გასათვალისწინებელი, ვინ არიან, რას დაეძებენ?!

აი, მრავალშვილიანებზე, დემოგრაფიაზე კი თქვა...

ბატონო მიხეილ, ჩვენს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სხვებთან ერთად, მეც არაერთი წერილი თუ სტატია მივუძღვენი ქვეყანაში შექმნილ სავალალო დემოგრაფიულ მდგომარეობას, რასაც გარედანაც კი გვიკიჟინებდნენ, მაგრამ დღემდე კაციშვილი არ გამოხმაურებია. თქვენ რაღა ახლა, წინასაარჩევნოდ გაიკარით ხელი ჯიბეზე?! შუქისა და გაზის ვაუჩერებისა არ იყოს, განა აქამდე არ იცოდი, შენი ხალხი უკიდურეს სიდუხჭირეში რომ ლაფავს სულს, კაცმა ცოლშვილი რომ გადაარჩინოს, წელებზე ფეხს იდგამს, ენით აუწერელი შრომით ნაშოვნ თითოეულ გროშ-კაპიკს ეზღაუჭება, შედეგი კი მაინც სილატაკე და უიმედობაა. ქართველი ქალები უცხოეთში რომ არ იყვნენ სამუშაოდ და ტანჯვა-წამებით ნაშოვნი ფულებით ოჯახებს არ ინახავდნენ, აქამდე ხომ სული გაგვძვრებოდა?!

ახლა რომ ააფეთქეთ დასაქმების პროგრამა, ნეტავ ადრინდელით რა გაკეთდა, ფეხების სამთვიანი წავარჯიშება უშველიდა იმ უმუშევარ და სოციალურად დაუძლურებულ ხალხს?! სწორედ ფეხის წავარჯიშებაა, თორემ ის ფულადი თანხა, რაც მათზე იყო გამოყოფილი, ტრანსპორტის ფულადაც ძლივს ეყოფოდათ. მაშინ 100 ათასი კაცი დაასაქმეთ, სამი თვის განმავლობაში თითოეულს 450 ლარი კი გადაუხადეთ, მაგრამ, რატომ აღარ იკითხეთ, რეალურად ერთი-ორი მაინც თუ დასაქმდა, თუ გამოილო შედეგი ამ დიდმა სოციალურმა პიარ-კამპანიამ?! იქიდან ერთი პროცენტიც რომ მოწყობილიყო სამუშაოზე, არც ეს იქნებოდა ურიგო საქმე, მაგრამ...

რა ქნან იმ ბიზნესმენებმაც, მათ იმდენი ადამიანი ჰყავთ დასაქმებული, რამდენიც მათ ბიზნესის სტაბილურობას სჭირდება (საუბრის სხვა თემაა, თუ არსებობს ან მათი ბიზნესისათვის სტაბილურობის მინიმალური გარანტიები დღევანდელ საქართველოშიძ, თორემ მეტი თუ იტვირთა, ხომ გაკოტრდება, თანაც ისედაც გვარიანად რომ ატყავებენ სახელმწიფო საგადასახადო სამსახურები?! სართიჭალელ მეწარმეს იკარუსით რომ დაასიეთ ხალხი, რაო, გამოვიდა რამე?!

პენსიებს გავუზარდეო, ტრაბახობთ, ვითომ ეგაა და აღარ იციან სად დახარჯონ აწი ეგ გროშები. აბა ბაზარში გაიარეთ, მაღაზიებში შეიხედეთ... მარილი კი გააიაფეთ, მაგრამ სხვა ყველაფრის ფასი რომ ლამის გაორმაგდა და აღარა აქვს ძალა ამ თქვენს ლარს. ასე თვალსა და ხელს შუა წაერთვა მსყიდველობითი უნარი, თქვენი ნასუქ-ნასუქი ეკონომიკის მამების გადამკიდეს, ამას ვერ ამჩნევთ თუ შეგნებულად იბრმავებთ თვალებს, საკითხავია.

თქვენმა ბენდუქიძემ, თუ რამე ღირებული შეუქმნია ხალხს გასულ საუკუნეში, ყველაფერი რომ გაყიდა, გააჩალავა, ფულით ორიოდე საწარმო მაინც რომ გემუშავებინათ, თუნდაც იმ ასიდან, წლების მანძილზე რომ გვპირდებით, ავამუშავებ და სოფლებსაც გავაძლიერებო, საქმე ცოტათი მაინც ხომ წავიდოდა წინ, ხომ ოდნავ მაინც ამოვხოხდებოდით ამ სიდუხჭირის ჭაობიდან, ხალხი ხომ მოითქვამდა სულს?!

გლეხებმა ლამის ჭები ამოავსონ, მალე მოვლენ და გაგვიზომავენ, 4 მეტრზე ღრმა თუ აღმოგვაჩნდა, დაგვბეგრავენო. ამ დალოცვილ, ღვთისგან ბოძებულ მიწაზე რა უსაშველოდ გვავიწროვებ და გვაშინებ, როგორ უნდა ვინატროთ პირველყოფილი წყობილება, მაშინ ხომ წყალი და ჰაერი მაინც ჰქონდათ უფასო?!

ჩემს მშობლიურ სოფელში, მარტვილის რაიონში რომაა, ერთ დროს არსებული 240 კომლიდან ახლა ათიოდე ბერიკაცი თუ დალანდალებს. ზოგი ელიავაზე დაძრწის, ზოგი ლილოს ბაზრობაზეა და ლუკმაპურისთვის რაღაცას ეზღაუჭება, ბევრიც ქვეყნიდან გადაიხვეწა, ვინ იცის, სამუდამოდ. არადა, სოფელი რომ დაძაბუნდება, გლეხი კაცი გადაგვარდება, ქვეყნის დასასრულის დასაწყისიც მაშინაა მოსალოდნელიო, გამიგია. მერე დარჩება კი საქართველოს სახელი?! იქნება კი აქ ქართული ეთნოსი, თუ ასე გააგრძელეთ თქვენ და თქვენმა ეგრეთ წოდებულმა „გუნდმა“?! არა, დროებით კი შერჩება სახელად საქართველო ამ მიწა-წყალს, მაგრამ...

დაფიქრებულხართ ოდესმე იმაზე, რა ძვირი უჯდება საქართველოს ნაცმოძრაობის ყველა ის გუნდური ფრენა, ხალხის კისრიდან ბიუჯეტის გამდიდრებისკენ რომაა ვითომც მიმართული, დაფიქრებულხართ ამ ქვეყნის და ხალხის მომავალზე? ერიც ხომ პიარი არაა, ერი ცოცხალი ორგანიზმია და თქვენი ნაცმოძრაობის გუნდი მის სიცოცხლეს ეთამაშება, თითქოს ასე ადვილი იყოს ეს, თითქოს აღარაა სხვა გასართობი განდიდების მანიით შეპყრობილი უამრავ პარტიაგამოცვლილი ბიჭ-ბუჭებისთვის. თქვენ უკვე ოფიციალური პრეზიდენტი აღარ ხართ, მაგრამ მაგ გუნდის მიერ აგორებული პიარ-მანქანა კვლავ მუშაობს და რა არასასიამოვნო მოსასმენიც არ უნდა იყოს, მუშაობს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი მისწრაფებებით, იყენებს ქვეყანაში დარჩენილ ყველა რესურსს საკუთარი მოძალადეობრივი პოლიტიკის განსამტკიცებლად.

აი, რატომ მოვიდა 2 ნოემბერს ის 160 თუ 180 ათასი კაცი რუსთაველზე ( თუმცა თქვენ ამ რიცხვის აღიარებაც არ გინდათძ, პარლამენტის წინ, სადაც 7 ნოემბერს ასე კეთილად გაუმართეთ „ზეიმ-დღესასწაული“, მაგრამ თქვენთვისაც მოვა არანაკლებ ღირსსახსოვარი „დღესასწაული“, ლეგიტიმური, მიუკერძოებელი არჩევნების სახით, მოვა და ძალიან მალე.

გეგონათ დაგვაშინებდით, პირიქით კი გამოგივიდა. 25 ნოემბერს ისე, თვით ოპოზიციონერებიც რომ არ მოელოდნენ, მათ გასაკვირადაც, იმდენი დავდექით, მსვლელობა რომ დაიწყო, მიტინგი პარლამენტთან იყო, მომიტინგეთა ბოლო ნაკადი კი ჯერ კიდევ ბარათაშვილის ხიდს არ გასცილებოდა.

მოვიდა და დაიგუგუნა...

ხალხი ითხოვდა „ტელეიმედის“ მაუწყებლობის აღდგენას, 2 ნოემბრის მიტინგის რეპრესირებულ მონაწილეთა განთავისუფლებას, სამართლიან არჩევნებს და არა პიარს, კარუსელობანას, სიყალბეს. ხელისუფლება ჯერ ყურსაც არ იბერტყავს, მაგრამ ჩვენ ისევ მოვალთ და მერეო...

მოვლენ, უთუოდ მოვლენ. აი, რუსთავშიც, ქვეყნის აღმოსავლეთის ბურჯ ქალაქში 1 დეკემბერს პრეზიდენტობის კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძესთან შესახვედრად ზღვა ხალხი მოვიდა. მოვიდა და მტკიცედ დადგა, რადგან ხალხს ტერორი, სილატაკე, სულში ჩაფურთხება მობეზრდა. 2 ნოემბერს თქვენც მრავალი შეგხვდათ, კი ბატონო, მაგრამ აბა რა ექნათ?! ისინი გააფრთხილეს, არ მიხვალთ და სამუშაოს დაკარგავთო. ისევ რეზინის ხელკეტები, რკინის ხელი და მუშტიკრივი?!

და კიდევ, უმუშევართაგან ზოგმა, რახან პრეზიდენტის ვაკანტური ადგილი გაჩნდა, ბედს ვცდი, იქნება სამსახური ვიშოვოო და დაწერა განცხადებები. თავდაპირველად 22 პრეტენდენტი იყო...

ხალხო, მოდით, ავირჩიოთ ოცდაორივე. ამ უმუშევართა ასი ათასებს ცოტა მაინც ხომ მოაკლდება?!

**გივი ჯახუა**

# აზრი

● როგორც კულუარული ინფორმაციით ირკვევა, სააკაშვილს არ უნდოდა საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, პარლამენტის არჩევნების საკითხის წამოწევა, „იმედის“ ტელესივრცეში დაბრუნება, მაგრამ აშშ-ს ელჩთან რამდენიმესაათიანი შეხვედრის შემდეგ, როდესაც მიანიშნეს, რომ ჯიუტობის შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავდა, უკან დაიხია

◎ ინფორმაცია

## სეპარატისტი ლიდერები მოსკოვში შეიკრიბებიან

მოსკოვში 10 დეკემბერს თანამეგობრობის „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის“ საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომა გაიმართება.

სააგენტო „რეს“-ის ცნობით, სხდომის მთავარი საკითხი იქნება – „აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეთა ნაციონალური პროექტების რეალიზების მექანიზმები და ღონისძიებები“.

ასამბლეის სხდომაში სტუმრის სტატუსით რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრები, დუმის დეპუტატები და რუსეთის მთავრობის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

თანამეგობრობა „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის“ სამ დე ფაქტო რესპუბლიკას – აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთს აერთიანებს.

## ავტომანქანის აფეთქებას არაფერი უკლდა

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გუშინ „ბე-ემ-ვეს“ მარკის ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

მძღოლმა ავტომანქანიდან გადმოსვლა მოახერხა. შემთხვევას, რომელიც „ეკოს“ ბენზინგასამართ სადგურთან მოხდა, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

როგორც მეხანძრეებმა განმარტეს, ცეცხლის ჩაქრობა თუნდაც რამდენიმე წუთით რომ დაგვიანებულიყო, ავტომანქანა აფეთქდებოდა.

ავტომანქანა სპეციალურ ავტოსადგომზეა გადაყვანილი.

## „კოსოვოს“ იმედი აფხაზებს ტყუილად ექნებათ

კოსოვო აფხაზეთისთვის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთისათვის არ წარმოადგენს პრეცედენტს, განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა, ბრიუსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ლადო გურგენიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

„კოსოვოს სტატუსს არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოსთან. კოსოვო არ წარმოადგენს პრეცედენტს აფხაზეთისთვის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთისათვის. ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ იმ ქვეყნებს, რომლებიც კოსოვოს პრეცედენტად შეაფასებენ“, – განაცხადა ფრიდმა.

მისივე თქმით, საქართველომ, თავად უნდა მოძებნოს ორივე კონფლიქტის გადაჭრის გზა რაც უკვე გაკეთებულია სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

„სანაკოევი ადრე საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა, ამჟამად იგი პარტნიორია“, – განაცხადა ფრიდმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან შეხვედრის შემდგომ აღნიშნა, რომ ფრიდმა მას გააცნო კოსოვოსთან მიმართებაში საკუთარი ხედვა.

ინტერპრესნიუსი

ჰი-ეიჩ-ენი

◎ შეშინებული თაგუნიას სინდრომი

# ნაციონალებს მათი მომრევი ლიდერი უძლეველი ეგონათ

*ქვეყანაში 7 ნოემბერს მიტინგის დარბევას და ამის შემდგომ პრეზიდენტის, ხელისუფლების იდეოლოგების, მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლებს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მოსახლეობაში გაჩნდა უამრავი კითხვა, მოქალაქეები, პოლიტიკოსები, ეკონომისტები, იურისტები, ექსპერტები, აანალიზებენ რა მომხდარს, სხვადასხვაგვარ დასკვნებს აკეთებენ. მომიტინგეების დარბევის შემდეგ პრეზიდენტის გამოსვლებს აანალიზებენ ფსიქოლოგებიც. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მომხდარზე რამდენიმე წუთის შემდეგ, ნანახი საშინელი სურათით დაბნეული სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და დაწყნარებულ გულზე მის გამოსვლებს შორის არსებულ უდიდეს განსხვავებებზე.*

### დარბევიდან რამდენიმე საათში

საქართველოს პრეზიდენტმა 7 ნოემბერს რუსთაველზე და შემდეგ რიყეზე მომიტინგეების დარბევის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა.

**ნინო შერაზადაშვილი (ფსიქოლოგი): „პიროვნება, როგორც კი მძიმე წუთები უდგება, სწრაფად იხსნება. ხშირად გაუწონასწორებელი პიროვნებები საქციელში არაადეკვატურები, ხოლო გამონათქვამებსა და განცხადებებში ურთიერთგამომრიცხავი აზრების მქადაგებელნი ხდებიან.**

**მომხდარიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ტელევიზიით გამოსვლისას პრეზიდენტს არაპროფესიონალი თვალიც შეამჩნევდა, რომ იგი ღელავდა, გარკვეულ მომენტებში გამოსვლელის ცინიზმი და ემოციები მის აშკარა დაბნეულობაზე მიუთითებდა. პირველი საეთერო მიმართვა სააკაშვილმა ასე დაიწყო: „ჩემო დებო, ძმებო, დედებო და მამებო“.**



**პრეზიდენტის გამოსვლა არც ემოციურობას იყო მოკლებული: „მე მზად ვარ თითოეული თქვენგანისათვის თვალდაუხამხამებლად დღესვე გადავდო თავი, გავწირო სიცოცხლე, გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ საქართველო იყოს ბედნიერი და თითოეული მისი მოქალაქე იყოს ბედნიერი“** (აქაც და შემდგომაც გამოსვლის სტილი დაცულია – **ზ. ბ.**)

მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევის შემდეგ, მოსახლეობისადმი პირველსავე მიმართვაში, დაბნეული სააკაშვილი თავისდაუნებურად შინაგან განწყობას ვერ მალავდა და თითქოს თანამოქალაქეებს უზოდიშებდა კიდეც: **„ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ის დემოკრატიული საშუალებები და არც ერთი გრამით მეტი. სხვა რამ ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ არც სასიამოვნო, რა თქმა უნდა, არ არის. ჩემთვის მართლაც დიდი გულისტკივილის წყარო არის თითოეულ ადამიანზე მოხვედრილი თუნდაც პოლიციელის ერთი კომბალი. ჩემთვის გულისტკივილის დიდი წყაროა იქ სირბილის დროს ხალხის მასაში მოყოლილი ადამიანი და, რა თქმა უნდა, იქ ფიზიკური შეხლა-შემოხლა იყო ძალიან ბევრ ადგილზე და, რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან ძნელი საყურებელი“.**

პრეზიდენტის ეს დაულაგებელი და გაუმართავი გამოსვლა აშკარად მიუთითებს მისი მღელვარების მაღალ მაჩვენებელზე. **„საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა და ამგვარად საქართველოში ყველას აქვს გამოსვლის უფლება. მე როგორც დემოკრატი, ამ ახალგაზრდა დემოკრატიის პრეზიდენტი და ლიდერი ყოველთვის ვიცავდი და ყოველთვის დავიცავ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას. ჩვენ თვითონ მოველით ხელისუფლებაში დემოკრატიული არჩევნების გზით... დღეს დილით, მას შემდეგ, რაც რუსთაველი პრაქტიკულად ცარიელი იყო, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მაქსიმალურად რბილად უნდა მოვქცეთ ამ ხალხს. – დილას ქალაქის მერიამ და პოლიციამ მიიღეს გადაწყვეტილება ამ პროსპექტის გაწმენდის. მაგრამ მოხდა ის, რომ კვლავ დაიწყო შეხლა-შემოხლა პოლიციასთან და ეს ყველაფერი გადაიზარდა ხელჩართულ ბრძოლაში ზოგიერთ მომიტინგეს, მათი ლიდერების მოწოდების შემდეგ და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის“.**

სააკაშვილი იმდენად აჰყვა ემოციებს, რომ საკუთარ სავარძელსაც შეეხო (რასაც ფაქტობრივად არ აკეთებს ხოლმე), 7-ში მან განაცხადა: **„იმ პირობებში, როცა არც ჩემი ეს თანამდებობა, ეს ჩემი კაბინეტი, არც რამე პრივილეგიები, რომლებსაც ეს იძლევა, არაფერს არ ნიშნავს“.**

სააკაშვილმა პირველ საეთერო გამოსვლებში საკუთარ შეცდომებზეც ილაპარაკა: **„ჩვენ გვესმოდა ბოლო რამდენიმე ხნის განმავლობაში, რომ შემოდგომისათვის საქართველოში დაიწყებოდა მასობრივი არეულობები, რომ წლის ბოლოსათვის საქართველოში სააკაშვილი და მისი მთავრობა დაემხობა. მაგრამ მე ვიყავი მშვიდად, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ვერ მოახერხებდნენ რაიმე სერიოზული პრობლემის შექმნას. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მე მაინც ვცდებოდი“.**

პრეზიდენტი იმდენად დაბნეულად გამოდიოდა, რომ მან საზოგადოების აშკარა უკმაყოფილებისა და სერიოზული პრეტენზიების ფონზე სცადა სასამართლო სისტემის დაცვა. თუმცა ამის შესახებ განაცხადის გაკეთება სრულიადაც არ შეესაბამებოდა რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებს **„ჩვენ გვყავს კარგად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემა, რომელსაც შეუძლია ამ პრობლემასთან გამკლავება“.**



სააკაშვილის გამოსვლაზე პროფესიონალი ჟურნალისტები, ოპერატორები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ეთერში გასული კადრები აშკარად ხტოდნენ, **„რაც ნაჩქარევი მონტაჟის შედეგი იყო“.**

ყოველივე ეს ხდებოდა 7 ნოემბერს, 8-ში კი გულდამშვიდებულა და თანაპარტიელთაგან იმედმიცემულმა პრეზიდენტმა რიტორიკა შეცვალა.

### მეორე დღეს

**რუსთაველსა და რიყეზე მომხდარის პრეზიდენტისეულ კომენტარს მოჰყვა „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგებისა და ლიდერების მჭექარე გამოსვლები. ბოკერია, თარგამაძე, კირკიტაძე და ძმანი მათნი მთელი ხმით ამტკიცებდნენ, რომ დარბევა კონსტიტუციის ფარგლებში და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისთვის მოხდა. პრეზიდენტმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. დახურა თავისუფალი ტელეარხები „ იმედი“ (დაარბიაძ და „კავკასია“. ძალოვანი სტრუქტურები ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანა. დაიწყო ოპოზიციური პარტიის ლიდერების დევნა და ფიზიკური ანგარიშსწორება რეპრესიები დაიწყო საპროტესტო აქციაში მონაწილე რიგითი მოქალაქეების მიმართ. ასეთ ვითარებაში სააკაშვილის დაბნეულობა და თავმდაბლობა აშკარად გაქრა. მან მდგომარეობის სრულ ბატონ-პატრონად იგრძნო თავი.**

**ნინო შერაზადაშვილი: „დამშვიდებულ გულზე პრეზიდენტმა გამოსვლებში ტონალობა შეცვალა. მისი ლექსიკონიდან გაქრა „დებო და ძმებო, დედებო და მამებო“, რაც „ძვირფასო მეგობრებომ“ შეცვალა. 7 ნოემბრის სატელევიზიო მიმართვაში საკუთარი თავის გაწირვის მაგივრად, სააკაშვილმა მოსახლეობას მოსთხოვა თავგანწირვა.**

წინა დღეს დემოკრატიულობის სიმბოლოდ წარმოჩენილი პრეზიდენტი, უკვე ყოველმხრივ ამართლებს ძალოვნების ქმედებას: **„როდესაც ხელს აღმართავ სამართალდამცავ ორგანოებზე – ეს არის ძალადობა. ძალის გამოყენების მონოპოლია კანონის ფარგლებში ეკუთვნის სამართალდამცავ ორგანოებს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობამ და სახელმწიფომ კი არ გამოიყვანა ხალხი სამიტინგოდ და წინ ასაფარებლად, არამედ მთავრობამ გადადგა ყველა ადეკვატური ნაბიჯი იმისათვის, რომ ხალხი დაცული ყოფილიყო არეულობისაგან“.**

პრეზიდენტი შეეცადა წინა დღეს საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობა მმართველი გუნდის ლიდერებზეც გადაენაწილებინა: **„ჩვენთვის არაფერი არ ღირს, არც ჩვენი თანამდებობები, არც ჩვენი სავარძლები, არც რაიმე პრივილეგიები, რომლებიც მოდის ამ სავარძლებთან და თანამდებობებთან ერთად. ჩვენი მეტი საზრუნავი და მეტი თემა, გარდა საქართველოსა და მისი წესრიგის დაცვისა, არა გვაქვს“.** დარბევის შემდგომ დღეებში გამოსვლებში პრეზიდენტმა საკუთარ შეცდომებზე ლაპარაკი აღარ ჩათვალა საჭიროდ“.

7-ში და შემდეგ გამოსვლების ანალიზით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აზრის რამდენიმეჯერ შეცვლა, პასუხისმგებლობის სხვებზე დელეგირება,პრეზიდენტობის კანდიდატს წარმოადგენს შიშის სინდრომით შეპყრობილ ადამიანად. ასეთ პიროვნებებს ახასიათებთ ქცევებსა და გამოთქმებში გაუწონასწორებლობა, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მცდელობა. ამ კატეგორიას ახასიათებს ნებისმიერი გზებით მიზნისაკენ ლტოლვა. რა დროსაც ხშირია არაადეკვატური ქმედებები, ყოველგვარ არსს, ლოგიკას მოკლებული გამონათქვამები.

**პრეზიდენტობის კანდიდატი სააკაშვილი უკვე მისი გუნდის ერთგული წევრებისთვისაც უხერხულობას უქმნის. პედაგოგებს სააკაშვილი მინიმალური ხელფასის 200 ლარამდე მომატებას შეჰპირდა. იქვე მდგომმა მაშინ ჯერ კიდევ განათლების მინისტრმა ლომაიამ ლიდერს შეუსწორა, 165-იო. პენსიონერებს ერთ დღეს 50 დოლარამდე პენსიების აწევას დაჰპირდა, მეორე დღეს 100 დოლარამდე“.**

საინტერესოა, რომ თავიანთი ლიდერის გამოსვლებს კარგად აჰყვნენ ბოკერია, კირკიტაძე და თარგამაძე. მაგრამ პრეზიდენტმა მოულოდნელად გააუქმა საგანგებო მდგომარეობა, 5 იანვარს დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, დღის წესრიგში დააყენა პარლამენტის არჩევნების ვადების საკითხი, მისმა თანაგუნდელებმა ჯერ მხურვალე მხარდაჭერა გამოუცხადეს ლიდერის ინიციატივას. მათ ბიბლიური სწავლებაც მოიშველიეს – „მოითხოვე და მოგეცემაო“. მაგრამ ამის შემდეგ საეჭვოდ გაჩუმდნენ. აღარ გვმოძღვრავენ.

**როგორც კულუარული ინფორმაციით ირკვევა, სააკაშვილს არ უნდოდა საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, პარლამენტის არჩევნების საკითხის წამოწევა, „იმედის“ ტელესივრცეში დაბრუნება, მაგრამ აშშ-ს ელჩთან რამდენიმესაათიანი შეხვედრის შემდეგ, როდესაც მიანიშნეს, რომ ჯიუტობის შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავდა, უკან დაიხია.**

ლიდერის პოზიციების დათმობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია „ნაცმოძრაობის“ ლიდერების რიხიან გამოვლებზე.

**ტელეეკრანებიდან მოსახლეობისთვის ჭკუის სწავლებას ნელ-ნელა უკლეს თარგამაძე-ბოკერიამ, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ხელისუფლების იდეოლოგებს შეშინებული თაგუნიას სინდრომი შეეპარათ, რომელსაც თავისი მომრევი კატა, დედამიწის ზურგზე უძლეველი ეგონა.**

**ზაზა ბილიხოძე**

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

● მე პარტიები არ მაინტერესებს. პარტიებად დაქუცმაცება დააქუცმაცებს საქართველოს. მე მაინტერესებს ადამიანი და ადამიანს უნდა მივცე ხმა, მას უნდა ვანდო ქვეყნის ბედი და ამდენად ჩემი ბედიც




◎ რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება...

# ბოროტთაგან განშორებული სინათლე და სიწმინდე

**15 წელიწადი გასულა ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის თამაზ ბიბილურის გარდაცვალებიდან.**

არადა, თითქოს გუშინ იყო, ერთობ პოპულარული გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციებში ბიბის ოთახში შესვლა რომ გვიხაროდა... ამ ერთი შეხედვით კუშტი, მუდამჟამ მოფიქრალი კაცის თვალებიდან ზღვა სიყვარული და სიკეთე გამოსჭვიოდა. განსაკუთრებით გვანებივრებდა ახალბედა ჟურნალისტებს. ნარკვევს თუ რეპორტაჟს ისე გულიანად, დაუზარებლად ჩაგვისწორებდა, ისე შეგვაქებდა ან დაგვტუქსავდა, არჩეულ პროფესიას ორმაგად შეგვაყვარებდა და უკეთესის შექმნის სურვილით აგვანთებდა.

– თამაზ ბიბილური მასწავლებელი იყო არა მარტო სიტყვასთან, მწერლობასთან დამოკიდებულებაში, არამედ როგორც რედაქტორი პირწმინდა თეორიული თვალსაზრისითაც, – წერდა **დავით მჭედლური.**

თამაზ ბიბილურის ნარკვევებისა და მინიატიურების კრებული „ჩქარა“ 1973 წელს გამოვიდა. ორიოდე წლის შემდეგ მკითხველმა მიიღო ბრწყინვალე მოთხრობების კრებული „ნიღაბი“. ლიტერატურის მოყვარულები ერთმნიშვნელოვნად მონუსხა მისმა რომანებმა „ჟამი კითხულისა“ და „ჩივილი“ (1978 წ.).

ლიტერატურათმცოდნე **მანანა ყიფიანი** სამართლიანად წერს: თამაზ ბიბილურის ბრწყინვალე მოთხრობა „ჩივილი“ ულმობით ჩაშლილი ადამიანის ტრაგედიაა.

„ჟამი კითხულისამ“ კი ცნობილ კრიტიკოსს **გურამ გვერდწითელს** ათქმევინა: „როცა თამაზ ბიბილურის რომანი იწერებოდა და, მგონი უკვე დამთავრებული იყო, მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ ჩვენში ჯერ არავინ იცნობდა და არც შეეძლო მის შესახებ რაიმე სცოდნოდა. თუ სიმართლე გინდათ (ამას მიკერძოებაში ნუ ჩამითვლით), ამ ორი რომანიდან ჩემზე უფრო დიდი შთაბეჭდილება „ჟამი კითხულისამ“ მოახდინა“.

1981 წელს თამაზ ბიბილურმა გამოსცა რომანი „მთვარის შვილი“, 1987 წელს კი – „შვილი ხმისა და ტოროლასათვის“. ამ რომანებმა საბოლოოდ დაარწმუნა მკითხველი, რომ ქართულ მწერლობას საკუთარი ხელწერის, ღრმად ფსიქოლოგიური, ბედაური ქართულის მცოდნე პროზაიკოსი შეემატა.

1989 წელს თამაზ ბიბილურმა დიდი ტირაჟით დასტამბა ჭეშმარიტად ხელიხელსაგოგმანები საყმაწვილო წიგნი „წელიწადის დრონი“, რომელსაც ბიბის უმცროსი მეგობარი **როსტომ ჩხეიძე** ასე აფასებს: „წელიწადის დრონი“ არის შედევრი საყმაწვილო ჟანრისა და ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება მე-20 საუკუნისა. წიგნი, რომელიც დამშვიდებული სინდისით შეიძლება წარუდგინოს გასულმა საუკუნემ 21-ე საუკუნეს“...

1992 წელს ეს საყმაწვილო წიგნი (ჟამთასვლის პოეზია, სიცოცხლის მუსიკა, არსებობის ფილოსოფია – **ივანე ამირხანაშვილი**) საქართველოს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

თამაზ ბიბილურის ლიტერატურული შედევრების მიხედვით შექმნილია ექვსი მხატვრული ფილმი. მათ შორის ორი – საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზიორია.

სიცოცხლის ბოლო წლებში თამაზ ბიბილურმა, უკურნებელი სენის მიუხედავად, ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა ჩაიდინა – შექმნა საეტაპო მნიშვნელობის პუბლიცისტური წერილები, რამდენიმე მოთხრობა და ესსე... ბევრი მათგანი ცალკე წიგნად დღემდე არ იყო აკინძული...

და აი, მწერლის ქვრივმა, თავადვე ჩინებულმა ჟურნალისტმა და თამაზ ბიბილურის ცხოვრებისა და შემოქმედების ღირსეულმა ჭირისუფალმა **თიურა ვაშაძემ** შეადგინა ერთობ შთამბეჭდავი კრებული, რომელიც 58 წლის ასაკში გარდაცვლილი პროზაიკოსისა და პუბლიცისტის ერთიერთმანეთზე უკეთეს წერილებს, ფრაგმენტებს და გაბნეულ ჩანაწერებს აერთიანებს.

წიგნი დაისტამბა გამომცემლობაში **„აზული-7“,** მხატვარია **კარლო ფაჩულია,** ფოტოები ეკუთვნით **მურმან ჩაჩუას** და **ვახტანგ ჩხუმიანს.**

– თამაზ ბიბილური იყო ამაყი და მორჩილი, ბოროტთაგან განშორებული სინათლე და სიწმინდის განსახიერება, – ასე აფასებს საკუთარ მეგობარსა და თანაკურსელს რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი.**

ჭეშმარიტად რომ ასეა.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს თამაზ ბიბილურის 15 წლის წინათ, გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე დაწერილი პუბლიცისტური წერილიდან, რომელიც დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ (არჩევნების) პრობლემას ეხება.

**თამაზ ბიბილურის ნიჭის თაყვანისმცემლებს კი შევახსენებთ, რომ მისი ახალი წიგნის კურთხევა (პრეზენტაცია) 11 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ოფისში (ჩუბინაშვილის, 41) გაიმართება.**

სპარტაკ ქობულია

---

● ● ●

# ამომრჩევლის ჩანაწერები

**ეს მართლაც ამომრჩევლის ჩანაწერებია. მასში, ალბათ, არის გარკვეული გაღიზიანება, მაგრამ გაღიზიანება ხომ ზოგჯერ პოზიციის გამოხატულებაა.**

მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს... ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ჩემი თაობის მწერალი ამას ვერ იტყოდა. ეს ყუმბარის აფეთქებაზე უარესი იქნებოდა, და სწორედ ამ ბოლო წლების მოვლენებმა იმდენი გამოცდილება დამიგროვა, ასე მგონია, ყველაფერი ყველასთვის ნათელი გახდა: რა მწერლის საქმეა პოლიტიკა? რა იცის ჩვენმა ძმამ პოლიტიკისა? როგორ ჩაწვდება მის ბნელ კუნჭულებს თუ თავის მთავარ საქმეს არ უღალატა და იქ თუ არ გადაეშვა, სადაც არცთუ ხალისით ელოდნენ.

**პოლიტიკაში ჩარევამ მეტნაკლებად ყველა მწერალი დააზარალა, ან ზნეობრივად ან შემოქმედებითად. რა კარგი იქნებოდა ოციან-ოცდაათიან წლებში ჩვენს ბევრ გამორჩენილ მწერალს ხელი აეღო პროვოკაციულ პუბლიცისტიკაზე, ან ორმოციან წლებში არ ჩარეულიყვნენ სისხლიან ტრაგედიაში...**

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ფოლკნერი, სელინჯერი, აპდაიკი, პრუსტი, ჯოისი პარლამენტში ადგილის მაძიებლად. თვით ბალზაკიც კი, ხშირად თავისი სნობისტური ალტკინებით, რბილად რომ ვთქვათ, თავს კომიკურ სიტუაციაში იგდებდა და იგივე სნობიზმი არც გოეთეს ბიოგრაფიას ამშვენებდა.



ვწერ ამას და ვშიშობ, რომ ვინმემ ისე არ ჩამომართვას, თითქოს საერთოდ ვიყო წინააღმდეგი მწერლის ან ხელოვანის დეპუტატობისა. პარლამენტში დიახაც უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც კულტურის ინტერესებს სხვაზე უკეთ დაიცავენ და ამით ხალხის ინტერესების თანადგომასაც გამოხატავენ. მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს, მით უმეტეს დღეს, როცა ყოველი მეორე ქართველი გეტყვის, საზოგადო მოღვაწე ვარო, ან საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი.

მაგრამ დგება დრო, როცა პოლიტიკა მჭიდროდ მიეჯაჭვება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და მასზე გულახდილი ლაპარაკი ეროვნულ ინტერესებზე ლაპარაკია.

ამგვარი დროა დღეს საქართველოში.

თითქოსდა რა დიდი ამბავი უნდა იყოს, საქართველოს პარლამენტს ვირჩევთ და ავირჩევთ კიდეც. არჩევნები სად აღარ ტარდება და მაინცდამაინც დრამატულად არ განიცდიან ის ქვეყნები, რომელთაკენაც ჩვენი დაძაბული მზერა გვაქვს მიპყრობილი. ამერიკაში საარჩევნო მარათონი (მართლაც მარათონი), ზოგჯერ ისეთ იუმორისტულ სახეს იღებს, თვალისმომჭრელ, მხიარულ შოუდ გადაიქცევა ხოლმე. და მაინც ეს არ უშლის ხელს ამერიკელებს თავისი სურვილისამებრ აირჩიონ კონსერვატორები ან დემოკრატები, ჯორჯ ბუში ან ბილ კლინტონი. ერთი და იგივე ოჯახში მამა ბუშს აძლევს ხმას, შვილი – კლინტონს, შვილიშვილი – არც ერთს. მაგრამ ერთად ცხოვრობენ, ერთად ატარებენ უიკენდს, უყვართ ერთმანეთი და ასე მგონია, ოჯახში მაინცდამაინც დიდი რჩევა არა აქვთ გაჩაღებული ვინ კონსერვატორია, ვინ დემოკრატი. ამერიკა უპირველეს ყოვლისა! მთავარია ამერიკამ არ დაკარგოს თავისი მძლავრი, ცივილიზებული სახე!

დღეს ჩვენც არჩევნებზე ვფიქრობთ და არჩევნებით ვცოცხლობთ. იგი კარზე მოგვადგა. რამდენიმე დღეში უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი. ალბათ არ ვაჭარბებ, სწორედ საქართველოს ბედი უნდა გადაწყდეს! ჩვენ ამ არჩევნებს დღესასწაულად ან შოუდ ვერ ვაქცევთ. დღესასწაული მერე, თუ ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ დასრულდა.

ისევ და ისევ ბოლო ხნის მწარე გამოცდილება გვკარნახობს, თუ რა დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა პარლამენტი შემთხვევითი ხალხით არ გაივსოს და თავისი პროფესიული სახე ჰქონდეს.

მე არ მინდა მომავალ პარლამენტში ვხედავდე გაუპარსავ, ოფლში გალვრილ, უფაქიზო (მომიტევეთ ამგვარი გამოთქმა) სახეებს, არ მინდა მესმოდეს ყოვლად უმეცრული რეპლიკები, არ მინდა მოწმე გავხდე ელემენტარული უკულტურობისა. მე ამომრჩეველი ვარ და ვირჩევ ღირსეულ, წინდახედულ, დინჯ, ინტელექტუალურ, რესპექტაბელურ და, რაც მთავარია, საქმის მცოდნე პარლამენტს. რა ვქნა, ამგვარ პარლამენტზე ვოცნებობ და ვიმეორებ, მაქვს ამის უფლება.

რაც წინასაარჩევნო დებატების დროს ტელევიზიით ითქვა, ყური ვერ გაიგონებდა. მე არ მინდა იმ „დამწყები პოლიტიკოსის“ სიტყვები გავიმეორო, მაგრამ ნათქვამს ვერსად წაუხვალ: რომელიღაც პარტიის ფალავნად გამოყვანილმა ბიჭმა მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე თავისი უზრდელობის დემონსტრაცია მოახდინა. რა არის ეს? დემოკრატია? თავისუფლება? ჩემი აზრით, ეს თავის აგდებაა და რა კარგი იქნებოდა, რომ ამ წაქეზებული ბიჭის ოპონენტებს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ეღალატათ დემოკრატიისათვის და ახალმოვლენილი „პოლიტიკოსისათვის“ კარისკენ მიეთითებინათ. დაუფიქრებელი ლაპარაკი, სხვისი აზრის აბუჩად აგდება წინასაარჩევნო დებატების განუყრელი თანმდევი იყო.

> *იშვიათად შევხვედრივარ კაცს, მთელი ნიჭი და სასიცოცხლო ენერგია ასე უშურველად, ასე დაუზოგავად გაემეტებინოს საქვეყნო საქმისთვის.*
>
> *ვახტანგ ჭელიძე*

**დეპუტატობისათვის მარტო ის ხომ არ კმარა, რომ პატრიოტი იყო, ან პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილი გქონდეს. პატრიოტობა თავის მიზანს მაშინ აღწევს, როცა საფანლად ჭკუა და გამოცდილება უძევს. „პროფესიონალი პატრიოტებისა“ უნდა გვეშინოდეს, რადგან ისინი პატრიოტებად მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევენ. დღე და ღამ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ და პოლიტიკა მხოლოდ ლაპარაკი ჰგონიათ, „პატრიოტი“ არ აცდენს არც ერთ მიტინგს, ორატორობს, ხან ერთ პარტიას ამოუდგება გვერდში, ხან მეორეს. ხელში პორტფელი უჭირავს და კაცმა არ იცის, რითი აქვს გამოტენილი ის პორტფელი, გულის კანკალით მოელის არჩევნების შედეგებს და აქედანვე საზღვრავს რა გამორჩეს თავის დეპუტატობას.**

ნეტავ ახალმა პარლამენტმა მაინც მოუღოს ბოლო ამ გამორჩენისაკენ აღვირახსნილ ლტოლვას.

მე, როგორც ამომრჩეველს, არც ჩვენი საარჩევნო კანონი მიმაჩნია სრულყოფილად. გამოცდილი პოლიტიკოსები ამბობენ, სრულყოფილი საარჩევნო კანონი არ არსებობს, ისე, როგორც სრულყოფილი დემოკრატიაო. ალბათ, ასეც არის. მაგრამ მე არ მინდა საარჩევნო ბიულეტენებში პირდაპირ პარტიები და ბლოკები იყვნენ ჩამოწერილნი, მე კი დავჯდე და თავი ვიმტვრიო, რათა გავიხსენო, რომელ პარტიას რა პოზიცია უჭირავს, რომელ პარტიაში რა ხალხია, რა სურთ, რისკენ მიილტვიან, როგორ დაიჭერენ თავს მომავალ არჩევნებში. მე პარტიები არ მაინტერესებს. პარტიებად დაქუცმაცება დააქუცმაცებს საქართველოს. მე მაინტერესებს ადამიანი და ადამიანს უნდა მივცე ხმა, მას უნდა ვანდო ქვეყნის ბედი და ამდენად ჩემი ბედიც.

განა არ სჯობდა წინასწარ გვცოდნოდა, რომ მომავალ პარლამენტში კენჭს იყრიდა კაცი მართლაც ღირსეული, რომელსაც შეუძლია თავისი პიროვნული მომხიბვლელობით გააშუქოს პარლამენტი და ტრიბუნიდან არ გამოგვძახოს: „დიახ, მე უზრდელი ვარ, როდის გითხარით, კულტურული ინტელიგენტი ვარ-მეთქი?“ „მე პირში მთქმელი კაცი ვარ და პირდაპირ გეტყვით, რომ კუზიანი კუზიანია“, ან უარესი – „შემომხედეთ, რა ხულიგანი ვარო“.

... საარჩევნო უბანში მივდივარ, რათა ჩემი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადო. მივდივარ და ვფიქრობ, რომ დღევანდელ დღეს, თუნდაც ჩემს ერთადერთ ხმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვინდა ხელისუფლება, რომელიც დაიცავს ხალხს, საქართველოს, დამიცავს მე.

არჩევნებზე იმიტომაც მივდივარ, რომ თავი საამო ილუზიით ვინუგეშო. ამ ერთმა დღემ ბოლოს და ბოლოს, უნდა გაგვაერთიანოს. ნუთუ კიდევ დაგვრჩა თუნდაც ერთი რეგვენი, რომელმაც ვერ დაინახა, რა ისტორიული უბედურება დაგვატეხა ჩვენმა უგუნურმა დაქუცმაცებამ.

**გაივლის არჩევნების დღე და მე შიშით დავიწყებ სარედაქციო ფოსტის გადაკითხვას.**

**ისევ ღვარძლიანი წერილების ნაკადი, წყევლა-კრულვა, გინება... საშინელებაა! ერთი კი არა, ბევრი რეგვენი დაგვრჩენია.**

**თამაზ ბიბილური**
1992 წ. 9 X.

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

# სიტუაცია

თავდაპირველად, როცა საერთაშორისო ურთიერთობებში კოსოვოს დამოუკიდებლად შესაძლო აღიარებაზე პირველი განცხადებები დაფიქსირდა, ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი თავს იმით იმშვიდებდა, რომ აღნიშნული პრეცედენტი „აფხაზეთზე არ გავრცელდებოდა და ამერიკა საქართველო დაშლას არ დაუშვებდა“

**ინფორმაცია**

## შეგროვებული ხელმოწერები 11 დეკემბრამდე გადამოწმდება

**11 დეკემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ ყველა იმ პირს, რომლებმაც ამომრჩეველთა მინიმუმ 50 ათასი ხელმოწერა წარმოადგინეს და გადამოწმების პროცესში მათი ნამდვილობა დადასტურდა, ოფიციალური კანდიდატის სტატუსით რეგისტრაციაში გაატარებს.**

**11 დეკემბრამდე კი ცესკომ შეგროვებული ხელმოწერები უნდა გადაამოწმოს.**

**ცესკოში ხელმოწერები ცამეტმა პრეტენდენტმა შეიტანა. ყველაზე მეტი, 205 ათას 555 ხელმოწერა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მომხრეებმა შეიტანეს. მას მოსდევს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, რომლის შტაბმა ცესკოს 202 ათას 170 ხელმოწერა წარუდგინეს. დანარჩენ კანდიდატთა ხელმოწერების რაოდენობა ასეთია: ლევან გაჩეჩილაძე – 63 ათასი, დავით გამყრელიძე – 165 ათასი, გია მაისაშვილი – 68 ათას 986, შალვა ნათელაშვილი – 75 ათასი, ირინა სარიშვილი – 56 ათას 320, შალვა კუპრაშვილი – 50 ათას 500, ლევან ძიძინიძე – 52 ათასი, გიორგი შერვაშიძე – 51 ათას 150, ავთანდილ მარგიანი – 50 ათას 800, არჩილ იოსელიანი – 60 ათასი.**

## რეგისტრაცია კი გაიარეს, მაგრამ სამუშაოს ვერ შოულობენ

**თბილისში დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია დროებით შეწყდა. განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა გააკეთა.**

**„ამ დროისთვის რეგისტრაცია დედაქალაქში 114 ათასზე მეტმა მოქალაქემ გაიარა. პირველ ეტაპზე ისინი დასაქმდებიან, ვინც უკვე მოასწრო რეგისტრაციის გავლა, ახლა კი ყურადღება ძირითადად რეგიონებზე გადავა, სადაც ასევე საკმაოდ ბევრი მსურველია,“ – განაცხადა ტყეშელაშვილმა.**

**აღსანიშნავია, რომ დასაქმების პროგრამა აჭარაში 10 დეკემბრიდან ამოქმედდება. რეგისტრაცია ქალაქში გახსნილ ხუთივე სერვის-ცენტრში დილის 10 საათიდან დაიწყება.**

**როგორც სოციალური ფონდის ხელმძღვანელი აცხადებს, სერვის-ცენტრებთან სამართალდამცავები სპეციალურ კორდონს გააკეთებენ, რაც რეგისტრაციის ორგანიზებულობას უზრუნველყოფს.**

**„5 ნაბიჯი დასაქმებისკენ – ახალი საპრეზიდენტო პროგრამა ასი ათასი ადამიანის დასაქმებას ითვალისწინებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

**გლობუსი**

# კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარების პრეცედენტი საქართველოსათვის: გვემუქრება თუ არა საფრთხე?

**ბოლო დროს მოვლენები ისეთი მიმართულებით ვითარდება, რომ სერბეთის პროვინცია კოსოვოს დამოუკიდებლობას, როგორც ჩანს, მსოფლიოს ქვეყნები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, 10 დეკემბრის შემდეგ ოფიციალურად აღიარებენ**. უცხოურ პრესაში უკვე ბევრი დაიწერა და დღესაც იწერება იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს შეიცავს კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარების პრეცედენტი სხვა ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის. ექსპერტების აზრით, სერბეთს ხომ თავისთავად ისტორიული მნიშვნელობის დიდი ზიანი მიადგება, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ბედი შესაძლებელია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა - საქართველომ, მოლდოვამ და აზერბაიჯანმაც გაიზიარონ. კოსოვოს დამოუკიდებლობით დაირღვევა საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების დაცვა, რამაც შესაძლოა ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში (ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, ცხინვალის რეგიონი), არამედ თვით ევროპაშიც (ესპანეთში – ბასკეთი, დიდ ბრიტანეთში – შოტლანდია და ა.შ.).

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედს – ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის დაცვის პრინციპს, რა თქმა უნდა, სერბეთსა და საქართველოს ერთნაირი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი: სეპარატისტი ყველგან სეპარატისტია, გინდ კოსოვოელი იყოს, გინდაც აფხაზი ან ოსი.

გავიხსენოთ, რომ თავდაპირველად, როცა საერთაშორისო ურთიერთობებში კოსოვოს დამოუკიდებლად შესაძლო აღიარებაზე პირველი განცხადებები დაფიქსირდა, ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი თავს იმით იმშვიდებდა, რომ აღნიშნული პრეცედენტი „აფხაზეთზე არ გავრცელდებოდა და ამერიკა საქართველო დაშლას არ დაუშვებდა“, რომ „კოსოვო – ეს გამონაკლისია, მასზე სერბეთმა იდარდოს, ჩვენ კი შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ“.

არადა, საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიც არ უნდა იძახოს კოსოვოს პრეცედენტის გამონაკლისზე და იმაზე, რომ „მსოფლიოს ქვეყნებმა აფხაზეთთან კოსოვოს შორის პარალელი არ უნდა გაავლონო“, საფუძვლიანი ეჭვები მაინც არსებობს - საქართველო არაფრისაგან დაზღვეული არ არის. ვიმეორებ: თუ ერთხელ დაირღვევა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი, მას მეორეც მოჰყვება... რუსეთს შეუძლია ამერიკის საპასუხო ნაბიჯი გადადგას.



სავარაუდოდ, რისი გაკეთება შეუძლია რუსეთს, ამას ქვემოთ დავუბრუნდებით, ახლა კი მკითხველს, პრობლემა რომ შედარებით ფართო ასპექტით წარმოიდგინოს, მის ისტორიას მოკლედ გავახსენებთ.

### კოსოვო – სერბეთის განუყოფელი ნაწილი

**კოსოვო მართლმადიდებელი სერბეთის ისტორიული მხარეა, XVI საუკუნეში ეს პროვინცია მუსულმანურმა ოსმალეთმა დაიპყრო, გააძევა სერბები და იქ გამაჰმადიანებული ალბანელები ჩაასახლა. მოგვიანებით, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, როცა სერბეთი იუგოსლავიის შემადგენლობაში გაერთიანდა, კოსოვო დედასამშობლოს დაუბრუნდა, თუმცა მოსახლეობით სერბებს უკვე ალბანელები ჭარბობდნენ.** იოსიპ ბროზ-ტიტოს პრეზიდენტობის ეპოქაში კოსოვოელები პერმანენტულად ცდილობდნენ ავტონომიური სტატუსის დაკანონებას, რაც მათ მოგვიანებით, გასული საუკუნის 80-იან წლების შუახანებში მიიღეს. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ყოფილმა იუგოსლავიამ, საბჭოთა კავშირის მსგავსად, რღვევა დაიწყო, კოსოვოელმა ალბანელებმა საკუთარი მმართველობის ორგანოები შექმნეს, არაოფიციალურ პრეზიდენტად ცნობილი სეპარატისტი იბრაჰიმ რუგოვა აირჩიეს და ბელგრადთან (ცენტრალურ ხელისუფლებასთან) კავშირი გაწყვიტეს. ამის საპასუხოდ იუგოსლავიის მაშინდელმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოში პოლიციისა და არმიის ნაწილები შეიყვანა, დაიწყო სეპარატისტების დასჯის პროცესი, იყო ეთნიკური წმენდის ფაქტებიც – ათასობით კოსოვოელი ალბანეთსა და ევროპაში გაიხიზნა. შემდეგ საქმეში ნატოს ლიდერები ჩაერივნენ და მილოშევიჩს კოსოვოდან ჯარის გაყვანა მოსთხოვეს, როცა იგი არ დაემორჩილა, ნატოს ქვეყნებმა დაიწყეს სამხედრო ძალის გამოყენება. იუგოსლავია დამარცხდა, მილოშევიჩი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის, რომლის თანახმად, კოსოვო ფორმალურად სერბეთის შემადგენლობაში იქნებოდა, რეალურად კი მისი მართვა გაეროს ეგიდით მოხდებოდა.

შვიდი წლის განმავლობაში კოსოვოელმა სეპარატისტებმა, ევროპის ქვეყნების და უპირველესად აშშ-ის მხარდაჭერით, მიაღწიეს იმას, რომ სერბეთს ეს მხარე უკვე იურიდიულად ჩამოშორდება და დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. გაეროს კოორდინატორმა კოსოვოს საკითხებში, ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მარტი ახტისაარმა სწორედ ასეთი პროექტი შეიმუშავა. სერბეთის განცხადებით, ამით დაირღვა გაეროს მიერ რამდენიმე წლის წინათ მიღებული 1244-ე რეზოლუცია სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების თაობაზე. რა თქმა უნდა, ბელგრადი წინააღმდეგია კოსოვოს დამოუკიდებლობისა, მას მხარს უჭერს მოსკოვიც, რომელიც აცხადებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში კოსოვოს სუვერენიტეტის განხილვას ვეტოს დაადებს. მოლაპარაკება პრიშტინასა და ბელგრადს შორის ჩიხში შევიდა: სერბია კოსოვოს ყველაზე ფართო ავტონომიას ჰპირდება, კოსოვოს კი მხოლოდ დამოუკიდებლობა სურს და უკან არ იხევს.

ახლა კი, როცა მხარეთა პოზიციები გარკვეულია, განვიხილოთ ჩვენი ჩრდილოელი აგრესიული მეზობლის სავარაუდო ნაბიჯები აფხაზეთ-„სამხრეთ ოსეთის“ მიმართ. გარდა ამისა, გავარკვიოთ, არის თუ არა საერთაშორისო ურთიერთობებში რაიმე ფაქტი, როცა ერთი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს სხვა სახელმწიფოები დამოუკიდებლად (სუვერენულად) აღიარებენ.

### შორეული ტაივანის მაგალითი ახლობელი აფხაზეთისათვის

**გამორიცხული არაა, რომ თუ ამერიკა და საერთოდ, ნატოს ქვეყნები კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებით სერბეთს კვლავ დასჯიან (რომელიც, სხვათა შორის, დემოკრატიული სახელმწიფოა, ხომ გვახსოვს ქართული „კმარას“ იქაური ტრენინგი...), რუსეთს შეუძლია ასევე „დასაჯოს“ საქართველო, მოლდოვა და აზერბაიჯანი, რაც აფხაზი, ოსი, დნესტრისპირელი და ყარაბაღელი სეპარატისტების კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერით გამოიხატება.**

ვაშინგტონმა ჩვენ უდიდესი დახმარება გაგვიწია და გვიწევს, ამერიკა და საქართველო სტრატეგიული მოკავშირეები არიან, მაგრამ რა ვქნათ იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა აშშ-ის პოლიტიკური ინტერესები შეიძლება ჩვენსას ეწინააღმდეგებოდეს? რუსეთი რომ მეზობლად არ გვყავდეს, განა აქამდე აფხაზ სეპარატისტებს კისერს ვერ მოვუგრეხდით? მაგრამ „რუსული დათვი“ რომ ჩვენთან ხელის გაწვდენაზეა? თანაც ისეთი, რომელიც დღითი დღე ღონეს იკრებს და შორს, ოკეანის გადაღმა მდებარე ჩვენს მფარველს სულ უფრო ხშირად „უღრენს“... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები თითქმის მთლიანად რუსულ ნავთობსა და გაზზე არიან დამოკიდებული (სამწუხაროდ!) და ამრიგად, ძალზე დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ჩვენდამი მათ დამოკიდებულებაზე რუსეთის ფაქტორი უარყოფითად გავლენას მოახდენს.

რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ საქართველოს იმედები გამართლდეს და ამერიკამ მოახერხოს რუსეთის დიპლომატიის ბლოკირება, ანუ მოსკოვმა მართლაც ვერ შეძლოს სოხუმელი სეპარატისტების აშკარად – დე იურედ აღიარება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კვლავ იქნება იმის საშიშროება, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მარცხს არ შეურიგდება და საქართველოს მიმართ ძირგამომთხრელ დიპლომატიას კვლავ გააგრძელებს, ამჯერად უკვე სხვა მეთოდებით.

თუ საერთაშორისო პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ერთ-ერთი ასეთი დიპლომატიური მეთოდი შეიძლება იყოს რუსეთის მხრიდან სხვა ქვეყნების წაქეზება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისაკენ, ანუ შესაძლებელია განხორციელდეს აფხაზეთის „ტაივანიზაცია“.

ტაივანს ჩვენ უმთავრესად კომპიუტერებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკით, ტურიზმით ვიცნობთ, მაგრამ მოდით, მას ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ.

**სიმონ კილაძე**

(დასასრული იქნება)



№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● გაზეთმა „ვზგლიადმა“ გადაწყვიტა გარკვეულიყო, თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთავარ პოსტზე სახელმწიფოსთან, რომელთანაც რუსეთს ურთიერთობა ვერა და ვერ გამოსდის



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.



# ქართველ კანდიდატთა თარსი რიცხვი



**განისაზღვრა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენდენტთა რაოდენობა. ხუთშაბათ საღამოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამთავრა პრეზიდენტობის კანდიდატების მომხრეთა ხელმოწერების მიღება. 50 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა 13 ქართველმა პოლიტიკოსმა. გაზეთმა „ვზგლიადმა“ გადაწყვიტა გარკვეულიყო, თუ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მთავარ პოსტზე სახელმწიფოსთან, რომელთანაც რუსეთს ურთიერთობა ვერა და ვერ გამოსდის.**

საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოველმა კანდიდატმა უნდა მოიპოვოს სულ ცოტა 50 ათასი თანამოაზრის მხარდაჭერა. ცენტრალური საარჩევნო კომისია სამი დღის განმავლობაში შეამოწმებს ხელმოწერების უტყუარობას. თუ ეჭვი გაჩნდა, კანდიდატებს ორ დღეს მისცემენ შესწორებების შესატანად. 11 დეკემბერს კი ცენტრალური საარჩევნო კომისია დაასახელებს ოფიციალურად რეგისტრირებულ კანდიდატთა ვინაობას.

### მიხეილ სააკაშვილი

**39 წლის მიხეილ სააკაშვილმა წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხმების 96 პროცენტზე მეტი მოიპოვა და ისე გაიმარჯვა, რომ მისი ხუთივე მეტოქის სახელი არჩევნების მეორე დღესვე აღარავის ახსოვდა. თუმცა, საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერამ ამ წლებში იკლო. 7 ნოემბერს დემონსტრანტთა წინააღმდეგ ხელკეტების, რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებამ საქართველოს მრავალი მოქალაქე აღაშფოთა.** ახლა სააკაშვილი ცდილობს ხელახლა მოაგროვოს ელექტორატი, რისთვისაც ადმინისტრაციულ რესურსებს და პიარ-კამპანიების დაგროვილ გამოცდილებას იყენებს.

ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში მისი მეუღლე ჰოლანდიელი სანდრა რულოვსიც ჩაება, რომელიც ძალიან ამაყობს თავისი მეუღლის უშუალობით: „ჩვენს სახლში ვინ საქმრომ მოიტაცა, ვისი მანქანა გაძარცვეს ან რომელი მეზობელი ავად გახდა — მას ყველაფერი აინტერესებს“.

სკოლის წლებში მიშიკო სააკაშვილმა მეგობრებთან ერთად სამოყვარულო ფილმი გადაიღო იტალიური მაფიის შესახებ, სადაც მუნიციპალიტეტის დეპუტატის როლი შეასრულა. „სცენარი მე თვითონ დავწერე: ორი კლანი ერთმანეთის წინააღმდეგ — მაფიოზი დეპუტატები, მაფიოზი მინისტრები. ეს სასაცილო ფილმი იყო უამრავი მკვლელობით“, — იხსენებს სააკაშვილი.

### არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი

**52 წლის შერისხული ოლიგარქის ბადრი პატარკაციშვილის წარმომადგენლებმა 202 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს — ყველა სხვა პრეტენდენტზე მეტი. ეს მაშინ, როცა თავად ბიზნესმენი საზღვარგარეთაა და ფაქტობრივად საარჩევნო კამპანია არ დაუწყია, თუ არ ჩავთვლით იმგვარ ჭორებს, თითქოს პატარკაციშვილი არჩევიდან ორი წლის განმავლობაში გადაიხდის საქართველოს მოსახლეობის ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის საფასურს.**

პატარკაციშვილი, რომელსაც ხელისუფლება კვლავაც ბრალად სდებს შეთქმულებას, ჯერჯერობით ელექტორატთან საქართველოს მასმედიით გავრცელებული განცხადებებით ამყარებს ურთიერთობას.

ბიზნესმენი საქართველოში ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში ჩამოვიდა, რომელმაც უარი თქვა პატარკაციშვილი რუსეთისთვის გადაეცა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საკუთარ მოქალაქეთა გადაცემას. პატარკაციშვილი მადლიერებით შეუდგა მეცენატობას: გაამშვენიერა ცირკი, მიხედა თბილისის „დინამოს“, სათავეში ჩაუდგა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს და ხშირად სოლიდურ პრემიებს უხდიდა ჩემპიონებს საკუთარი ჯიბიდან.

2003 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პატარკაციშვილმა საერთო ენა გამონახა მიხეილ სააკაშვილის მთავრობასთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „რევოლუციური“ ხელისუფალნი უწყალოდ ღლეტენ ბიზნესმენებს, იგი შერისხეს. ამ მომენტიდან მისი ტელეარხი „იმედი“ ოპოზიციურად ითვლება, ანუ, როგორც საქართველოში ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ამბობენ, ობიექტურად.

რამდენი სახსრები აქვს ბიზნესმენს, ზუსტად არავინ იცის. თავად რამდენიმე წლის წინათ მოითხოვა, რომ „ფულის ტომრად“ ნუ მიიჩნევენ, რადგან მას სხვა კაპიტალიც აქვს — ეს არის ჭკუა.

### ლევან გაჩეჩილაძე

**სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოშორების საერთო მიზნით გაერთიანებულ ოპოზიციონერებს შეუძლიათ პატარკაციშვილის ფინანსური ინექციებით ისარგებლონ, თუნდაც სხვა კანდიდატს უჭერდნენ მხარს. ამ დღეებში გაერთიანებული ოპოზიციის წევრმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ დაადასტურა მზადყოფნა მიიღონ პატარკაციშვილის დახმარება, თუმცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ კანდიდატად 43 წლის დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე წამოაყენა.**



გაჩეჩილაძის მომხრეებმა ცესკოში 63 ათასი ხელმოწერა შეიტანეს იმ საბაბით, რომ არ სურთ „ხელოვნურად გაზარდონ“ სიები და მონაწილეობა მიიღონ „სოცშეჯიბრებაში“. გაჩეჩილაძე იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორ გადაიქცნენ სააკაშვილის მეგობრები მის მტრებად.

1999 წელს გაჩეჩილაძე მეთაურობდა სააკაშვილის საარჩევნო შტაბს, როცა ის პარლამენტში იყრიდა კენჭს, და დაეხმარა მას მანდატის მიღებაში. ახლა გაჩეჩილაძე სააკაშვილს დემოკრატიული პრინციპების დარღვევაში სდებს ბრალს, უფრო მეტიც, ცემით ემუქრება, რადგან თავად მას სცემეს საპროტესტო აქციების დარბევისას.

სანამ დეპუტატი გახდებოდა, გაჩეჩილაძემ ალკოჰოლური კომპანია GWC შექმნით გაითქვა სახელი. ვინაიდან საქართველოს ღვინის ექსპორტის 90 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა, რუსეთთან წაჩხუბებული სააკაშვილის პოლიტიკა მტკივნეულად აისახა მის ბიზნესზე. ლევან გაჩეჩილაძე აპირებს რუსეთთან აღადგინოს ტრადიციული ურთიერთობა თანასწორუფლებიან საფუძველზე, აგრეთვე რამდენიმე თვეში დატოვოს თავისი პოსტი, რათა ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად იქცეს.

### დავით გამყრელიძე

**საპარლამენტო რესპუბლიკის იდეას იზიარებს ლევან გაჩეჩილაძის თანატოლი დავით გამყრელიძეც, საპარლამენტო ფრაქციის „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე. თუმცა, დავით გამყრელიძე არც კონსტიტუციური მონარქიის წინააღმდეგია.**

გამყრელიძე ექიმია. მაგრამ 90-იან წლებში სადაზღვევო ბიზნეს მოკიდა ხელი, თანაც მეტად წარმატებით. როცა შევარდნაძემ თავისი პოლიტიკისათვის ახალი სახეების ძებნა დაიწყო, მისი ყურადღება გამყრელიძემ და გაჩეჩილაძემ მიიპყრეს. ისინი მოქალაქეთა კავშირის სიაში შეიყვანეს, ბიზნესმენებმა დეპუტატის მანდატები მიიღეს. მაგრამ შემდგომ ორივე ჩამოშორდა „მოქალაქეებს“ და შექმნეს მოძრაობა „ახალი მემარჯვენეები“. ამბობენ, გამყრელიძეს პრემიერის პოსტს შეპირდნენ, მაგრამ პირობა არ შეუსრულეს.

გამყრელიძის მომხრეებმა ხუთშაბათს ცესკოში 165 ათასი ხელმოწერა შეიტანეს.

### გიორგი მაისაშვილი

**მომავლის პარტიის ლიდერი 42 წლის გიორგი მაისაშვილი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ კარგავს სააკაშვილი მომხრეებს. „ვარდების რევოლუციის“ საწყის პერიოდში მაისაშვილი სააკაშვილის ეკონომიკური მრჩეველი იყო. მან მრავალი წელი გაატარა საზღვარგარეთ, მაგრამ მერე საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.** ამომრჩევლებს, არადა მას მხარი დაუჭირა საქართველოს 70 ათასმა მოქალაქემ, ხიბლავს მისი აქცენტები ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაზე.

თბილისის ქუჩებში მოძრაობს გიორგი მაისაშვილის პორტრეტიანი ავტობუსი წარწერით „პრეზიდენტის“. პოლიტიკოსის გარემოცვაში აშკარად ამბობენ, რომ არ ეგონათ თუ 60 ათასზე მეტ ხელმოწერას შეაგროვებდნენ. მაისაშვილმა განაცხადა, რომ მეორე ტურის შემთხვევაში სააკაშვილის წინააღმდეგ მოუწოდებს ამომრჩევლებს, ოღონდ თუ ექსპრეზიდენტის მეტოქე არ იქნა ოლიგარქი. ოლიგარქის ვინაობა მან არ დაასახელა.

### შალვა ნათელაშვილი

**მიჩნეულია, რომ იმის შესახებ, თუ რა მძიმე ცხოვრება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, ყველაზე უკეთ ლეიბორისტებმა იციან, რომელთა იდეები მეტად ახლობელია მშრომელი ხალხისათვის. ახლა ლეიბორისტები მოსახლეობას პირდებიან, რომ ორჯერ შეამცირებენ კომუნალური მომსახურების ტარიფებს და დაძლევენ უმუშევრობას, თუ მათი 49 წლის ლიდერი შალვა ნათელაშვილი 5 იანვარს პრეზიდენტი გახდება.**

ნათელაშვილი პროფესიონალი იურისტია. თუმცა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის დიპლომიც აქვს. შესანიშნავი ტრიბუნია და კარგი იუმორის გრძნობა აქვს. ნათელაშვილმა 100 ათასი ხელმოწერა ჩააბარა. ის პროფესიონალი ოპოზიციონერია, „ებრძოდა“ შევარდნაძეს, ახლა სააკაშვილს უპირისპირდება. მისი პრობლემა ის არის, რომ ექსპერტთა აზრით, ლეიბორისტებს ამომრჩეველთა გარკვეული ზღვარი აქვთ, რომლის გადალახვასაც ისინი ვერ ახერხებენ. თუმცა, მეორე ტურის შემთხვევაში ნათელაშვილი, ალბათ, თავის ხმებს ოპოზიციონერ კანდიდატს დაუთმობს.

### ირინა სარიშვილი

**44 წლის ირინა სარიშვილმა 56 ათასი ხელმოწერა ჩააბარა. ის სკოლის ასაკიდან დისიდენტია, სარიშვილის მეუღლე იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია, რომელსაც დიდ პოლიტიკურ მომავალს**

# უცხოური პრესა

**იზოლაციის მიუხედავად, შერისხული ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქართულ ოპოზიციასთან კავშირს მაინც ინარჩუნებს, პირველ რიგში ლევან გაჩეჩილაძესთან და ძალიან წუხს, რომ პირადად არ შეუძლია მისთვის ხმის მიცემა საპრეზიდენტო არჩევნების დროს**





## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**უწინასწარმეტყველებდნენ.** 13 წლის წინათ მანქანას, რომელშიც ცოლ-ქმარი ისხდა ტერორისტებმა თბილისის ცენტრში ცეცხლი დაუშინეს. ჭანტურია დაიღუპა, სარიშვილი მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ პარტიას ის ჩაუდგა სათავეში. შემდეგ ირინა სარიშვილი, როგორც პოლიტიკოსი აქეთ-იქით იხრებოდა. ხან შევარდნაძის ოპოზიციაში იყო, ხან მასთან საერთო ენას ნახულობდა, ხან რესპუბლიკელებთან ერთიანდებოდა, ხან შორდებოდა მათ. ბოლოს პატრონის სახით დევნილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე იპოვა და ჩამოაყალიბა მოძრაობა „იმედი“. თუმცა გიორგაძე საქართველოში ნაკლებად პოპულარულია, თანაც მის მომხრეთა ნაწილი „იმედის“ დაფუძნების შემდეგ მალე დააპატიმრეს. სარიშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა დამოუკიდებლად განაგრძოს.

### ქართლოს ღარიბაშვილი

**50 წლის ცნობილი ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი საპრეზიდენტო რბოლის ვეტერანია, იგი არჩევნებში 1995, 2000, 2004 წლებში მონაწილეობდა. ცესკოში 52 ათასი ხელმოწერა შეიტანა.** როგორც თავად ამბობს, მისი დამახასიათებელი ნიშანია ჩიბუხი, რითაც მიანიშნებს, რომ საქართველოში, სადაც სტალინი დაიბადა, ხმა უნდა მისცე ჩიბუხიან კაცს. როგორც ადვოკატმა სახელი გაითქვა 80-90-იანი წლების მიჯნაზე, როცა ზვიად გამსახურდიას მთავრობის მიერ დაპატიმრებულ „მხედრიონის“ მეთაურს ჯაბა იოსელიანს იცავდა.

### ახალი მოთამაშეები

**საინიციატივო ჯგუფის მიერ წამოყენებული კანდიდატის შალვა კუპრაშვილის მომხრეებმა ცესკოში 50 ათასი ხელმოწერა შეიტანეს, დემოკრატიული სიმართლის პარტიის ლიდერის ლევან ქიქინიძის მომხრეებმა — 51 ათასი, მოძრაობა „დიადი საქართველოს“ ლიდერის გიორგი შერვაშიძის მომხრეებმა — 52 ათასი.**

პარტია „ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ავთანდილ მარგიანის წარმომადგენლებმა 50 ათასი ხელმოწერა შეიტანეს, ხოლო კანდიდატ არჩილ იოსელიანის საინიციატივო ჯგუფმა — 70 ათასი.

ესენი აშკარად აუტსაიდერები არიან. ბევრისთვის სრულიად გაუგებარია ამდენი ხელმოწერის შეგროვება როგორ მოახერხეს. ამ ხუთეულიდან საზოგადოებრიობისათვის მეტნაკლებად ცნობილია მხოლოდ ორი: მარგიანი — საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი და ერთხანს შევარდნაძის მთავრობის ვიცე-პრემიერი 90-იანი წლების დამლევს; ხოლო გენერალი შერვაშიძე რამდენიმე წლის წინათ შინაგანი ჯარების სარდალი იყო.

**დიმიტრი ალექსანდროვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ოქრუაშვილი: სააკაშვილი ვერ გაბედავს ჩემს შვილს ხელი ახლოს!

## ბერლინის საპყრობილეში მყოფი შერისხული საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრის სენსაციური განცხადება

***უახლოეს ხანებში გერმანიის თემიდამ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის თბილისში ექსტრადირების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. იმის მიუხედავად, რომ ოქრუაშვილთან, მეუღლისა და ადვოკატის გარდა, სხვას არავის უშვებენ და მას აკრძალული აქვს პრესასთან კონტაქტი და ინტერვიუების მიცემა, „ტვოი დენ“-მა მაინც მოახერხა გაეგო, თუ როგორ პირობებში იმყოფება ოქრუაშვილი ბერლინის „მოაბიტის“ ციხეში.***

### ოჯახი

**სანამ ბერლინის სასამართლო ექს-მინისტრის დაცვის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს სწავლობს, თვითონ ოქრუაშვილი საკუთარზე მეტად ოჯახის უსაფრთხოებაზე წუხს.** როგორც ერთ-ერთმა წყარომ „ტვოი დენ“-ს განუცხადა, ოქრუაშვილის გოგონა — ოთხი წლის მია ბებია-ბაბუასთან იმყოფება და მას ირაკლის პირადი მცველები იცავენ. არადა, ხელისუფლებამ, რომელიც თავდაცვის უწყების ყოფილ ხელმძღვანელს დევნის, სრულიად შესაძლებელია მის ოჯახს რაღაც სირთულეები შეუქმნას. თუმცა თვით პატიმარი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი მსგავს რამეს ვერ გაბედავს.

— სააკაშვილი ვერ გაბედავს, რომ ჩემს გოგონას ხელი ახლოს! — ციტირებს ოქრუაშვილის სიტყვებს ჩვენი წყარო, რომელსაც მასთან მისვლის უფლება აქვს.

### თავშესაფარი

**— იგი საკანში მარტო ზის, მას აკრძალული აქვს პრესასთან კონტაქტი, მით უმეტეს — ინტერვიუების მიცემა, — ამბობენ ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრები, — ირაკლიმ ტელევიზორი და ქართული პრესის გაცნობის შესაძლებლობის ნებართვა ითხოვა. გუშინ მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.**

როგორც შევიტყვეთ, იზოლაციის მიუხედავად, შერისხული ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქართულ ოპოზიციასთან კავშირს მაინც ინარჩუნებს, პირველ რიგში ლევან გაჩეჩილაძესთან და ძალიან წუხს, რომ პირადად არ შეუძლია მისთვის ხმის მიცემა საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

— როგორც საქართველოს მოქალაქეს, ირაკლის ხმის მიცემის უფლება აქვს, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია. ამის გამო იგი ძალიან წუხს, — ამბობს ჩვენი მოსაუბრე. მან სიტყვა-სიტყვით გადმოგვცა ირაკლის თვალსაზრისიც: „თუ არჩევნები სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდება, სააკაშვილს გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვს, მაგრამ თუ მოხდება ფალსიფიცირება, ეს საქართველოსათვის ტრაგედია იქნება — სააკაშვილი რეპრესიებს გააგრძელებს და ოპოზიციას ქვეყნიდან გაქცევა მოუწევს“.

— ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ბერლინის სასამართლო ექსტრადიციაზე უარს იტყვის, გერმანელ ადვოკატებსაც ვთხოვეთ დახმარება. მათგან ერთ-ერთი — ოლივერ შეკლერი უკვე დათანხმდა დაცვის ინტერესების წარდგენაზე, — ამბობს ეკა ბესელია, ქართველი ექს-მინისტრის ადვოკატი, — ოლივერი ძალზე კვალიფიციური იურისტია და დარწმუნებული ვარ, იგი საქმეს თავს გაართმევს. ჩვენ 99 პროცენტით იმედი გვაქვს, რომ იარაკლი ოქრუაშვილისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას მივაღწევთ.

**ბორის მარჩენკო**

Твой День

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

# საქართველოს ომბუდსმენი: „იმედის“ მაუწყებლობა აღდგენილია, თუმცა მასმედიის შევიწროვება გრძელდება

**საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიესალმა ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენას, თუმცა ამავე დროს აღნიშნა, რომ საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ზემოქმედების ფაქტები ჯერ კიდევ ხდება.**

„საქართველოს სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ტელეკომპანია „იმედის“ ქონებასა და ლიცენზიაზე ყადაღის მოხსნის შესახებ, რაც უახლოეს ხანში მისი მაუწყებლობის აღდგენას ნიშნავს. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც „იმედი“ ეთერში არ გასულა, საქართველოს მედიასაშუალებები მხარს უჭერდნენ ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტებს და იზიარებდნენ მათ ტკივილს, რაც არაერთგზის დაფიქსირდა ამა თუ იმ შეხვედრაზე. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სპეციალური მიმართვაც გაავრცელეს თავიანთი კოლეგების და საერთოდ სიტყვის თავისუფლების დასაცავად.

REGNUM


# განცხადება აუქციონის გამართვის თაობაზე

**შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს შპს „საქართველოს ავიახაზების“ ქონებაზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 12 დეკემბერს შპს „საქართველოს ავიახაზების“ ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე ქ.თბილისი, აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიის გამშვები პუნქტის მოპირდაპირე მხარეს აუქციონის დაწყების დრო 12.00. აუქციონზე გატანილია შემდეგი ქონება:**

**შპს „საქართველოს ავიახაზების“ კუთვნილი ქონება**
**(საჰაერო სამოქალაქო ხომალდები: ტუ154 ბ და აიკ 40.**
**საწყისი ფასი: 150 000 აშშ დოლარი.**
**ბიჯი: 5000 აშშ დოლარი.**
**ბე: 50 000 აშშ დოლარი.**

აუქციონში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული ყველა პირი ვალდებულია 2007 წლის 11 დეკემბერს 16.00 საათამდე განაცხადი შეიტანოს გაკოტრების მმართველთან შემდეგ მისამართზე: ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე ქ.თბილისი, აეროპორტის სარეჟიმო ტერიტორიის გამშვები პუნქტის მოპირდაპირე მხარეს ტელ: 94 7775, 94 7605 განაცხადის შემომტანმა პირმა განაცხადთან ერთად სავალდებულოა წარმოადგინოს დეპოზიტის (ბე-სძ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ბე გადაიხდება შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები ბანკი: სს ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი

მიმღები ბანკის კოდი: 220101757.

მიმღები: შპს საქართველოს ავიახაზები.

მიმღების ანგარიშის № (ლარიძ 36073363.

განაცხადს თან უნდა დაერთოს: სადამფუძნებლო დოკუმენტები (იურიდიული პირის შემთხვევაშიძ; პირადობის მოწმობა; მინდობილობა (თუ მონაწილე მოქმედებს სხვისი სახელითძ; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ბე-ს გადახდის ქვითარი.

განაცხადის შემომტან პირებს შეუძლიათ, როგორც აუქციონზე გამოტანილი ქონების ვიზუალური დათვალიერება, ისე მასთან დაკავშირებული და დოკუმენტაციის გაცნობა.



**შპს „თბილმეტრომშენი“ თავის ბალანსზე რიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გაიჯარების მიზნით აცხადებს კონკურსს**

**ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.№14 - 104 მ²**
**ც.დადიანის ქ.№100 — 110 მ²**
**ქინძმარაულის ქ.№13 — 3126 მ²**
**ქინძმარაულის ქ.№15 — 2648 მ²**
**ყვარლის ქ.№1 — 82 მ²**
**ქ.თბილისი ორხევი ალექსეევკის დასახლება — 8712 მ²**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

განცხადების მიღების ვადა: განცხადების მიღება (დალუქულ პაკეტებშიძ მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების დღის ჩათვლით.

კონკურსის ჩატარების დღემდე 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო კონკურსის ჩატარების დღეს 10 საათიდან 14 საათამდე (შაბათ-კვირის გარდაძ.

კონკურსი ჩატარდება 2007 წლის 24 დეკემბერს 14 საათზე მისამართზე: ქ.თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, მეხუთე სართული (შპს „თბილმეტრომშენის“ ადმინისტრაციული შენობაძ.

შპს „თბილმეტრომშენის“ საბანკო რეკვიზიტები:

სს ბანკი „რესპუბლიკა“ სადგურის ფილიალი ა/ა 600003605000555, ბანკის კოდი 220101759, საიდენტიფიკაციო კოდი 202886332.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი, გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები განხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საიჯარო ქონების და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შ.პ.ს.„თბილმეტრომშენში“.

**საკონტრაქტო ტელეფონი: 95-05-36.**

**შპს „თბილმეტრომშენი“**

# სპორტი

● სახოკიას ზუსტი დარტყმის შემდეგ ეროვნული თასის ორგზის მფლობელებს ნერვებმა უმტყუნათ, რასაც მინდვრიდან მეკარე ქვარჩახიასა და ელბაქიძის გაძევება მოჰყვა. აღშფოთებულმა კლუბის პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ პროტესტის ნიშნად თავისი გუნდი სარბიელიდან გაიყვანა...

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

## ნდობადაკარგული ხელისუფლება ქვეყნის სიმდიდრეს ანიავებს

**საინტერესოა, რა უნდა ამოძრავებდეს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, როცა ყიდის:**

სახელმწიფო ელექტროენერგოგენერაციის სადგურებს, რომელთა მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე ქვეყანაში 100-პროცენტიანი მოთხოვნილებაა და მოქმედი ელექტროენერგოსადისტრიბუციო კომპანიები მომხმარებლებისაგან ელექტროენერგიის ღირებულების საფასურს ასევე 100 პროცენტით იღებენ;

ეს მაშინ, როცა აღნიშნულ კომპანიებს, რომელთა გამართული მუშაობით მომხმარებლებისაგან ამოღებულია პროდუქციის მთლიანი ღირებულება და ამ თანხის უდიდესი ნაწილი კანონიერ ადრესატს – ჰიდროელექტროსადგურებს და ელექტროსისტემას დღემდე არ მიუღია.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომლის ამა თუ იმ მუხლის შეცვლა ან დამტკიცება ხდება მხოლოდ რეფერენდუმის საფუძველზე, კრძალავს სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ენერგეტიკის ობიექტების გასხვისებას.

ეკონომიკური გათვლები პირდაპირ მიგვანიშნებენ იმაზე, რომ სახელმწიფო ელექტროენერგოგენერაციის ობიექტების გასხვისება აშკარად საზარალოა სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის, ქვეყნის მოსახლეობისათვის და ეს იმიტომ, რომ მიღებული მოგებით სარგებლობს კერძო პირი და არა სახელმწიფო.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს პრეზიდენტი (ამჟამად უკვე ყოფილი, რომელსაც სჯერა, რომ ქვეყნის მოსახლეობა ხმების უმრავლესობით მას ხელმეორედ აირჩევს), პარლამენტი და მთავრობა სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლის შედეგად სახელმწიფოს კუთვნილი ენერგეტიკა, როგორც ქვეყნის მართვის და განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტი, საბოლოოდ ხდება კერძო პირების და არა მთლიანად მოსახლეობის გამდიდრების, კეთილდღეობის წყარო.

ეს ხდებოდა შევარდნაძის რეჟიმის დროს, როცა „ჩალის ფასად“ გაიყიდა ყველა მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგური, თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, „თელასი“, ხოლო სააკაშვილის პრეზიდენტობისას – საჩუქრად გადაეცა კერძო იურიდიულ პირებს საქართველოს შვიდი ძირითადი ჰიდროელექტროსადგური და ქვეყნის ყველა ელექტროენერგოსადისტრიბუციო კომპანია.

ხსენებული რეჟიმის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკის სისტემის ობიექტების გასხვისება, სამართლებრივი თვალსაზრისით განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის აშკარა იგნორირებით და ეს იმიტომ, რომ ხსენებული გასხვისების კონტრაქტები შედგენილია „მყიდველის“ მოვალეობის და პასუხისმგებლობის არარსებობის საფუძველზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას და მოითხოვს აღნიშნული კონტრაქტების ბათილად ცნობას. ამით ქართველი ხალხი შეძლებს დაიბრუნოს ენერგეტიკის სახით წინა თაობის მონაპოვარი, რაც გააუმჯობესებს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ანუ ქვეყანა გამოვა არსებული ეკონომიკური კრიზისიდან. ამის შედეგად საქართველო თავად შეძლებს განახორციელოს ხუდონჰესის და ნამახვანჰესის მშენებლობა, რომელთა ამოქმედება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში.



სწორედ ამიტომ ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ მიმართავს ქვეყნის მოსახლეობას, რათა 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებში არ მისცეს ხმა მიხეილ სააკაშვილს, რომლის „გუნდის“ წყალობითაც ქვეყნის ეკონომიკა განადგურდა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები გაუარესდა.

არ დავყაროთ ფარ-ხმალი, განვაგრძოთ ჩვენი მშვიდობიანი ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ – არჩევნებში მივცეთ ხმა საქართველოს პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატს და არა შევარდნაძისეული რეჟიმის გამგრძელებელს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

◎ გვწერენ

## ვეძებთ დედაქალაქის ყოფილ მერს

**ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი მოქალაქეთა თხოვნით ვაწარმოებთ ჟურნალისტურ გამოძიებას მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის ბინების განაწილებაში დაშვებულ შეცდომებსა თუ დანაშაულებზე. ამასთან დაკავშირებით უკვე ორი თვეა ვეძებთ ქალაქის ყოფილ მერს ბატონ ვანო ზოდელავას და გვსურს რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხოს. ბ-ნი ვანო კი არ ჩანს, ვერ მივაკვლიეთ... ვთხოვთ გამოგვეხმაუროს.**

გაზეთები „საქართველოს მოამბე“, „თაბორი“, „თუთარჩელა“.

◎ ფეხბურთი

## სკანდალური ფინიში

**ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე სკანდალურად ჩაშლილი თბილისური დერბით და სეზონის ცენტრალური მატჩით დასრულდა. მივყვეთ თანმიმდევრობით.**

**„ამერი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1 (შეწყდა 55-ე წუთზე).**

შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობას ვეტერინარები ფლობდნენ, თუმცა რეალურ სახიფათო მომენტამდე საქმე არ მისულა. შესვენების შემდეგ თამაში ახალი განახლებული იყო, როცა გლდანელთა საჯარიმოში ძელიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში ჩიკვილაძემ სახოკია დასცა და მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა. სახოკიას ზუსტი დარტყმის შემდეგ ეროვნული თასის ორგზის მფლობელებს ნერვებმა უმტყუნათ, რასაც მინდვრიდან მეკარე ქვარჩახიასა და ელბაქიძის გაძევება მოჰყვა. აღშფოთებულმა კლუბის პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ პროტესტის ნიშნად თავისი გუნდი სარბიელიდან გაიყვანა...

**„დინამო“ – „ზესტაფონი“ 2:0.**

**გოლები:** დიღმელაშვილი, ხუციშვილი.

ლიდერთა პრინციპულ დუელში „თეთრ-ლურჯებმა“ პირწმინდად დაჯაბნეს უხერხული მეტოქე და საშობაო არდადეგებზე ზამთრის ჩემპიონის რანგში გაემგზავრნენ. გაგვაკვირვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ყვირილასპირელთა მწვრთნელის თემურ მახარაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ – ბიჭებმა „ამერთან“ რამდენიმე დღის წინათ გადატანილი მძიმე ბრძოლის შემდეგ ძალების აღდგენა ვერ მოასწრესო. ეს განმარტება იმიტომაა საფუძველს მოკლებული, რომ ზესტაფონელებს გამორჩეულად სრულფასოვანი სათადარიგოთა სკამი აქვთ. ე.ი. რა გამოდის? – თურმე, მიზეზი თვით დამრიგებელში უნდა ვეძებოთ, რომელიც სათანადოდ ვერ იყენებს საკუთარ კადრებს. სხვათა შორის, არც მთლად უამისობაა, რასაც ერთი ფაქტი ადასტურებს: ბატონმა თემურმა მარადიულ ფავორიტთან საერთოდ არ ათამაშა გათამაშების ერთ-ერთი ბომბარდირი ფიფია, დინამოელთა რისხვა იონანიძე კი, რომელიც თითქმის ყოველთვის ამწარებს თბილისელებს, მხოლოდ 75-ე წუთზე ჩააბა ბრძოლაში და მანაც ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი ძელს მოარტყა.

**XIII ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები:**

„სიონი“ – „მგლები“ 3:1, „ბათუმი“ – „მესხეთი“ 1:2, „სპარტაკი“ – „ლოკომოტივი“ 2:0, „ბორჯომი“ – „ოლიმპი“ 0:0, „მერანი“ – „დილა“ 1:0.

**სატურნირო მდგომარეობა I წრის შემდეგ:**

„დინამო“ – 36, „ზესტაფონი“ – 34, „ვიტ ჯორჯია“ – 28, „ბორჯომი“ – 25, „ოლიმპი“ – 24, „ამერი“ – 21, „მესხეთი“ – 20, „სიონი“, „მგლები“ – 15-15, „სპარტაკი“ – 12, „მერანი“ – 10, „ლოკომოტივი“ – 9, „დილა“, „ბათუმი“ – 4 ქულა.

* * *

**სეზონი, ტრადიციისამებრ, საქართველოს სუპერთასის გათამაშებით დასრულდება, რომელსაც ამჯერად გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. ხვალ ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპისა“ და თასის მფლობელ „ამერის“ დუელი 13 საათზე დაიწყება. გენერალური სპონსორი „ფოლკსვაგენი“ გამარჯვებულს 10 000 ლარს უფეშქაშებს.**

◎ უეფას თასი

## მხოლოდ შედეგები

**ჯგუფური რაუნდი. IV ტური.**

**„ე“ ჯგუფი.** „ლევერკუზენი“ – „სპარტა“ 1:0, „სპარტაკი“ – „ციურიხი“ 1:0. ისვენებდა „ტულუზა“.

„სპარტაკი“ – 7, „ციურიხი“, „ლევერკუზენი“ – 6-6, „სპარტა“ – 4, „ტულუზა“ – 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „ცრვენა ზვეზდა“ – „ბოლტონი“ 0:1, „არისი“ – „ბრაგა“ 1:1. ისვენებდა „ბაიერნი“.

„ბოლტონი“ – 6 „არისი“, „ბაიერნი“ – 5-5, „ბრაგა“ – 3, „ცრვენა ზვეზდა“ – 0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ანდერლეხტი“ – „ტოტენჰემი“ 1:1, „ოლბორგი“ – „ხეტაფე“ 1:2. ისვენებდა „ჰაპოელი“.

„ტოტენჰემი“ – 7, „ხეტაფე“ – 6, „ანდერლეხტი“ – 5, „ჰაპოელი“ – 3, „ოლბორგი“ – 1 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ბორდო“ – „ჰელსინგბორგი“ 2:1, „აუსტრია“ – „პანიონიოსი“ 0:1. ისვენებდა „გალათასარაი“.

„ბორდო“ – 9, „ჰელსინგბორგი“ – 7, „პანიონიოსი“ – 4, „გალათასარაი“ – 3, „აუსტრია“ – 0 ქულა.



**ბოლო ტურში ითამაშებენ:** „ციურიხი“ – „ლევერკუზენი“, „ტულუზა“ – „სპარტაკი“, „ბრაგა“ – „ცრვენა ზვეზდა“, „ბაიერნი“ – „არისი“, „ხეტაფე“ – „ანდერლეხტი“, „ჰაპოელი“ – „ოლბორგი“, „პანიონიოსი“ – „ბორდო“, „გალათასარაი“ – „აუსტრია“ (19 დეკემბერიძ, „ალკმაარი“ – „ევერტონი“, „ლარისა“ – „ნიურნბერგი“, „ატლეტიკო“ – „პანათინაიკოსი“, „აბერდინი“ – „კოპენჰაგენი“, აეკ – „ვილიარეალი“, „ფიორენტინა“ – „ბრაგა“, „ჰამბურგი“ – „ბაზელი“, „რენი“ – „დინამო“ (ზაგრები).

◎ კალათბურთი

## მოკლედ

**ევროლიგის VII ტური. „ა“ ჯგუფი.** „ჟალგირისი“ – „ტაუგრესი“ 95:92, „მონტეპასკი“ – „ოლიმპიაკოსი“ 86:84, ცსკა – „ბოლონია“ 79:53, „ოლიმპია“ – „პროკომი“ 68:49.

ცსკა – 6, „მონტეპასკი“ – 5, „ოლიმპიაკოსი“, „ტაუგრესი“ – 4-4, „ჟალგირისი“, „ოლიმპია“ – 3-3, „ბოლონია“ – 2, „პროკომი“ – 1 მოგება.

**II წრის სტარტზე ითამაშებენ:** „ბოლონია“ – „ტაუგრესი“, „ოლიმპიაკოსი“ – „ოლიმპია“, „მონტეპასკი“ – ცსკა, „პროკომი“ – „ჟალგირისი“.



**„ბ“ ჯგუფი.** „რიტასი“ – „ციბონა“ 93:59, „მაკაბი“ – „არისი“ 85:70, „ეფესი“ – „უნიკახა“ 91:75, „ლე მანი“ – „მილანი“ 63:71.

„რიტასი“, „უნიკახა“, „მაკაბი“ – 5-5, „ეფესი“, „არისი“ – 4-4, „ციბონა“ – 3, „მილანი“ – 2, „ლე მანი“ – 0 მოგება.

**II წრის სტარტზე ითამაშებენ:** „მილანი“ – „ეფესი“, „ციბონა“ – „უნიკახა“, „არისი“ – „ლე მანი“, „მაკაბი“ – „რიტასი“.

**„გ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „რეალი“ 92:85, „პარტიზანი“ – „ფენერბახჩე“ 72:76, „რუანი“ – „რომა“ 104:85, „ბარსელონა“ – „ბროზე“ 80:58.

„პანათინაიკოსი“ – 7, „ბარსელონა“, „რეალი“ – 5-5, „ფენერბახჩე“ – 4, „პარტიზანი“ – 3, „რუანი“ – 2, „რომა“, „ბროზე“ – 1-1 მოგება.

**II წრის სტარტზე ითამაშებენ:** „ბროზე“ – „პანათინაიკოსი“, „პარტიზანი“ – „რუანი“, „ფენერბახჩე“ – „ბარსელონა“, „რომა“ – „რეალი“.

● რვა „ოქრო", ცხრა „ვერცხლი" და თვრამეტი „ბრინჯაო" – ასეთია საქართველოს სამბისტთა წლევანდელი მონაგარი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი, ცხადია, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს მიუძღვის


ოლეგ იაძე

## ⊙ ორბიტაზე

### შევჩენკო მძლეოსნობაზე გადაერთო



**რათა სახელოვანმა უკრაინელმა ლეგიონერმა ანდრეი შევჩენკომ აღიდგინოს დაკარგული სისწრაფე. „ჩელსიმ" სპეციალურად მისთვის დაიქირავა 34 წლის ბრიტანელი სპრინტერი დარენ კემპბელი.** ის 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონია ესტაფეტაში 4X100 „შევამ მითხრა, რომ ახლა თავს უკეთ გრძნობს, – თქვა მორბენალმა,– მოურინიოს დროს მას ვარჯიშის უფლებას არ აძლევდნენ, რასაც ის „მილანში" ყოფნისას მიეჩვია".

### თავპირისმტვრევა ბექჰემის ნარჩენებზე



**უცნაური რამ ხდება ახალ ზელანდიაში, სადაც კომერციული ტურნეს ჩარჩოებში ჩასულია ამერიკული „ლოს-ანჯელეს გელაქსი" თანამედროვე ფეხბურთის ლეგენდასთან დევიდ ბექჰემთან ერთად. იქაური ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ველინგტონში ბექჰემის ვიზიტის დროს მის მიერ რესტორანში შეუჭმელი პროდუქტები – სანახევროდ გაღრღნილი სიმინდის ტარო და განახევრებული კოკა-კოლას ბოთლი, მათი ფასი უკვე 159 დოლარამდე აიწია.**

რომელიღაც ქუჩაში მოვაჭრემ ბექჰემის თაყვანისმცემლებს შესთავაზა შემწვარი კარტოფილის ნაჭერი, ფეხბურთელს ქუჩაში რომ დაუვარდა. დიდი ტაციაობაა იმ თეფშებზე, დანებაზე და ჩანგლებზეც, ბექჰემმა ერთ-ერთ რესტორანში რომ იხმარა.

დევიდ ბექჰემმა ახალ ზელანდიაში სულ სამი დღე დაჰყო. მონაწილეობდა ამხანაგურ მატჩში, სადაც ამერიკელებმა გაიმარჯვეს 4:1, პირველი ბურთი თერთმეტმეტრიანიდან სწორედ ბექჰემმა გაიტანა.

### რა დაუშავეს ჟურნალისტებს?

**ძალზე ბედნიერად გრძნობდნენ თავს 20 წლის ინგლისელი რაგბისტი დენი ჩიპრიანი და მისი გულისვარდი ლარისა სამერსი, სანამ ინგლისური გამოცემის News of the World ჟურნალისტებმა ლამაზმანის წარსულში ქექვა არ დაიწყეს. არ ვიცით, რამ გააბრაზა ჟურნალისტები, მაგრამ მათმა ძიებამ ახალგაზრდები გაჰყარა.**

თუ კი ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ლარისა თავის დროზე ბიჭად დაბადებულა და დარენ მაიკლ პრატი ყოფილა. ის 1984 წლის 5 სექტემბერს დაბადებულა ნოტინგემში. ჟურნალისტებმა მისი დაბადების მოწმობასაც მიაგნეს, ბავშვობის სურათებსაც და სკოლის ამხანაგებსაც.

თვით ლარისა ჟურნალისტებთან ამ საოცარ ამბავზე კი არ საუბრობს, არამედ ჩიპრიანისთან სასტუმროში გატარებულ პირველ ღამეზე.

მოსალოდნელია, თანაგუნდელებმა დენის ხუმრობით ხშირად შეახსენონ ეს სკანდალური ამბავი.



## ⊙ სამბო

# ჩემპიონობა „ლომთა" ხვედრია!

**რვა „ოქრო", ცხრა „ვერცხლი" და თვრამეტი „ბრინჯაო" – ასეთია საქართველოს სამბისტთა წლევანდელი მონაგარი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი, ცხადია, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს მიუძღვის.**

– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე ამგვარ გამარჯვებას მეორედ მივაღწიეთ, – გვითხრა ბატონმა ოლეგმა. – 1997 წელს თბილისში გამართულ პლანეტის უძლიერეს ჩოხოსანთა ფორუმზე 5 ოქრო დავისაკუთრეთ, წლეულს კი პრაღაში ორი ქართველი ფალავანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ამდენივემ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო, ერთს კი „ბრინჯაო" ხვდა. კონტინენტის ჩემპიონატზე ერთბაშად სამმა ფალავანმა მოიხვეჭა ოქროს ჯილდო, რაც ქართული სამბოს ისტორიას არ ახსოვს.

ეს მიღწევები ორმაგად არის მნიშვნელოვანი და სასიხარულო, რადგან წლების განმავლობაში მწვრთნელები და სპორტსმენები უხელფასოდ მუშაობდნენ. ჩვენი ბიუჯეტი შეადგენდა იმ თანხის მხოლოდ 5 პროცენტს, რომელიც სამბოს განვითარებისთვის იყო საჭირო – 15-20 ათასი ლარით გავდიოდით ფონს. რეალურად რომ შევაფასოთ სიტუაცია, საქართველოში სამბო, რომელსაც მართლაც მდიდარი ტრადიციები აქვს, როგორც სპორტის სახეობა, აღარც უნდა არსებობდეს. საბედნიეროდ, ისევ ვცოცხლობთ და ახალ-ახალი გამარჯვებებით ვახარებთ გულშემატკივრებს. ძნელი სათქმელია, შევინარჩუნებთ თუ არა ამ რიტმს, რადგან მსოფლიოში სამბოს „გეოგრაფია" საგრძნობლად გაიზარდა – სხვადასხვა კონტინენტზე სპორტის ამ სახეობის 72 ეროვნული ფედერაციაა. პრაღაში მონაწილეთა რაოდენობა სარეკორდო გახლდათ – მედლებისთვის 44 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ისე მომწიფდა სიტუაცია, რომ გამორიცხული არ არის, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში სამბოც ვიხილოთ. მით უმეტეს, რომ ჩვენი ამჟამინდელი თავკაცი დავით რუდმანი და ამ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის მეთაური ვლადიმირ პუტინი საამისოდ ძალიან მოწადინებული არიან.

როცა ასეთი პერსპექტივაა, საქართველოში სამბოს ტრადიციების შესანარჩუნებლად მეტად უნდა ვიზრუნოთ. ხუმრობა ხომ არ არის, წლევანდელ ჩემპიონატებსა და პირველობებზე ჩვენი ქვეყნის 18 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს სხვადასხვა სინჯის მედალი. მერწმუნეთ, ამგვარი გეოგრაფიით ბევრი სახეობა ვერ დაიტრაბახებს.

**– დაფინანსების მხრივაც არ უნდა გქონდეთ სასაყვედურო...**

– უწინ შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი ფულის მოსაძიებლად კანცელარიის წინ ვშიმშილობდით. მადლობა ღმერთს, რომ ამგვარი აქციები წარსულს ჩაბარდა. წლეულს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ბიუჯეტიდან 40 ათასი ლარი გამოგვიყო. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" მე-4 წელიწადია, 190 ათას ლარს გვირიცხავს პროგრამულად. რომ არა ეს ორგანიზაცია, ჩვენი ფედერაცია დიდი ხნის დაშლილი იქნებოდა.

მოგეხსენებათ, წლეულს გაზაფხულზე სამბისტებმა ახალი ხელმძღვანელი ავირჩიეთ – გულისხმიერი პიროვნება, სპორტზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი – „სახალხო ბანკის" პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე, რომელმაც დროულად გადაგვიწყვიტა ისეთი მტკივნეული საკითხები, როგორიცაა მწვრთნელების, სპორტსმენებისა და ფედერაციის თანამშრომელთა ხელფასებით უზრუნველყოფა; ვეტერანებს ყოველთვიურად სტიპენდიებს აძლევს; ფედერაციას 100 ათასი ლარით შეეწია, რამაც საშუალება მოგვცა, პასუხსაგები შეჯიბრებებისათვის უკეთ მოვმზადებულიყავით და, როგორც ნახეთ, შედეგმაც არ დააყოვნა. ამგვარი თანადგომა თუ იქნება, არც გაისად შევირცხვენთ თავს.

**– შეჯიბრებებზე სპორტსმენთა გამოსვლებით კმაყოფილი ხართ?**

– რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საგარეჯოელი უშანგი კუზანიშვილი მინდა გამოვყო. იგი ბოლო წლებში სტაბილურად გამოდის საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ წლეულს მისმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა ოქროს მედალი, მერე პრაღაშიც იყოჩაღა. ზედიზედ სძლია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებს – უზბეკ შავკატ ჟურაევს, მონღოლ დაშდვა ამარტუვშინს, აზერბაიჯანელ ისლამ გასიმოვს და რუსეთელ ბესლან მუდრანოვს, თანაც ისე, რომ ამ ორთაბრძოლებში ქულაც არ დაუკარგავს და ღირსეულად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.



სპეციალისტთა და გულშემატკივართა მოწონება დაიმსახურა მირიან პავლიაშვილმა. სამი მეტოქის წმინდად დამარცხების შემდეგ ფინალში უკრაინელ ორგზის მსოფლიო ჩემპიონს კირილ ვალავიკს შეხვდა. თავიდან 0:6 აგებდა პაექრობას. საფინალო გონგამდე არც ისე დიდი დრო იყო დარჩენილი, რომ მირიანი ხალიჩაზე ერთბაშად გარდაიქმნა და უკრაინელს 14:6 აჯობა. ამ შეხვედრის შემდეგ გულშემატკივრებიცა და მოასპარეზენიც აღტაცებას ვერ მალავდნენ. ინდოეთის, მალაიზიის, სინგაპურისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებმა მითხრეს, თუნდაც მარტო ამ ორთაბრძოლის საყურებლად ღირდაო ჩეხეთის დედაქალაქში ჩამოსვლა.

უკეთესი შედეგისთვის შეეძლო მიეღწია კახა მამულაშვილს. მონღოლ სპორტსმენთან ნახევარფინალურ შეხვედრას იგი 4:0 იგებდა, მაგრამ ჭიდაობის დამთავრებამდე 30 წამით ადრე საკუთარ ფანდზე წამოეგო და 4 ქულა დაკარგა. თანაბარ ანგარიშზე კი, წესების თანახმად, გამარჯვება მეტოქეს ერგო. ამის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან კახამ უფროსებში პირველად იჭიდავა და სადებიუტოდ „ბრინჯაო" ურიგო როდია. ქების ღირსი არიან ვერცხლის მედალოსნები – ლევან წიკლაური და ზვიად ჩინჩალაძე. საერთოდ კი, ყველას მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან ნაკრების თითოეულმა წევრმა ყველაფერი გაიღო, რათა ევროპის ჩემპიონატზე მეორე (პირველი ადგილზე რუსეთი გავიდაძ და მსოფლიოზე მესამე (ბელორუსის და რუსეთის შემდეგძ გუნდური ადგილები დაგვეკავებინა...

აქვე გაუწყებთ იმ სამბისტთა ვინაობას, რომლებმაც წლეულს უფროსებში გამოიჩინეს თავი:

**მსოფლიო ჩემპიონატი: 1. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო, 52 კგ.ძ და მირიან პავლიაშვილი (მცხეთა, 100ძ, 2. ლევან წიკლაური (დედოფლისწყარო, 82ძ და ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი, მძიმეძ, 3. კახა მამულაშვილი (კასპი, 74ძ.**

**ევროპის ჩემპიონატი: 1. უშანგი კუზანაშვილი, დავით სიმონიშვილი (საგარეჯო, 62ძ და მინდია ბოდაველი (თბილისი, 90ძ, 3. ავთანდილ ცინცაძე (თბილისი, 57ძ, ნიკო კუცია (ფოთი, 82ძ, მირიან პავლიაშვილი და ზვიად ჩინჩალაძე.**

*სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ უკვე დაასახელა 2007 წლის საუკეთესონი: **სპორტსმენები.** 1. უშანგი კუზანაშვილი, 2. მირიან პავლიაშვილი, 3. ზვიად ჩინჩალაძე. **მწვრთნელები.** ზაურ პავლიაშვილი (მცხეთაძ, 2. გივი სარდანაძე (ქუთაისიძ, 3. ვასილ ჩიხრაძე (რუსთავიძ.*

**ვაჟა დანელია**

## ⊙ მეზობლებთან

# სხვისი ფეხით ნარის გლეჯა და პრემიები

**ევრო – 2008-ის შესარჩევ რაუნდში ყოველი გამარჯვებისათვის რუსეთის ნაკრების მოთამაშეებმა 12-12 ათასი დოლარი მიიღეს, ფრესთვის – 6-6 ათასი. ხორვატეთის ნაკრების წყალობით ტურნირის ფინალურ სტადიაში გასვლისათვის კიდევ 100-100 ათასი ელით. საბოლოოდ რუსეთელი ფეხბურთელები 240 ათას დოლარს ჩაიჯიბავენ.**

– ჩვენი მოთამაშეები ასეთი პრემიების ღირსი თუ არიან? დაეკითხა გაზეთი „სობესედნიკი" ცნობილ პიროვნებებს.

**ვიქტორ გუსევი, სპორტული კომენტატორი:**

– პრემია გაიცემა ევროპის ჩემპიონატში გასვლისათვის და თამაშის ხარისხზე კონტრაქტში სიტყვაც არაა ნათქვამი.

– კი გამიხარდა ფინალში ჩვენი გასვლა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ფული ფეხბურთელებს არ დაუმსახურებიათ. მით უფრო, რომ თანხა დიდია.

**მიხეილ ბოიარსკი, მსახიობი:**

– ფეხბურთელები შოუბიზნესია, მორალისა და ხარისხის ასპექტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე რომ ვიყო, ფულს ხორვატებს მივცემდი...



№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

● „ფილმის გადასაღებად სამი წელი მჭირდება, ერთი წელი თემაზე ვმუშაობ, ერთი წელიც მომზადებისთვის მჭირდება, მესამე წელს კი გადაღებას ვიწყებ და დაახლოებით 35 დღეში ვამთავრებ“



◎ შეხვედრა

# ჰოლივუდის რეჟისორის აღსარება

**საფესტივალო ჩვენებები ყოველდღე ბევრ მაყურებელს იზიდავს. კინოთეატრ „რუსთაველის“ კომფორტულ დარბაზებში ზოგჯერ ადგილი ძნელი მოსაძებნია. თბილისის მერვე საერთაშორისო კინოფესტივალის მეოთხე დღე გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა კინოპროფესიონალებისა და მოყვარულებისთვის.** ამჯერად მათ „ტყვეობაში“ აღმოჩნდა ამერიკული კინოს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი ბობ რაფელსონი. კაცი, რომლის მიერ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე შექმნილმა ცნობილმა ფილმებმა, სპეციალისტების აზრით, გარღვევა მოახდინა ამერიკულ კინემატოგრაფიაში სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისით, კაცი, რომელიც კრიტიკოსებმა და მოყვარულებმა არაერთხელ აღიარეს საუკეთესო რეჟისორად. მისი ფილმი „ხუთი მარტივი პიესა“ 70-იანი წლების საუკეთესო ამერიკულ ფილმად აღიარეს. ამავე პერიოდის ინოვაციურ კინოსურათად მიიჩნევენ მის ნამუშევარს „მარვინ გარდენსის მეფესაც“. და რაც კიდევ მთავარია, მან აღმოაჩინა შესანიშნავი მსახიობი ჯეკ ნიკოლსონი, ისინი მეგობრები გახდნენ და ერთობლივად ცხრაჯერ იმუშავეს.

რეჟისორი საერთაშორისო კინოფესტივალების ხშირი სტუმარია თავისი მასტერკლასით, რომელსაც ჰქვია „რეჟისორის აღსარება“. იგი შეიცავს ფრაგმენტებს მისი საეტაპო ფილმებიდან.

ბობ რაფელსონის თბილისურმა აღსარებამ კინოთეატრ „რუსთაველის“ დირექცია იძულებული გახადა დარბაზი შეეცვალა, რადგან გათვალისწინებულმა სივრცემ დაინტერესებული ხალხი ვერ დაიტია. აუდიტორიას აინტერესებდა ყველაფერი მის შესახებ. როგორ მუშაობს ფილმებზე, მსახიობებთან, რა აზრის არის ჰოლივუდურ კომერციულ ფილმებზე, ჯეკ ნიკოლსონთან მისი მეგობრობა და კიდევ ბევრი რამ. ბობ რაფელსონი ენაწყლიანი აღმოჩნდა და აღსარებაც შედგა.

**„14 წლისა, როცა ოჯახი დავტოვე, ჯერ კოვბოი გავხდი, მერე მუსიკოსი და მუშაობა დავიწყე გემზე, რომელიც ევროპაში დაცურავდა. მაშინ ასე ვფიქრობდი: კაცი გენიოსი უნდა იყოს, რომ ფილმი გადაიღოს-თქო. დავიწყე ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესწავლა, შემდეგ პოეზიამ გამიტაცა. იმ დროისთვის ინდური პოეზია აღმოჩნდა ის, რაც მჭირდებოდა, დავეწაფე შუა აღმოსავლეთის პოეზიას. მერე „აღმოვაჩინე“ მოგზაური კაცი, რომელიც ყველგან თან დამყვებოდა და რასაც ხელი მოვკიდე, ყველგან ეს ადამიანი მხვდებოდა, იგი ჩემი პირადი გმირი გახდა, რომელზეც მოგვიანებით ფილმი „მთვარის მთები“ გადავიღე.**

ბობ რაფელსონს სადებიუტო მხატვრული ფილმი „თავი“ გადაუღია1968 წელს, მას შემდეგ რაც ერთ დარბაზში ჯეკ ნიკოლსონი გაუცვნია, რაღაცის გამო ჯეკ ნიკოლსონი სკამიდან უცბად წამომხტარა, ბობ რაფელსონს მოსწონებია, დამეგობრებულან და ერთობლივად მომავალი ფილმის სცენარიც დაუწერიათ, ასე დაწყებულა მათი მეგობრობა.

**„ფილმის გადასაღებად სამი წელი მჭირდება, ერთი წელი თემაზე ვმუშაობ, ერთი წელიც მომზადებისთვის მჭირდება, მესამე წელს კი გადაღებას ვიწყებ და დაახლოებით 35 დღეში ვამთავრებ“.**

რა აზრის არის კომერციულ ფილმებზე?

**„ჰოლივუდში არიან რეჟისორები,რომლებიც მხოლოდ კომერციულ სამუშაოს ასრულებენ და ხშირადაც კოტრდებიან, სტუდიებსაც კარგავენ. ასეთ ფილმებს ცხადია დიდი ზარალი მოაქვთ, მაგრამ ზოგჯერ მათი წარმატება სხვა სფეროში, კომერციულ რეკლამაში გადადის“.**

მაგალითისთვის რეჟისორს მოჰყავს ფილმი „კაცი ობობა“, **„ჩემი 4 წლის შვილი ისე არ დაიძინებს,თუ სპაიდერმენის ქვედა საცვალი არ აცვია, ამ საცვლებს გაცილებით მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე თავად ფილმს, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ასეთი ფილმის წარმოება 300 მილიონი ჯდება და შეუძლებელია მან მოგება მოიტანოს.**

**მე სხვანაირად ვფიქრობ, ვცდილობ, კარგი ფილმი გადავიღო, ნაკლებად მაინტერესებს აუდიტორია მიიღებს თუ არა, შეიძლება არც ნახონ. ამერიკული სტანდარტებით ჩემი ფილმები ძალიან ძვირი არ ჯდება, ფულის შოვნა მიჭირს, სამაგიეროდ როცა ვშოულობ თავისუფლად ვგრძნობ თავს, სრულად ვაკონტროლებ ფილმს და სხვათა მითითებებს ვერ ვიტან. სხვა გზა მე არ ვიცი, ჩემი თავისუფლება — ჩემი ნათელი ხედვაა“.**

ეკრანზე მოჩანს ფრაგმენტი ბობ რაფელსონის 70-იანი წლების საუკეთესო ამერიკულ ფილმად მიჩნეული სურათიდან. „ხუთი მარტივი პიესა“.



კადრი ფილმიდან „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს ზარს“

**„ამ ფილმის ფინალმა დიდი ბრძოლა გამოიწვია. ჯეკ ნიკოლსონის გმირი ძალიან ემოციურია, ამას მსახიობი ვერ უძლებდა. ასე არ მოვიქცევი, სენტიმენტალურია — ჯიუტად მეუბნებოდა იგი. ჩვენი მეგობრობა ხშირად სასწორზე იდო, ერთხელაც გამიბრაზდა: ჩვენ ფილმს ვაკეთებთ და მეგობრობა რა შუაშიაო. უსაშველოდ ვკამათობდით და ეს 6 თვის მანძილზე გაგრძელდა, საბოლოოდ ჯეკი თავისი იმპროვიზაციით გადავიღე.**

რატომ გადაიღო ეს ფილმი?

**„იმ დროს ბევრი ახლო მეგობარი დავკარგე, ზოგმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაშინ იმედგაცრუება დამეუფლა და ეს ნამუშევარი მათ ხსოვნას მივუძღვენი, ჩემი ვერსიით გატანჯულ გმირს მიესაჯა ცხოვრების გაგრძელება“.**

რას გრძნობს, ან რას აკეთებს ფილმის დასრულების შემდეგ?

კინოსამყაროდან გარბის **„შემიძლია 800 მილი გავიარო მარტომ აფრიკაში, ვიმოგზაურო, რომ გადავრჩე, მე აღარ ვარ რეჟისორი, სწორედ მაშინ მიჩნდება უამრავი შეკითხვა. ეს ხიფათიანი ცხოვრებაა, ასეთ დროს ციხეშიც ხშირად მოვხვედრილვარ იმის გამო, რომ ენას კბილს ვერ ვაჭერ. ბოლო დროს ვისწავლე ცოტა გაჩუმება“.**

ფრაგმენტი ფილმიდან „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს ზარს“ (1981წ. ეკრანზეა ჯესიკა ლანჟისა და ჯეკ ნიკოლსონის სექსუალური სცენა. შთაბეჭდილება აუდიტორიამ ოვაციით გამოხატა.

**„სექსი რომ ნატურალურად გადაიღო ძალიან ძნელია, აქ მსახიობებთან ერთად ოპერატორმაც იმარჯვა. რთულია მსახიობს უთხრა, გაიხადე და შენი მკერდი მაჩვენე ან ჰარისონ ფორდს უთხრა, შენი ლამაზი უკანალი მაჩვენეო, ხელოვნება ის არის,მსახიობები გუნება-განწყობილებაზე მოიყვანო,შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნა და უთუოდ გაგიმართლებს“.**

შეკითხვაზე: როგორი პროდიუსერია იგი, ბობ რაფელსონი უპასუხებს **„მე არ ვარ კარგი პროდიუსერი. მქონდა საკუთარი კომპანია. ჩემი ამოცანა იყო შემერჩია ისეთი კარგი რეჟისორი, რომელსაც სხვები არ იცნობდნენ. ძნელია ჩაჯდე ბიუჯეტში, რადგან მიმაჩნია, რომ თავისუფლება ბიუჯეტის ჩარჩოებში არ თავსდება“.**

74 წლის ბობ რაფელსონს 4 და 8 წლის შვილები ჰყავს. მან აუდიტორიის წინაშე გულწრფელად აღიარა, რომ აღარ სურს ფილმების გადაღება, დროა ახლა შვილებს დაუთმოს დრო.

**„დღეს კომპიუტერული ეპოქაა, ინფორმაცია ბევრია, გადაღების ტექნიკა წუთებში იცვლება, მკვიდრდება ახალი ფორმები, დღევანდელ თაობაზე დიდ იმედებს ვამყარებ“.**

აღსარება დასრულდა, კინომაყურებლებს კი კვლავ ელით მისი კინოსურათების ხილვით გამოწვეული სიამოვნება, რაც აღსარებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ ქართული კულტურის მერიდიანები

# კოლხური საგანძური ვაშინგტონში



**საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლხური საგანძური მოგზაურობას განაგრძობს. მან პროექტ „ქართული სეზონის“ ფარგლებში უკვე წარმატებით მოიარა ევროპის სამი ქალაქი. ბერლინის ალტეს მუზეუმში, ნიცის კენზოს და პარიზის ფულის მუზეუმებში ექსპოზიცია ათიათასობით დამთვალიერებელმა მოინახულა.** ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში პირველი საგამოფენო ტურნე ევროპაში, რომელიც თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო. ქართულმა საგანძურმა დამსახურებულად მოიპოვა არა მარტო პროფესიონალი შემფასებლების, არამედ ფართო საზოგადოებრიობის სრული კეთილგანწყობილება. გამოფენები ფართოდ გაშუქდა პრესაში და ტელევიზიით.

ტურნე გრძელდება და ახლახან ქართულმა საგანძურმა ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა. მან ბინა დაიდო ვაშინგტონში, სმითსონის ინსტიტუტის არტურ საკლერის გალერეაში, რომელიც დღეს ფრიად პრესტიჟულ ეროვნულ კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს.

**როგორც ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ამერიკიდან გვაცნობა,** ვაშინგტონის გამოფენა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ევროპული გამოფენები. ექსპონირებულია 83 ოქროს 57 შერეული მეტალის და სხვა მასალისაგან დამზადებული ნივთები. მათ შორის ვანის მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატი — ძვ.წელთაღრიცხვის II საუკუნით დათარიღებული ჭაბუკის ტორსი.

არტურ საკლერის გალერეაში წარმოდგენილია აგრეთვე კოლხური ცულები, მცირე ზომის ქანდაკებები, საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების ნივთები, სამკაული, მონეტები, ბალთები. ექსპოზიცია წარმოაჩენს საქართველოს არა მხოლოდ როგორც განვითარებული ოქრომჭედლობისა და მეტალურგიის ქვეყანას, არამედ როგორც უძველესი ღვინის კულტურის ქვეყანას.

იმისათვის, რომ ამერიკელებს უკეთ შეეტყოთ „ოქროს საწმისის“ ქვეყნის შესახებ **დავით ლორთქიფანიძემ** და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა **დარეჯან კაჭარავამ** საჯარო ლექციები წაიკითხეს.

**გამოფენის სადაზღვევო ღირებულებაა 59, 456 000 აშშ დოლარი. დაზღვევას საერთაშორისო კომპანია უზრუნველყოფს.**

**გამოფენა 31 დეკემბრამდე გასტანს, შემდეგკი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში გადაინაცვლებს.**

**რუსუდან მუხაძე**



## ხსოვნა

# კონსტანტინე ბეთანელი



გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი სამთო დარგში, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ღვაწლმოსილი მკვლევარი, კეთილშობილებითა და ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონსტანტინე ბეთანელი.

დაიბადა 1932 წლის 24 ნოემბერს ქ.თბილისში, პედაგოგისა და ინჟინრის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და მიენიჭა სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია.

1959-1979 წ.წ. გაიარა რა დასწრებული ასპირანტურის კურსი, მუშაობდა ქ.მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა.სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში, ჯერ უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ კი მომავლის საწარმოთა ლაბორატორიის გამგის თანამდებობებზე. ამავე ინსტიტუტში კ.ბეთანელმა მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქვანახშირის მრეწველობაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მომავლის შახტების პრობლემებზე, რისთვისაც 1975 წელს მას მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, კ.ბეთანელი 1979 წელს გადმოიყვანეს ქ.თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, რომელიც შეიქმნა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით და სადაც მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მუშავდებოდა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემები ძირითადი მიმართულებების პროგნოზირებასთან ერთად. ეს გახლდათ ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოების კომპლექსი, რომლის შესრულებაში მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკის 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაცია.

1979-1983 წ.წ. კ.ბეთანელი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მარგი წიაღისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის პროფესორად. 1981 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. იყო 150-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, მათ შორის მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.

1988 წელს პროფესორი კ.ბეთანელი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; ასევე არჩეული იყო რუსეთის სამთო აკადემიის საპატიო წევრად.

ბატონი კონსტანტინეს ხელმძღვანელობით და ხელშეწყობით ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში მომზადებული და დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორ კ.ბეთანელის მოღვაწეობა აღნიშნული იყო მთავრობის ჯილდოებით, მათ შორის – ღირსების ორდენით. მისი მაღალი ერუდიცია და კვლევათა მნიშვნელოვანი შედეგები გამოყენებული იყო ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სხვადასხვა ობიექტზე.

ბატონი კონსტანტინე ბეთანელის ღვაწლს არ დაივიწყებს საქართველოს საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოება და მეცნიერთა დიდი წრე, რომელთაც დააკლდებათ მასთან საქმიანი და ადამიანური ურთიერთობა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება; საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი.

---

საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან,რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსტანტინე ბეთანელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კონსტანტინე ბეთანელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის" გამგეობის პრეზიდიუმის წევრები, ლექტორები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, „საზოგადოება ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე, გამოჩენილი მეცნიერი და დაუვიწყარი პიროვნება

კონსტანტინე ბეთანელი

და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ვახტანგ ჯანჯღავას ხსოვნას

# ყველაფრით გამორჩეული

ორმოცი დღე კი არა, ორმოცზე მეტი წელიც რომ გავიდეს ჩვენი ვახტანგის გარდაცვალებიდან, ვინც მას იცნობდა, ვერასდროს დაივიწყებს... ხოლო შემდეგ თაობებს, მისი დიდებული ოჯახის წარმომადგენლებს, ნათესავებისა და მეგობართა ოჯახების შთამომავლებს მუდამ ეცოდინებათ მეტად გამორჩეული, ყველასაგან განსხვავებული, თვითმყოფადი, თავისუფალი კაცური-კაცი, ძველი კოლხური გმირების გენის მატარებელი, ჩვენი ძმობის შემკვრელი მეგობარი, ჩვენი ვახო – ვახტანგ ჯანჯღავა – დიდებულ, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი, სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღით ყმაწვილკაცობიდან გამოირჩეოდა... უნივერსიტეტელ თანაკურსელებში და შემდეგ ჩვენში, უნივერსიტეტელ მეგობრებსა და კოლეგებში, ერთგულებით, სითბოთი, ერთი შეხედვით ბუმბერაზი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, წელგამართული და ამაყი მოარული, საოცარი უბრალოებით, თითქმის მორცხვობით გამოირჩეოდა. განა ტყუილად ჰქონდა ამოჩემებული ფრაზა-ტერმინი, – როცა შეეკითხებოდნენ, როგორ ხარო, ცოცხლადვე უპასუხებდა: „მიდის ცხოვრება წინ და მივყვები უკან" – უკან სიარულის რა მოგახსენოთ და... ყველაფერში ჩვენი ლიდერი იყო, სიმართლის მთქმელ კაცს ყველა ენდობოდა და უსმენდა... მისი პირადი ცხოვრება ყველასათვის სამაგალითო იყო. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე უყვარდა ერთადერთი ქალი, თავისი მესაიდუმლე და თანამოაზრე, ერთგული თანამგზავრი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ზნეკეთილი და სიმპათიური ქალბატონი ეთერი. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა სიცოცხლით, ენერგიით, სიყვარულით სავსე ერთადერთ ვაჟთან სერგოსთან. ყველა ჩვენგანს გვაოცებდა მათი ურთიერთობა, ისინი არა მხოლოდ მამა-შვილი, არამედ მეგობრული, ძმაბიჭური სიყვარულით იყვნენ ერთმანეთში... ასევე ძალიან აფასებდა სერგოს მეუღლეს, უსაყვარლეს რძალს თამარს. მისი „სისუსტე", მისი იდეალი კი, რა თქმა უნდა, ბაჩო, უსაყვარლესი ეთერი, იყო, მისი ლამაზი და ჭკვიანი შვილიშვილი. გვახსოვს მის მეგობრებს, სადაც უნდა ყოფილიყო, ქირში თუ ლხინში, გვიან ღამით თუ ადრე დილით, სახლში ისე არ შევიდოდა, ჩვენთან დამშვიდობების ან „მოშორების" შემდეგ, რომ რაიმე საჩუქარი არ ეყიდა თავის პატარა მზეთუნახავისთვის. შემდეგ ყმაწვილქალობისას, მისმა იდეალურმა შვილიშვილმა ოცნებაც აუსრულა, ფრიადებზე ისწავლა და წარმატებითაც დაიცვა დისერტაცია, თავისი საყვარელი ბაბუის მონათესავე სპეციალობაში – ხელოვნების ისტორიაში. მისი ბაბუ – ჩვენი ვახო, პროფესორი ვახტანგ ჯანჯღავა ხომ პოპულარული, საყვარელი ლექტორი გახლდათ საქართველოს ისტორიისა. უკანასკნელ წლებში ბაჩომ და არჩილმა კიდევ ერთხელ გაახარეს ბაბუ ვახტანგი და პატარა მარიამის დაბადებით გაუხანგრძლივეს ცხოვრება...

ასეთი სიყვარულით სავსე ოჯახის პატრონს, თავისი მეორე ოჯახი – უნივერსიტეტი არანაკლებ უყვარდა, უფრო სწორად, თანაბრად უყვარდა და ისე როგორც შინ, აქაც ყველას უზომოდ უყვარდა, ისე როგორც მას უყვარდა ყველა – სტუდენტები, ცნობილი მეცნიერები თუ რიგითი თანამშრომლები, განსაკუთრებით კოლეგა-მეგობრები, რა თქმა უნდა, თავისი თანამეინახენი... (არ დაგვავიწყდეს, ბატონი ვახტანგი ცნობილი თამადა იყო...ქ. დროსტარება და თამადობა რა სათქმელია, როცა თვალები ცრემლებით გვაქვს სავსე და გული დარდით... მაგრამ... დიდი და მრავალფეროვანი ცხოვრებით მცხოვრებ ბატონ ვახტანგ ჯანჯღავას ყველაფერი უხდებოდა და ამიტომაც იყო ყველასაგან გამორჩეული... ისე, როგორც მისი ხასიათის ერთ-ერთი მთავარი გამოვლენა – პრინციპულობა და უანგარობა... არ შეეძლო, ვერ წარმოედგინა მლიქვნელობა თუ პირფერობა, იქნებოდა ეს სამეცნიერო დისკუსიებში თუ პიროვნულ საუბრებში... მხოლოდ ორი მაგალითის მოყვანა საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველმა იგრძნოს მისი ცხოვრების კრედო... ერთ დღეს, 60-იანი წლების ბოლოს, უნივერსიტეტის დერეფანში, ეს დევივით კაცი, მუდამ რიხიან-ომახიანი და გულანთებული რომ შემოაბიჯებდა, მეტად გულჩათხრობილი და თავდაწეული, თითქოს წელშიაც მოხრილი გამოჩნდა... ყველა გაგვაოცა ჩვენი ბრდღვიალა ვახოს ასეთმა მდგომარეობამ... ჩუმად ვეკითხებით, რა მოხდა, ჩუმად ბოლმით გვიპასუხებს: „აზრზე ხართ, რაიკომის მდივნობა შემომთავაზეს... მე ხომ უნივერსიტეტის გარეშე არ შემიძლია..." (მაშინ ბევრი ჩვენი კოლეგისთვის სანაქებო საქმე...ქ.



„ჩვენი ვახტანგი დერეფანში შეაჩერა იმ დროისათვის ახლად დანიშნულმა, თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა, ღრმად ინტელიგენტმა და, რაც მთავარია, პატიოსანმა პიროვნებამ, რომელიც ბატონ ვახტანგს კარგად იცნობდა და სწამდა მისი... (შეგნებულად არ ვასახელებთ იმ დიდებულ პიროვნებას...ქ ვხედავ და ვუსმენ, ეს ზორბა ჩვენი ვახტანგი, როგორ ჩასძახებს თავისთან შედარებით საკმაოდ მცირე ზომის კაცს – „შენ რა, როგორ მიბედავ!" ვახტანგი აწითლებული, ჩქარი ნაბიჯით და რაღაცის, ვგონებ, ცუდი სიტყვების ბუტბუტით, დასცილდა...

იყო ძალიან უკომპრომისო და მკაცრი მსაჯულიც, ადამიანების შეფასების განსაკუთრებული ალღო ჰქონდა, მისთვის არ არსებობდა სხვა განზომილება – პიროვნება იყო ან კარგი, ან ცუდი, რაღაც საშუალო მისთვის მიუღებელი იყო. ისე, როგორც ნამდვილ კაცებს შეშვენის, იყო საოცრად დიდი პატრიოტი, ეროვნულ საქმიანობაში დიდ პიროვნებებთან გვერდში მდგომი, ყოველგვარი ამბიციურობისა და კარიერის გარეშე... უზომოდ უყვარდა სამშობლო, მისი ისტორია და იმედი ჰქონდა მისი მომავლისა...

ამას წინათ, ვახტანგის გარდაცვალებამდე რამოდენიმე დღით ადრე, ჩვენი ძვირფასი კოლეგის, დიდი კონსტანტინეს ქალიშვილის, თამარ გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახლდათ. ბატონი როინი დასაწყისში მიესალმა სტუმრებს და სინანულით აღნიშნა, რომ ამ შეკრებას ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა თამარის უახლოესი მეგობარი, ძმადნაფიცი ვახტანგ ჯანჯღავა. თითქოს გულმა უგრძნო, თუ ბედისწერა იყო, ზუსტად იმ კვირის ბოლოს ჩვენი ვახტანგი გარდაიცვალა. წავიდა ნაღდი, მართალი კაცი, კაცობის ნიმუში, მივიდა იქ, სადაც უახლოეს მეგობრებთან ერთად მისი ძვირფასი მშობლები, მისი საყვარელი და-ძმანი, ნათესავები ელოდებიან... მას იქ ძვირფას სახელებთან ერთად მარადისობა, უკვდავება ელოდება.

უნივერსიტეტის მეგობრების სახელით
ოთარ მიმინოშვილი,
გოგი ჭელიძე.

---

# განცხადება

## სააქციო საზოგადოება „მეგობრობას" აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის

სს „მეგობრობას" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2007 წლის 25 დეკემბერს ქ. გარდაბანი, ბოტანიკის დასახლება, სს „მეგობრობას" ადმინისტრაციულ შენობაში, მე-2 სართულზე, 12 საათზე.

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოება „მეგობრობას" ფინანსური კრიზისის დაძლევის ღონისძიების შესახებ;

2. სააქციო საზოგადოება „მეგობრობას" ქონების რეალიზაციისა და მიღებული ამონაგებით დავალიანების გადახდის შესახებ.

სააქციო საზოგადოება „მეგობრობას" აქციონერებმა დღის წესრიგთან დაკავშირებით განმარტებები შეიძლება მოითხოვონ დირექტორთან ან სამეთვალყურეო საბჭოში. შენიშვნების წარმოდგენის ბოლო ვადაა 15 დეკემბერი. მათზე გაცემული იქნება წერილობითი ან ზეპირი პასუხი, ან შევა დღის წესრიგში დამატებით პუნქტად.

კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ყველა აქციონერი, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ საზოგადოების აქციათა რეესტრში ა. წ. 15 დეკემბრამდე (საალრიცხვო დღე).

თბილისი, 2007 წლის 3 დეკემბერი.

№ 241. შაბათი, 8 დეკემბერი, 2007 წელი.

● სიმღერა გვამაღლებს, გვამშვიდებს, მხნეობას გვმატებს.
საქართველოს მშვიდობისა და გადარჩენისთვის დიდხანს გემღეროთ, ბიჭებო!




## ინფორმაცია

### სავარაუდოდ, დღეიდან რადიო „იმედს“ მოვუსმენთ

**რადიო „იმედი“ საინფორმაციო გამოშვებებსა და სხვა გადაცემებს, სავარაუდოდ, დღეიდან განაახლებს.**

ამის შესახებ რადიო „იმედის“ მაუწყებლობის დირექტორმა ნონა ყანდიაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, ტექნიკური პერსონალი და ხელმძღვანელობა რადიოს შენობაში, გუშინწინ დაახლოებით, 02 საათისთვის შევიდნენ, 04 საათისთვის კი ეთერში მუსიკის გაშვება მოხერხდა.

ყანდიაშვილის განცხადებით, რადიოს სხვადასხვა ტექნიკური პრობლემები აქვს, მაგალითად, არ მუშაობს ტელეფონები და ინტერნეტი.

**ინტერპრესნიუსი**

### რეზერვისტმა ექიმებმა 18-დღიანი კურსი დაასრულეს

**ქართველმა ექიმებმა 18-დღიანი რეზერვისტთა პროგრამით მომზადების ვადა ოფიციალურად დაასრულეს.**

მედიკოსებმა სამხედრო ექიმის სასწავლო პროგრამით მომზადება, მუხროვანის რეზერვისტთა მომზადების ბაზაზე გაიარეს.

ინსტრუქტორთა დახმარებით, 515-მა ექიმმა თეორიულ სწავლებასთან ერთად საველე პირობებში ვენის კათეტერიზაციის, სისხლდენის შეჩერების და დაჭრილების ბრძოლის ველიდან გამოყვანის სპეციალური კურსები გაიარა.

რეზერვისტებს სწავლების წარმატებით დასრულება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ზაზა გოგავამ მიულოცა და მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## იმღერეთ, ბიჭებო!

# „თეატრალებმა“ ათენში გვასახელეს

**ამ რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართა ხელოვნების მეთერთმეტე საერთაშორისო ფესტივალი, რომელმაც მსოფლიოს 24 ანსამბლს და ინდივიდუალურ შემსრულებელს უმასპინძლა.**

ელადელებმა ფესტივალი სამ ნომინაციად დაყვეს – ფოლკლორული ანსამბლები, საგუნდო-საოპერო კოლექტივები და ლირიკული სიმღერების შემსრულებლები.

ფოლკლორულ ანსამბლებში ლა“, „ოდოია“ და სვანური „ფერხული“ წარუდგინა.

ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორს, „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთგულ მეგობარს, პროფესორ **ავთანდილ მიქაბერიძეს:**

– „თეატრალები“ იმდენად ძლიერი, გამორჩეული ხელწერის ანსამბლია, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ ჯილდოსა და ლაურეატის წოდებას დაიმსახურებს. გულწრფელად გავიხარე, კიდევ ერთი დახვეწილი საგუნდო-საოპერო და ლირიკული სიმღერების შემსრულებლებიც რომ გამოებზავნა, გრან-პრის არავის დავუთმობდით...

ანსამბლი „თეატრალები“ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. **მისი ხელმძღვანელია ჩვენი ლეგენდარული ანსამბლის „რუსთავის“ ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გოგიტა**



„თეატრალები“ ათენში ფესტივალზე გამოსვლის წინ

პირველი ადგილი და ფესტივალის ოქროს მედალი საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტის ანსამბლმა „თეატრალებმა“ მოიპოვეს.

ანსამბლებმა ბერძენ მაყურებელს და კომპეტენტურ ჟიურის ქართული ხალხური სიმღერის ოთხი მარგალიტი – „მრავალჟამიერი“, „ცივციველი ფოლკლორული ანსამბლი რომ ვიხილე ათენის საერთაშორისო ფესტივალზე, – გვითხრა ბატონმა ავთანდილმა და დასძინა: ფესტივალზე სამივე ნომინაციაში შვედეთის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს და გრან-პრი დაიმსახურეს. რატომღაც, მგონია, რომ „თეატრალების“ კვალდაკვალ საქართველოს სა- **ბუგიანიშვილი. მისი რწმენით, ანსამბლი დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდული კოლექტივია და მალე სოლო კონცერტით წარსდგება ქართველი მაყურებლის წინაშე.** უკვე დაგეგმილია გასტროლები საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაშიც... რა დაგვავიწყებს ათენის ქართულ დიასპორასთან შეხვედრას და ელადის დედაქალაქში წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში აგუგუნებულ სიმღერებს. გულითადი მადლობა ბატონ ავთანდილ მიქაბერიძეს, რომელმაც ბრწყინვალედ გვიმასპინძლა, – გვითხრა გოგიტა ბუგიანიშვილმა.



ათენის წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში ქართულ მრევლს კვირაში ერთ დღეს წირვა-ლოცვის უფლება აქვს და საბერძნეთში ლუკმაპურის საშოვნელად გადაწვეხილი ქართველების დიდი სულიერი ნავსაყუდელია...

ათენის საერთაშორისო ფესტივალის ოქროს მედლის მფლობელი ანსამბლის მომღერლები არიან **ლევან შავლიაშვილი** (ანსამბლის დირექტორიძ, **კობა ჭეფხოძე, ვალერი ხვედელიძე, ტიტე ადეიშვილი, ირაკლი აბჭანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, გიორგი შანიძე, ლაშა კირვალიძე, გიორგი კერვალიშვილი, ლევან ქუთათელაძე, ოთარ კოვზირიძე, გურამ გუჯეჯიანი...**

ქართული ხალხური სიმღერა სიტყვაზე ძლიერია.

სიმღერა გვამაღლებს, გვამშვიდებს, მხნეობას გვმატებს.

საქართველოს მშვიდობისა და გადარჩენისთვის დიდხანს გემღეროთ, ბიჭებო!

**სპარტაკ ქოზულია**


რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.


## ანეკდოტები

ჯანგატეხილი ბერიკაცი ექიმს თავის უამრავ დაავადებაზე ესაუბრება.

გაღიზიანებული ექიმი აწყვეტინებს:

– რას ითხოვთ ჩემგან, უკვე 90 წლისა ხართ. მე ხომ არ შემიძლია, გაახალგაზრდავებაში დაგეხმაროთ?

– არა, ექიმო, – წყნარად უპასუხებს ბერიკაცი, – მე კმაყოფილი ვიქნები, თუ უფრო დაბერებაში დამეხმარებით.



* * *

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 85 წელს გადაცილებულ ყოველ მამაკაცზე 7 ქალი მოდის, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ძალიან გვიანაა.

* * *

მანძილი ფიზიკურზე მეტად მეტაფიზიკური ცნებაა. ერთი კილომეტრი მანძილი პურის მაღაზიამდე შორია, მაგრამ თუ არყის მეორე ბოთლია საყიდელი – ყურის ძირასაა.

* * *

მომხმარებელი დაიღალა ოფიციანტის ლოდინით და რესტორნის პატრონი მოიხმო:

– აი, აიღეთ ფული და, თუ შეიძლება, თქვენი ოფიციანტი ქალისთვის ყვავილები იყიდეთ.

– სიამოვნებით, – გაიბადრა კმაყოფილი მეპატრონე. – ასე ძალიან მოგეწონათ ჩვენი ოფიციანტი?

– პირიქით. უბრალოდ, იგი, ვგონებ, გარდაიცვალა.

* * *

ხალხური დაკვირვება: არჩევნების ჩათავება გაზსა და ელენერგიაზე ფასის მომატებას ნიშნავს.

## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.